

იოსეფ სიხოშვილი

# ფალო

იოსებ სიბოშვილი

# ცანა

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2022

რომანში ასახულია ქართლ-კახეთში მიმდინარე მოვლენები შაჰ-აბასის შემოსევების დროს. ავტორი ისტორიულ წყაროებზე, საერო და საეკლესიო გადმოცემებზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს კახელების გმირულ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ, ექვსი ათასი გარეჯელი ბერის მოწამეობრივ აღსასრულს, სასწაულმოქმედი მადლის ქვის და დავითის ცრემლების ისტორიას, კახელი კაცის სიყვარულს სამშობლოსა და ვაზისადმი.

მკითხველი თვითონ გამოიტანს დასკვნას, ქართლ-კახეთისთვის ამ საბედისწერო ჟამს ვინ იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი და ვინ მოღალატე.

რედაქტორი
**მანანა გორგიშვილი**

მხატვარი
**თეა ბუზარიაშვილი**

დამკაბადონებელი
**თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-498-59-6

# I

იმ წელს კახეთმა სუსხიანი და ამასთან ცხელი ზამთარი გადაიტანა. სუსხიანი იმიტომ, რომ ყინვამ და გამუდმებულმა ქარებმა მიწიან-ტყიან-მდინარიანად გათოშა ყველაფერი, ხოლო ცხელი იმიტომ, რომ ღვთისგან წყეულმა ირანის შაჰმა - შაჰ-აბასმა ააოხრა მთელი კახეთი, მერე კი მთებში გახიზნულ მოსახლეობას თავისი ყიზილბაშები[1] შეუსია და ბრძანება გასცა, ქართველებისგან წინააღმდეგობის გამწევი არავინ დაეტოვებინათ ცოცხალი. ცოცხლად გადარჩენილები კი ირანისკენ მიმავალ გზაზე დაეყენებინათ. შაჰის მებრძოლები მთელი ზამთარი ტყე-ღრე დაეძებდნენ კახელებს, ხშირ შემთხვევაში მათ ასავალ-დასავალს ვერ აგნებდნენ და თუ სადმე გადაეყრებოდნენ სათანადო დარტყმასაც იღებდნენ მათგან. თითქმის ყველა შეტაკება კახელების გამარჯვებით მთავრდებოდა. ამიტომაც შაჰის სარდლებმა გადაწყვეტილება მიიღეს, დევნა გაზაფხულისთვის გადაედოთ. აქაც მოტყუვდნენ, რადგან ქართველებმა მოუხშირეს მათზე თავდასხმას. ისინი მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე მტრის ბანაკებში და სანამ სპარსელები გამოფხიზლდებოდნენ, მოაოხრებდნენ ხოლმე იქაურობას, ამოხოცავდნენ წითელთავიანებს და მალევე გაეცლებოდნენ იმ ადგილს.

კახეთში განვითარებული მოვლენების შესახებ შაჰ-აბასი, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო და ყოველდღიურად შათირების[2] მეშვეობით ახალ ამბებსაც იგებდა, მაგრამ ირანის მბრძანებელი არ ჩქარობდა, პირიქით, თავის ამალასთან ერთად ნადირობით ირთობდა თავს და მტკვრის ნაპირას გაშლილ ბანაკში ნებივრობდა. არ ჩქარობდა სამშობლოში დაბრუნებას, რადგან მას ავადმყოფურად აკვიატებული ჰქონდა კახეთის მიწასთან გასწორება და იქ თურქმანი ელების ჩასახლება. აგრეთვე ურჩი თეიმურაზ მეფის დასჯა და კახეთის სამეფოს გაუქმება. თეიმურაზი ვერ მოიგდო ხელთ, იმერეთში გაექცა. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ კახეთში გამოლაშქრებამდე, მისი ცოლის ძმა - ქართლის მეფე ლუარსაბი დაატყვევა სარწმუნოების შეცვლაზე უარის თქმის გამო და გამოკეტა შირაზის[3] ციხეში, რითაც სურდა, ქართლ-კახეთის მოყვრობით განმტკიცებული კავშირის მოშლა, მაგრამ ურჩი თეიმურაზის გამო ჯერჯერობით საწადელს ვერ მიაღწია. ერთობ ცბიერი გახლდათ სეფევიდების[4] შთამომავალი. მან ისიც კარგად უწყოდა, რომ მარტო ყიზილბაშებით ვერაფერს გააწყობდა ქართველების წინააღმდეგ და მათი განადგურება რომ მოეხდინა, ამისთვის მათივე ჯიშის ხალხი უნდა გამოეყენებინა. აბასმა მოღალატე ქართველებისგან ბევრი რამ ისწავლა. კარგად იცოდა მედროვე გურჯების ბუნება. საკმარისი იყო ისინი დაეწინაურებინა სასახლის კარზე, მიეცა უზრუნველი ცხოვრების საშუალება და იმდენ სიბოროტეს ჩაიდენდნენ თავის მოძმეთა წინააღმდეგ,

რომ ეს ყოველივე თვით ქართველებზე გულაცრუებულ უცხოტომელთა გაკვირვებასაც კი გამოიწვევდა. ასეთი ქართველები კი ბევრი ჰყავდა შაჰ-აბასს, რჯულშეცვლილიც და რჯულშეუცვლელიც. აქედან უმრავლესობა დახვეწილი მლიქვნელი გახლდათ. შაჰს ეზიზღებოდა ასეთი კაცუნები, მაგრამ ამას არ იმჩნევდა, რადგან ისინი სწორედ ის იარაღი იყო მის ხელში, რომელიც მათივე ხალხის წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა. ხშირად გაიფიქრებდა ხოლმე: „როგორ უნდა ენდო ამ ნაძირლებს, როდესაც პირველივე მოთხოვნისთანავე უარყვეს თავიანთი წინაპრების ღმერთი, მის თვალწინ აფურთხეს და შეურაცხყვეს ქრისტე და დედამისი და არც წინადაცვეთაზე უყოყმანიათ. ამათი ნდობა არ შეიძლება, ამიტომ ჯერ უნდა გამოვცადო და მერე ვნახოთ“.

მხოლოდ ასეთი ქართველები არ ჰყავდა აბასს ამალაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც შეთავაზების გარეშე უარყვეს მაცხოვარი და შაჰის ერთგულებაზე დაიფიცეს. ერთ-ერთი მათგანი გიორგი სააკაძე გახლდათ, რომელიც სასწაულით გადაურჩა ქართლელი დიდებულების დაგებულ მახეს და ირანში გაქცევით უშველა თავს. შაჰი გიორგის გვერდიდან არ იცილებდა და უამრავი მსტოვარი ჰყავდა მასზედ მიჩენილი. ძირისძირამდე შეისწავლა მისი მოდგმა, დარწმუნდა მის რაინდობასა და საბრძოლო გამოცდილებაში და ახლა, ისე როგორც მის გარშემო შემოკრებილ ქართველებს, გამოცდას უპირებდა და ამისთვის შესაბამის დროს ელოდა და საბაბს ეძებდა. აბასმა გიორგის შესახებ ცნობები მხოლოდ ქარ-

თლის თავად-აზნაურობაში კი არ მოაგროვა, არამედ უბრალო ხალხში - გლეხებში. მსტოვარმა, გარდა გიორგის საგმირო საქმეებისა, ერთი გლეხის ნაამბობიც მოუთხრო მბრძანებელს: „გიორგის გვარი სააკაძე არ არის, ის ხევსური გიგაური ყოფილა. სააკაძე მაშინ დაურქმევია, როდესაც დიდი სახელი გაითქვა. ის აღზევებამდე ჩვეულებრივი გლეხი ყოფილა. სააკაძე ხმლითა და ხმით ომობს. დიდი ხმალი ხომ უჭრის და ხმაც დიდი აქვს. საფეთქლებზე ხელს მოიჭერს და საშინელი ხმით იწყებს ყიჟინას თავის მოყიჟინეებთან ერთად. მტერს ბრძოლის დაწყებამდე ამით აშინებს თურმე. ხალხმა შეიყვარა თავისი გმირი, თავადებმა კი ვერ აიტანეს გლეხის ასეთი აღზევება და გადაემტერნენო“.

შაჰ-აბასს, ერთის მხრივ, ასეთი ძლიერი ქართველი, რომელიც სამშობლოში გმირად მიაჩნდათ, მაინც და მაინც არ აწყობდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ის მის ხელში ბასრი მახვილი იყო ქართველების დასაჩოქებლად. გაიფიქრებდა ხოლმე აბასი: „ერთი უნდილაძე[5] არ მეყოფა გვერდით, ახლა ეს მეორე დავიყენო და თან კახეთის აოხრებაზე ვიფიქრო...“. თუმცა შაჰი ისეთი ხვითო[6] იყო, რომ გველს იქით აათამაშებდა, თავის ჭკუაზე გაატარებდა და ვისაც უნდოდა იმას დააგესლინებდა სასიკვდილო შხამით.

აბასს, დიდ სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად, თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებინებდნენ.

შაჰ-აბასი მცირე რამის გამოც თავშეუკავებელ მრისხანებას იჩენდა. ხშირად უაზრო სისხლისღვრა, შემაძრწუნებელი ვერაგობა და შემზარავი შურისძიება იცოდა თავის მახლობელ წრეშიც, რომ უნებლიეთ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვიც კი გაუჩნდებოდა თვითმხილველს. როდესაც მისი უსაზღვრო მრისხანება ქართველებმაც გამოსცადეს თავის თავზე, ხშირად გაიგონებდით ხალხში: „კაცი მცბიერი და მოყვარე მზაკვრობისა“, „მცბიერი, ხვანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“. ხოლო მეფე თეიმურაზმა სრულყოფილად დაახასიათა: „მძლავრი, უწყალო, ქრისტეანეთა მტანჯველი, ეროდიას წილ მჯდომელი, უბრალოს სისხლთა მჩქეფელი“.

აბას პირველის ტახტზე ასვლის პირველივე წლებში, გამუდმებული შინაფეოდალური ომებისაგან დასუსტებულმა სპარსეთმა, ოსმალეთთან ომში მარცხი განიცადა. აბასი იძულებული გახდა ოსმალეთთან სპარსეთისთვის წამგებიანი ზავი დაედო. შემდეგ კი ენერგიულად შეუდგა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ებრძოდა სახელმწიფოს დაქუცმაცების მომხრე ამირებს.[7] ქვეყნის სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობებზე მოხელეებად მოკალათებულ ყიზილბაშურ-თურქმანულ დაჯგუფებებს დაუპირისპირა სპარსეთის სამსახურში დაწინაურებული ქართველები, სომხები და ჩერქეზები. ისპაჰანის ტარუღა[8] აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. ქართველებს ნიშნავდა სპარსეთის პროვინციების ბეგლარბეგებად,[9] ყულარაღასის[10] თანამდებობაც ხშირად

ქართველებს ეკავათ. შექმნა მუდმივი ჯარი - თოფხანე,[11] თოფანქჩიებისა და ღულამთა[12] ნაწილები. ეს უკანასკნელი ძირითადად ქართველებისგან შედგებოდა...

შაჰმა კარგად იცოდა ქართველთა ცხოვრების წესი, კარგად იცნობდა მათ შინაგან ბუნებას. იცოდა, რომ ქართველს უცხო ქვეყანაში რა გინდ ფუფუნებაში ეცხოვრა, მას მაინც არაამქვეყნიური ლტოლვა ჰქონდა სამშობლოსადმი და როგორც კი ნახავდა შესაფერის დროს, აუცილებლად დაუბრუნდებოდა მამა-პაპისეულ მიწას. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა გადაეჭრა მათთვის ფესვები, აეოხრებინა მათი მიწა-წყალი, დაესახლებინა იქ ალაჰის მონები და რაც მთავარი იყო, გაეკეთებინა ეს ყველაფერი ქართველების ხელით.

ახლაც იჯდა მტკვრის პირას გაშლილ კარავში თავის ერთგულ მსახურებთან ერთად, სადაც ქართველები სჭარბობდნენ, ხელთ ეპყრა ძვირფასი თვლებით შემკული ვერცხლის ფიალა და ნეტარებაში მყოფი უცქერდა ჰარამხანის[13] მოცეკვავე ქალებს...

## II

დიდმარხვის ვნების კვირა ახლოვდებოდა. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრებში სადღეღამისო მღვიძარებას დაესადგურებინა. გამუდმებული წირვა-ლოცვა და სხვა საეკლესიო მსახურებანი უწყვეტად აღესრულებოდა მართლმადიდებლობის ერთ-ერთ გა-

მორჩეულ სავანეში. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან მრავალი სასულიერო და საერო პირი მოდიოდა გარეჯის მონასტრებში ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე დასასწრებად. ყველას სურდა, მოკრძალებით ხლებოდა აქ დავანებულ საეკლესიო სიწმიდეებს და განსაკუთრებით წმიდა დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებულ მადლის ქვას, რომელიც დავითის ლავრაში იყო დაბრძანებული. ხალხმრავლობა იყო ბერთუბნის, დოდორქის, ნათლისმცემლის, ჩიჩხიტურის, უდაბნოს მონასტრებში და განსაკუთრებით დავითის ლავრაში. დიდმარხვაში სასულიერო პირების ასეთი სიმრავლე უცხო არ იყო გარეჯის სავანეებისათვის, მაგრამ ეს წელიწადი მაინც განსაკუთრებული გახლდათ. მტერთაგან შევიწროვებულ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას დიდი გასაჭირი დასდგომოდა. ოსმალეთი და სპარსეთის ვერ იყოფდნენ საქართველოს. ხელიდან ხელში გადადიოდა ღვთივკურთხეული მამული. წუთისოფელში კი მისი დამხმარე არავინ იყო, პირიქით კალიასავით შემოსეოდა მტერი. ამ მძიმე განსაცდელიდან, როგორც ადრეულ საუკუნეებში, საქართველოს ხსნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. ამისთვის კი გამუდმებული და გულმხურვალე ლოცვა იყო საჭირო. სამეფო კარი და დედა ეკლესია მოუწოდებდა ერსა და ბერს ელოცათ სამშობლოს და ერის გადარჩენისთვის და, რა თქმა უნდა, მომზადებულიყვნენ კარს მომდგარი მტრის დასახვედრად. ამიტომაც გარეჯის მონასტრები ნელ-ნელა ივსებოდა მომლოცველებით. ადრეული გაზაფხულის

სუსხიან ღამეებში ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს დაბლა დაწეულიყო და დედამიწასთან შეერთებას აპირებდა, რათა ანგელოზთა და ადამიანთა ერთობლივ ლოცვას მიეღწია სამყაროს შემოქმედამდე და ღმერთს განსაცდელისგან ეხსნა საზეპურო ერი...

არც ქართლისა და კახეთის სამეფო კარი იჯდა გულხელდაკრეფილი. განსაკუთრებით კახელები აკვირდებოდნენ გარეჯის ქედის გადაღმა, ყარაიას ველზე და მტკვრის პირას დაბანაკებულ სპარსელთა ლაშქარს, რომელსაც მიზანში ისევ კახეთი ჰქონდა ამოღებული. მეფე თეიმურაზმა გარეჯში გამოცდილი მეომრები გააგზავნა შაჰ-აბასის ლაშქრის გადაადგილების შესასწავლად. ისინი ქედზე ჩიჩხიტურის და უდაბნოს მონასტრებში დაბინავდნენ. იქიდან ხელის გულივით ჩანდა სპარსელების ყველანაირი გადაადგილება. იმ შემთხვევაში თუ მტერი დაიძვრებოდა კახეთის მიმართულებით, ჩიჩხიტურის კოშკის სახურავზე ცეცხლი დაინთებოდა, რომელიც ნიშანს გადასცემდა მანავის ციხეს, ხოლო ეს უკანასკნელი ასევე ცეცხლით ამცნობდა - თელავსა და გრემს. მეფის მეომრებში ერთი ვაჟკაცი ირიცხებოდა, რომელსაც განსაკუთრებული დავალება ჰქონდა მიცემული. საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, საეკლესიო საგანძური უნდა შეეგროვებინა და გადაემალა მტრისგან მიუვალ ადგილებში. ეს მეომარი ტალა ტალაური იყო. ის სისხლით და ხორცით ქართველი, ქრისტეს თიხის კაცი, ქართულ საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებული და უშიშარი მეომარი გახლდათ. ეს მოხდენილი ვაჟკაცი ჯერ ოცდაა-

თი წლისაც არ იყო და უკვე უამრავ ბრძოლაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. კავკასიონის მთებში, მიუვალ ადგილებში თავისი სამალავები ჰქონდა მოწყობილი და მტრის შემოსევების დროს მეფისა და კათოლიკოსის დავალებით სამეფო და საეკლესიო საგანძურს იქ ინახავდა ხოლმე. მის ხელში არაფერი იკარგებოდა. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ყველაფერს და მშვიდობიანობის დადგომისთანავე ყველა ნივთსა და სიწმიდეს თავის ადგილას აბრუნებდა.

ტალა ძირძველი მთიელების შთამომავალი გახლდათ. იმ მთიელებისა, რომლებმაც წმიდა ნინოს მიერ მთაში გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოება არ მიიღეს, მეფე მირიანის სასჯელს გაერიდნენ და სოფელ ყვარადან თუშეთში გადაიხვეწნენ. შემდეგ მათი რამდენიმე ოჯახი დურუჯის ხეობაში ჩასახლებულან და ამ სოფლისთვის ყვარელები უწოდებიათ. ქრისტეს რჯულიც მიუღიათ და მეფის სამსახურშიც ჩამდგარან. ვინაიდან გამძლე და გამორჩეული მეომრები ყოფილან, მეფეს მათთვის მტრის შემოსევის დროს იმ ადამიანთა დაცვა და გაცილება დაუვალებია, ვისაც სამეფო ძვირფასეულობა და საეკლესიო სიწმიდეები გადაჰქონდა მთაში არსებულ სამალავებში. სიფრთხილის გამო, ვინაიდან მათი გადაადგილება ძირითადად ღამით ხდებოდა, ყვარელი ვაჟკაცებისთვის სახელად ტალა უწოდებია, რაც მგზავრთა ღამით მოდარაჯეს ნიშნავს. ეს სახელი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და შემდეგ კი გვარშიც დაუმკვიდრებია ადგილი.

ტალა გარეჯშიც ამ მიზნით გამოეგზავნა მეფე თეიმურაზს. ის ჩიჩხიტურის მონასტერში გაჩერდა სხვა მეომრებთან ერთად. დილით ადრე კი ერთი მეომარი გაიყოლა და დავითის ლავრაში წავიდა მონასტრის წინამძღვართან - არქიმანდრიტ არსენთან შესახვედრად.

ქედზე მიმავალი ტალა მცირე ხნით შეჩერდა და, როგორც სჩვეოდა ხოლმე, წარბებშეკრულმა და დოინჯშემოყრილმა ყარაიას[14] ველს ესროლა თავისი კუშტი მზერა. დილის რიჟრაჟს გაეფერმკრთალებინა სახმილავებზე[15] დანთებული კოცონები, დღე და ღამე ერთმანეთში არეულიყო და ციდან ჩამოწოლილი თხელი ნისლი შავი სუდარასავით[16] გადაჰკროდა მტრით სავსე ყარაიას ველს. „ალბათ ამიტომ ეძახიან ყარაიას, - გაუელვა თავში ფიქრმა ტალას, - მართლა შავია აქაურობა. თუმცა ყარა ბევრ ადგილს ჰქვიან ჩვენშია. გამოდიი, რომა ეს რჯულძაღლები ჩვენს სამშობლოში სიშავისა და უკეთურების მეტს არაფერ ტოვებენ. თან რამდენი არიან. თაგვებივითა მრავლდებიან და ადამიანთა მოდგმის გაჟლეტის მეტი არაფერი იციან!“

ადგილიდან არ იძვროდა ტალაური. ფეხები გაებოტებინა, ხელები მაგრად შემოეჭდო წელზე, სიმწრისაგან კბილებით ქვედა ტუჩს იკვნეტდა ისე, რომ სისხლი წვერზე გადმოჟონილიყო. ბოლოს, სისხლნერწყვი ველისკენ გადააფურთხა და ზედ მიაყოლა:

- ამ შავ სუდარაი გადაგაფარებთ, თქვე ეშმაკიი ნაჭლიკარებო! ცოცხალ არ გაგიშვებთ არც ერთს, ვინც კი ხელში ჩამივარდებით. თქვენ აქ არ მოეთრეოდით, წინ ჩვენიანი რომ არ მოგიძღვებოდეთ! ...

მცირე ხანს კიდევ გაჰყურებდა ტალა თავისი სამშობლოს გასანადგურებლად მოსულ მტერს და თან მარჯვენა ხელის მტევნით ხმლის ვადას ეფერებოდა. მერე შეტრიალდა და გზა განაგრძო დავითის ლავრისკენ. მონასტერში ბერთა სიმრავლე შეინიშნებოდა, რომლებიც ახლადდამთავრებული შუაღამიანის ლოცვის შემდეგ მონასტრის შიდა ეზოში შეკრებილიყვნენ და წინამძღვრის კურთხევის აღსრულებისთვის ემზადებოდნენ. თითქოს ტალას გამოჩენას ელოდებოდნენო, ყველანი შებრუნდნენ აღმოსავლეთისკენ, დაიჩოქეს და ხმამაღლა დაიწყეს ლოცვა:

- მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

ტალაური მაშინვე მუხლებზე დაეცა, პირჯვარი გადაიწერა და თავისი ხმა შეუერთა ერთობლივ ლოცვას.

როდესაც ბერებმა ეზოდან გასვლა დაიწყეს, ტალამ მონასტრის გალავანთან, ბორცვზე მდგარი წინამძღვარი - არსენი დაინახა, რომელსაც მარჯვენა ხელში ხის ჯვარი ეპყრა და ლოცავდა სამწყსოს. ბერები რიგ-რიგობით ემთხვეოდნენ ჯვარს და ტოვებდნენ ეზოს. ტალა სასულიერო პირებს დაელოდა, ბოლოს მივიდა ჯვართან, ემთხვია და მამა არსენს უთხრა:

- მეფე თეიმურაზმა თქვენთან გამომაგზავნა, მამაო...

- ვიცი, შვილო, - არ დაამთავრებინა სიტყვა არქიმანდრიტმა, - ქვედა ეზოში, ფერიცვალების ეკლესიასთან დამელოდე და მალე გეახლები.

ტალამ მორჩილად თავი დაუკრა მამაოს და ქვედა ეზოსკენ გასწია. გალავნიდან ეზოში რომ გადაიხედა,

ბერთა სიმრავლემ მოსჭრა თვალი, ბერული შესამოსელის ფერის გამო, ეზო მთლიანად გაშავებულიყო. ტალას რიჟრაჟზე დანახული ყარაიას ველი და მისი „შავი სუდარა“ წარმოუდგა თვალწინ. „რა მჭირს? - გაიფიქრა ტალაურმა, - მტერი და მოყვარე ერთმანეთში ამირია ამ შავმა ფერმა!?“ მალევე ჩაირბინა კიბეებით ქვედა ეზოში, შევიდა ეკლესიაში, დავით გარეჯელის საფლავთან მუხლი მოიყარა, საფლავის ქვას ეამბორა, მერე თავი დაადო და ჩურჩულით წარმოთქვა:

- წმიდაო მამაო დავით, გაიღე მოწყალება და მადლითა შენითა იხსენ ჩემი სამშობლო მტრისაგან, როგორც შინაურისა, ისე გარედან მოსულისა. აგერ, ამ ქედს გადაღმა არიან დაბანაკებულნი ორივენი და არა მგონია, მაგათი საქმე მხოლოდ ნადირობა და გართობა იყოი. მეოხ გვეყავ, წმიდაო მამაო უფალთან, რათა გადაარჩინოი ჩვენი ქვეყანა აოხრებისაგან.

ტალა წამოდგა, გულის ჯიბიდან, თავისი ხელით დამზადებული სანთელი ამოიღო, დაანთო დავით გარეჯელის ხატთან, პირჯვარი გადაიწერა და როგორც კი გასვლა დააპირა ტაძრიდან, მამა არსენიც შემოვიდა ეკლესიაში, კიდევ ერთხელ დალოცა ტალა და იქვე საკურთხევლის მარცხენა მხარეს კლდეში გამოკვეთილ სკამებისკენ მიიწვია. პირჯვარი გადაიწერა, სტუმართან ერთად დაბრძანდა სკამზე და ჰკითხა ტალას:

- რა ხდება კახეთს? როგორ ბრძანდება მეფე თეიმურაზი?

- თეიმურაზი, მამაო, სულ ბრძოლაშია, - მიუგო ტალამ, - როგორც ჩანს ბრძოლით იქარვებს იმ დარდსა და

ნაღველს, რომელიც შაჰმა ქვეყნისა და ოჯახის დანგრევით მიაყენა.

- ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა, შვილო, - თქვა მამაომ და პირჯვარი გადაიწერა, - ღმერთმა შეძლება მისცეს მეფეს, რომ ამ მტარვალებისგან იხსნას კახეთი.

- ღმერთმა გისმინოს, მამაო.

- ახლა რა მდგომარეობაა კახეთში? - ისევ იკითხა მამა არსენმა.

- სპარსეთ-ოსმალეთის განახლებულმა ომმა ჩვენზეცა იმოქმედა, - უპასუხა ტალამ, - შაჰის მიერ თეიმურაზის მაგივრად დანიშნული თეიმურაზის გამაჰმადიანებული ბიძაშვილი ისა-ხანი სპარსეთში გაემგზავრა და კახეთი ჯორჯაძეი და ჯანდიერ დაუტოვა. ამათ კიდენა თეიმურაზი იმერეთიდან გადმოიყვანეი და აჯანყებისთვინ მოემზადნენ. კახეთ შირვანიც აიყვა. ცბიერმა შაჰმა მაშინვე იყნოსა, რომ აჯანყებაში ოსმალოი ხელი ერია და კახეთში ალი-ყული-ხანი გამოაგზავნა ხუთმეტიათასიანი ჯარითა. თეიმურაზმა კუდით ქვა ასროლინა ალიყული-ხანსა და მიწაითან გაასწორა. სპარსეთის ლომი ძალიან გაუმწარებია ამ ამბავსა და აგერ დიდძალი ლაშქრითა მოადგა ჩვენ ქვეყანასა, თან თვითონვე უსარდლა და ვითომ სანადიროდ არი გამოსული ყარაიაზე. როდიი იყო ამხელა ლაშქრით სანადიროდ დადიოდნენ.

- მართლა ნადირობენ, შვილო, - ამოიოხრა მამა არსენმა, - შეწუხებულები ვართ მაგათი მეომრებით, ხან რას გვთხოვენ და ხან რას. ჯერ იყო და მაგათი მორიგე ჯარის სარდლის - ყარაიას ხანის მეომრებით ვიყავით

შეწუხებულნი და ახლა ნელა-ნელა სხვებიც მიემატნენ. მართალია არ გვაწიოკებენ, მაგრამ რაც მოეწონებათ ყველაფერი მიაქვთ, საჭმელ-სასმელზე არაფერს ვამბობ, ჩვენ ბერები ვართ და შიმშილს ადვილად გადავიტანთ. ეს სათნოც არის ღვთისთვის, მაგრამ სიწმიდეებზე ვდარდობ. ეს ხომ ჩვენი საუკუნოვანი განძია, წმიდა მამების მიერ დატოვებული. მუსლიმებისთვის ის მოხმარების საგანია, ხოლო ჩვენთვის სიწმიდე. ეს თუ ვერ დავიცავით ჩვენ რა კაცები ვიქნებით.

- სწორედ მაგისთვინ გამომაგზავნა მეფემ, მამაო, - შეაგება სიტყვა ტალამ, - სიწმიდეები და საგანძური უნდა გადავიტანო ქვეყნი შიგნით მიუვალ ადგილებზე. კახეთში ამ გზით მე თვითონ ბევრი რამ გადავარჩინე. თუ თქვენი კურთხევაც იქნება მე დღესვე შევუდგები მაგ საქმესა...

- ჩვენი ყველაზე დიდი სიწმიდე დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვაა, - თქვა მამაომ და პირჯვარი გადაიწერა, - შეგვეწიოს მისი მადლი და ის წმიდა ნაწილები, რომელიც ჩვენს საძვალეებში ინახება. მათი გადაბრძანება მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარშიც სურდათ, მაგრამ ლუარსაბ მეფის დატყვევების შემდეგ ვეღარ გაბედეს, რადგან შაჰის მსახვრალი ხელი ქართლსაც გადასწვდა. მართალია აქ ჯერჯერობით უსაფრთხოდ არის ეს ყველაფერი, მაგრამ ცუდი წინათგრძნობა მეუფლება ხოლმე და სჯობს, რომ ქვეყნის სიღრმეში შევაბრძანოთ, ისე, როგორც წმიდა ნინოს ჯვარია დაბრძანებული გერგეტს.

- გეთანხმები, მამაო, - მიუგო ტალამ, - ჯერ კიდევ სპარსეთში წასვლამდე ქეთევან დედოფალიც აფრთხილებდა თეიმურაზსა, რომ სიწმიდეების დაცვაზე ეზრუნა და ხშირად ეუბნებოდა: „აქამდე რომ მოვიდა ჩვენი სამშობლო, ეს ყველაფერი ღმერთის დამსახურებაა და ამიტომ მის ნაბოძებ სიწმიდეებს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილებაო“. თანაც, მამაო, დილას ვუყურებდი ყარაიას ველსა და მართლა დიდი ლაშქარი შეუკრებია შაჰსა, რაღაც საშინელებას გვიმზადებს. გზამკვლევებად კი ჩვენი სისხლი და ხორცი ჰყავს, რომლებიც თეიმურაზზე გულმოსულები არიან და ყველაფერ გააკეთებენ, რომ შური იძიონ. იმაი კი აღარ ფიქრობენ, რომ ამით განადგურების პირაი მიიყვანენ სამშობლოსა.

- კარგი, შვილო, - თქვა მამა არსენმა და წამოდგა, - დღეს დიდი ხუთშაბათია, მალე წითელი პარასკევი დადგება და ნურაფერს მოვკიდებთ ხელს. შაბათს კი ყველა სიწმიდეს გადმოგცემთ და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთის შეწევნით უსაფრთხო ადგილას დააბრძანებთ.

## III

წითელ პარასკევს ყარაიას ველზე ღრუბლიანი დილა გათენდა, მტკვრიდან ნიავს სუსხი მოჰქონდა. ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა არემარე. მიუხედავად ამისა, სპარსელთა ბანაკში დიდი ჩოჩქოლი ატეხილიყო. შაჰ-აბასი სანადიროდ მიბრძანდებოდა და იყო გაუთავე-

ბელი სამზადისი. შაჰს ნადირობა ძალიან უყვარდა, როგორც ცხოველებზე, ასევე ადამიანებზე. თუ ნადირობა წარუმატებელი გამოდგებოდა, მაშინ ადამიანებზე იყრიდა ხოლმე ჯავრს, რათა თავისი სისხლსმოწყურებული ვნებათა ღელვა დაეცხრო. მისმა გარემოცვამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც გამალებულნი შესდგომოდნენ ნადირობისწინა სამზადისს.

უცებ, ყველა და ყველაფერი გაჩერდა ბანაკში. ნიავმაც კი შეაჩერა თავისი თავისუფალი ქროლვა. სანადიროდ გასარეკმა ძაღლებმაც შეწყვიტეს წკმუტუნი. იარაღთა და აბჯართა ჟღარუნიც აღარ ისმოდა. ბანაკის სიღრმეში გამოჩნდა სპარსეთის ლომად წოდებული შაჰ-აბასი, შემოსილი სანადირო აღკაზმულობით, თეთრ ცხენზე ამხედრებული ეშმაკივით მოიზლაზნებოდა და ზევიდან დაჰყურებდა მის გარშემო ერთგული ძაღლებივით მოლაქუცე ქვეშევრდომებს. იქვე ახლოს მოლების მთელი არმია დაჩოქილიყო და შაჰის სადიდებლად თავს ურტყავდნენ მრავალჭირგამოვლილ ქართულ მიწას.

მესაყვირეებმა ნიშანი მისცეს და ირანის მბრძანებელი მრავალეროვან ამალასთან ერთად წავიდა სანადიროდ...

...ამავე დროს ჩიჩხიტურის კოშკიდან კახეთის მიმართულებით შათირმა გაჰქუსლა, რათა მოეხსენებინა მეფისთვის ირანელთა გადაადგილების შესახებ. ამ მიზნით, ყოველდღიურად ორი-სამი მალემსრბოლელი მაინც მიდიოდა კახეთსა და ქართლში ამბის ჩასატანად. კარს მომდგარი მტერი არ ჩქარობდა ადგილიდან დაძვრას. სისხლისმსმელ შაჰს რაღაც მზაკვრობა ჰქონდა გულში

ჩადებული და ამას არავის უმხელდა, გარდა იმ ეშმაკთა ლეგიონისა, რომელთა უხილავ გარემოცვაშიც ის იმყოფებოდა. კარგად იცოდა აბასმა, რომ ქართველების გატეხვა არ იყო ადვილი, სანამ ისინი ქრისტეს რჯულზე მყარად იდგნენ. ამიტომაც პირველი იერიში ქრისტიანობაზე მიიტანა. რწმენის მოშლა ქართველების დაქსაქსვას გამოიწვევდა და მათი დამარცხება ადვილი იქნებოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ მართლმადიდებლობის დაშლა სათავიდან უნდა დაეწყო. მეფის კარის რწმენის გარეშე დატოვება მთელ სამეფოს გადაედებოდა და ეს კი მუსლიმების წისქვილს დაასხამდა წყალს. ამის გამო სპარსეთში იბარებდა ქართლელ და კახელ თავად-აზნაურებს და რჯულის შეცვლას სთხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში წამებით ხდიდა სულს. არც მეფე ლუარსაბის ციხეში გამოკეტვას მოერიდა და ამით აჩვენა ქართველებს, რომ უნდა ეღიარებინათ ალაჰი და მიეღოთ მუსლიმანობა. ბევრმა ქართველმა აღიარა მაჰმადის რჯული, შაჰისგან წყალობაც მიიღო და მის სამსახურშიც ჩადგა. მხოლოდ თეიმურაზ მეფეს ვერ უხერხებდა ვერაფერს. თუმცა ამის საშუალებაც მიეცა, როდესაც მეფეს მეუღლე, მამია გურიელის ასული ანა გარდაეცვალა. შაჰმა მგლოვიარე თეიმურაზი თავისთან მიიწვია - „განძარცვა გლოვა, ანადიმებდა და ანადირებდა მარადღე“, გულში კი მზაკვრობა ჰქონდა ჩადებული სეფევიდების იქედნეს. ერთ-ერთი ნადირობის დროს, შაჰმა ჰკითხა თეიმურაზს:

- როდემდე აპირებ მარტოდ ყოფნას? შენ ცოლი გჭირდება, კახეთს კიდევ - დედოფალი?

თეიმურაზი არც დაფიქრებულა და უმალ გასცა პასუხი:

- ანას გარდაცვალების შემდეგ ცოლის მოყვანაზე არც მიფიქრია, დიდო შაჰო, ხოლო რაც შეეხება დედოფლობას, კახეთის დედოფალი დედაჩემი გახლავთ და სანამ ცოცხალია, ვერავინ შეცვლის მას.

არ მოეწონა აბასს თეიმურაზის პასუხი, თუმცა არ შეიმჩნია, თავისი მოჭუტული თვალები გააფართოვა, გაიღიმა და ღიმილითვე წარმოთქვა:

- ქეთევანი აქაც კარგად გრძნობს თავს შენს შვილებთან ერთად, შენ კი მარტო ხარ სამეფოში. ამიტომ გირჩევ შეირთო ცოლად ლუარსაბ ქართლის მეფის და ხორეშანი და გახდი ჩემი ქვისლი და ლუარსაბის მოყვარე, ამით შენ ცოლი გეყოლება გვერდით და სამივენი სიამტკბილობით გავატარებთ ალაჰისგან ბოძებულ სიცოცხლეს. აბა, რას იტყვი, თეიმურაზ?

თეიმურაზი არ მოელოდა შაჰისგან ასეთ შეთავაზებას. მოსმენილით ძლიერ შეწუხდა, რადგან ხორეშანი მისი ნათესავი გახლდათ. ხორეშანის ბებია ნესტან-დარეჯანი თეიმურაზის პაპის ალექსანდრეს და იყო. მეფემ როგორც კი დააპირა პასუხის გაცემა, მაშინვე დაასწრო შაჰმა, თვალებში ჩახედა მარცხენა წარბაწეულმა და განრისხებისაგან ლოყებაწითლებულმა კბილებიდან გამოსცრა:

- მოიყვან ხორეშანს, რადგან მე ძალიან მსურს შენი ქვისლობა!

- შენი ქვისლობა მეც მსურს, დიდო შაჰ, მაგრამ მე ქრისტიანი ვარ და ჩემი რჯული ამის უფლებას არ მაძ-

ლევს. - მიუგო თეიმურაზმა და თან გაიფიქრა - „იქნებ ამან მაინც გადააფიქრებინოსო განზრახვა“ - თუმცა ამის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც სცადა.

შაჰმა წინასწარ იცოდა, რომ თავის გასამართლებლად თეიმურაზი რჯულს მოიშველიებდა. ხორეშანი თეიმურაზის ნათესავი იყო და შაჰმა კარგად იცოდა, რომ მათ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკით ეკრძალებოდათ შეუღლება. ხოლო თუ შაჰი შეძლებდა, რომ ეს ქორწინება შემდგარიყო, მაშინ ამით შეარყევდა ქართული ეკლესიის სიმტკიცეს და კახეთი ადვილად დასამორჩილებელი გახდებოდა. ამასთან, აბასმა ლუარსაბსაც მისწერა, რათა ხორეშანი მიეთხოვებინა თეიმურაზისთვის. მის სიტყვას ვერც ლუარსაბ მეფე გადავიდა და დათანხმდა თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინებას, ოღონდ ეს შეუღლება მოხდა მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა „საკანონო“ გაიღო. დარბაზმა და კათოლიკოსმა გადაწყვიტეს თანხმობა მიეცათ თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინებისთვის უფრო იმიტომ, რომ ორი სამეფოს - ქართლისა და კახეთის ძალები ერთიანდებოდა და მას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქვეყნის თავდაცვისათვის.

ცბიერმა შაჰმა დაინახა რა, რომ თეიმურაზის და ხორეშანის შეუღლებით ხალხში ეკლესიისადმი რწმენას ბზარი გაუჩინა, დაიწყო თავისი ძირითადი მზაკვრული გეგმის განხორციელება. თითქოსდა ხორეშანის შერთვა თვითონ სურდა და წაართვა თეიმურაზმა - „რომელიცა დაი ვჰთხოვე ლუარსაბს, იგი წამართვა მე თეიმურაზ“

და მძვინვარედ მბორგალი შეკრებელი სპათა იქმნა და წარმოვიდა საქართველოსა ზედა და თანა წარმოიყვანა ნუგზარიცა და სააკაძის ძე გიორგი, ორგულნი მემკვიდრისა მეფისა თვისისა და მამულისანი, მოსრულმან შაჰ-აბას ალვანიად ქალაქსა, ზედწოდებულისა განძად, ჰკითხა გიორგი სააკაძეს, რომელსა უყოფდა წყალობასა და პატივსა ეტიკობისათვის[17] საქართველოსა და კახეთის აოხრებისა: „ვითარმედ თქვენ შორის კაცსა ცოლ-წაგვრილსა რაიმე თანა აძს?“ მიუგო გიორგი სააკაძესმან შაჰ-აბასს: „ეგევითარი კაცი წამგვრელსა ცოლისასა აღუოხრებს მამულსა, თუ სადამდე ძალუძს მორევნა და წარმოჰსტყვენავს ყოველსავე მისსა და მოჰკლავსცა“. ხოლო რქვა ესე გიორგი ამისათვის, იცოდა, ვითარმედ თეიმურაზისათვის ჰკითხავს იგი, კახთა მეფესა. მიუგო შაჰ-აბას: „მე ვარო, რომელსა წამგვარა ცოლ თეიმურაზ“.

ასე მზაკვრულად მომართა შაჰ-აბასმა საქართველოსკენ მახვილი. ცხადია, თეიმურაზის მეუღლე მხოლოდ საბაბი იყო შაჰისთვის, სინამდვილეში მან საქართველოსთვის მოიცალა მას შემდეგ, რაც ოსმალეთთან ომი გამარჯვებით დაამთავრა და ზავი დადო. მიუხედავად გამარჯვებისა შაჰი ხედავდა, რომ ოსმალეთმა დროებით აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოზე. ასევე არ გამორიცხავდა რუსეთის ხელახალ ჩარევას საქართველოს საქმეებში. ამიტომ აბასი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას, იქ მუსლიმანების ჩასახლებას და სახანოების შექმნას. ჯერ

კიდევ ათას ექვსას თორმეტი წლის ზაფხულში შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი, ნადირობის საბაბით, მაზანდარანს დაიბარა. მეფეები არ ენდვნენ მას და არ წავიდნენ. ლუარსაბისა და თეიმურაზის საქციელი აჯანყებას უდრიდა, ამით ისინი შაჰის ვასალობაზე უარს ამბობდნენ. ერთი წლის შემდეგ შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა. შაჰმა ზამთარი განჯაში გააატარა და კახეთში მხოლოდ ათას ექვსას თოთხმეტი წლის გაზაფხულზე შეიჭრა. განჯიდან შაჰმა თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და მძევლად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მძევლების მიცემა, რაშიც კახელებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი იძულებული გახდა, ჯერ უმცროსი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე კი უფროსი შვილი - ლევანი. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც დაიბარა თავისთან, მაგრამ თეიმურაზი არ წავიდა. კახელები მიხვდნენ, რომ შაჰ-აბასს ბაგრატიონების ამოწყვეტა და კახეთში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი. სასწრაფოდ შეუდგნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

შაჰთან შებრძოლების შემდეგ თეიმურაზმა უკან დაიხია, ალყას თავი დააღწია და ქართლში გადავიდა. ლუარსაბმა, რომელსაც ასევე არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია შაჰისათვის, თეიმურაზთან ერთად იმერეთში გადავიდა. აბასმა ხელთ იგდო თორღვას ციხეში შენახული კახეთის სამეფო განძეულობა და თეიმურაზის მთელი ქონება. შეესივნენ მთელ კახეთს, მხოლოდ ერწო-თიანეთიდან ოცდაათი ათასი ტყვე გაიყვანეს. ქვეყანას თითქ-

მის ორი თვის განმავლობაში აოხრებდნენ. ამის შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა და გორს დადგა. იქიდან იმერთა მეფეს შეუთვალა მასთან მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი გადმოეცა. იმერთა მეფემ ძვირფას სტუმრებს არ უღალატა და უარით გაისტუმრა ირანის მბრძანებელი. შემდეგ ლუარსაბი თავისი ნებით ესტუმრა შაჰს, ხოლო თეიმურაზი - არა.

ათას ექვსას თხუთმეტი წლის ალავერდობის დღესასწაულზე, დავით ჯანდიერის თხოვნით, სპარსელებმა ქართველებს ნება დართეს დასწრებოდნენ სადღესასწაულო წირვას. იმ დროს ალავერდის მონასტერი სპარსელებს ციხე-სიმაგრედ ჰქონდათ გადაკეთებული და მათი ლაშქრის ძირითადი ნაწილიც იქ იყო დაბანაკებული. წირვის დამთავრების შემდეგ, დათქმულ ნიშანზე ქართველებმა დამალული იარაღი იშიშვლეს და მუსრი გაავლეს ყიზილბაშებს. მალე იმერეთიდან მეფე თეიმურაზიც ჩამოვიდა, აჯანყებას სათავეში ჩაუდგა და დაიწყო კახეთის გაწმენდა სპარსთაგან. საპასუხოდ შაჰმა რჩეული მეომრებისაგან თხუთმეტიათასიანი არმია შეადგინა და კახეთს შეუსია. თეიმურაზი წიწამურთან შეება მტერს და ერთიანად ამოხოცა. ბრძოლა სულ რამდენიმე ჟამს გაგრძელდა. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს...

...და აი, ახლა კახელებზე გახელებული შაჰი თბილისსა და ყარაიას ველზე აგროვებდა ლაშქარს. ნაწილი ხერკსა[18] და ერწო-თიანეთს უნდა შესეოდნენ, ხოლო თვითონ - კახეთს. ამასთან შეუთვალა დაღესტნელებს:

„მნებავს მოწყვედა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა“...

...თვითონ კი სპარსეთის ლომი ყარაიას ველზე ნადირობით ირთობდა თავს...

...წითელ პარასკევს, მიმწუხრისას, მონადირენი ნანადირევით დატვირთულნი შემოვიდნენ ბანაკში. ფრინველი და ნადირი არ დატოვეს ყარაიაზე. დახოცილი ქურციკებით დატვირთულ ურმებს ბოლო არ უჩანდა, ფრინველებს ხომ ვერ დაითვლიდა კაცი. თითქოს, რაც კაკაბი და ხოხობი იყო მტკვრის ჭალებში ერთიანად გაეწყვიტათ. კარგ ხასიათზე იყო შაჰ-აბასი. ჩამოხდა ცხენიდან, იხმო ვეზირები და გასცა ბრძანება:

- სანამ ჩვენი სახანოებიდან ლაშქრის შევსებას მივიღებთ, ხვალიდან ნანადირევით გავირთოთ თავი! დღეს კი დასვენება მიბრძანებია!

## IV

ვნების კვირის შაბათი თენდებოდა, როდესაც ჩიჩხიტურის მონასტერთან მეფის გამოგზავნილი შათირი მიიჭრა. ტალა იკითხა. მერე ჭენებისაგან დაღლილი ცხენი გუშაგებს მიაბარა, თვითონ კი კოშკისკენ გაეშურა.

ტალა იარაღასხმული, ქანდაკებასავით იდგა კოშკის გვერდზე და მისკენ მომავალ მაცნეს ელოდებოდა.

- გამარჯვნება, ტალავ! - მოსვლისთანავე შესძახა შათირმა.

- გაგიმარჯვნოი, სესევ! - მაშინვე იცნო ტალაურმა, ჯერ კიდევ დილის სიბნელეში მომავალი თანამებრძოლი.

ვაჟკაცები ერთმანეთს წესისამებრ მარჯვენა მხარზე ემთხვივნენ და ერთმანეთი მოიკითხეს.

- ტალა, - უთხრა სესემ თანამებრძოლს, - თვით მეფე თეიმურაზმა გამომაგზავნა შენთან.

- რა ხდება, ძმობილო, ახალია რაიმე?

- შაჰი არა მარტო კახეთის და კახელების, არამედ ეკლესია-მონასტრების მიწასთან გასწორებაი აპირებს, - მიუგო სესემ, - მეფეი არ უნდა, რომა განმეორდეი თორღვაი ციხეში გადამალულ სამეფო განძეულობის დატაცების მსგავსი რამ და ამიტომ დაგავალა, რომა გარეჯიი მონასტრების სიწმიდეები სასწრაფოდ მოაგროვო და გადამალო მტრისგან მიუწვდომელ ადგილასა.

- ამისთვინ ვარ აქ ჩამოსული, - განუცხადა სესეს გაკვირვებულმა ტალამ, - ხვალ საღამოი ყველა მონასტრიდან დავითი ლავრაში მოიტანენ სიწმიდეებ და გადმომცემენ. აბა, ხო იცი, გუშინ წითელი პარასკევი იყო და ყველა მონასტერი მდუმარებაში აღასრულებდა საღვთო მსახურებასა.

- დააჩქარე, ტალა, - თქვა სესემ, - მეფემ ბრძანა, თუ გარეჯიი სიწმიდეებ გაანადგურებს მტერი, ქვეყანა დაიღუპებაო. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა აქ ჩაფიქრებული ამ ეშმაკის მოციქულსა. დრო არ ითმენს, ძმობილო. მე თან წამოვიყვანე რამდენიმე რჩეული მეომარი, დაგიტოვებ მათ და დაგეხმარებიან.

- გასაგებია, ძმაო, გადაეცი მეფესა, რომა ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს სამშობლოი და მეფეი ჭირდე-

ბა. რაც შეეხება მეომრებსა, ისინი სამშობლოი დასაცავად გამოიყენეთ. ჩემს საქმეი მე მივხედამ.

- ღმერთი იყოი შენი მფარველი, ტალა! - შესძახა სესემ და დაემშვიდობა ძმობილს.

ტალამ თვალი გააყოლა კახეთისკენ მიმავალ თანამებრძოლებს, ჯვარი გადასახა, ავიდა კოშკთან და გადაიხედა ქედს იქით. დიდი შაბათის დილა ნელა-ნელა ძალას იკრებდა და ნათელს ჰფენდა არემარეს. დიდი სამზადისი იყო შაჰის ბანაკში. მრავალ ადგილას დაენთოთ ცეცხლი და იხარშებოდა და იწვებოდა წითელ პარასკევს მონადირებული ფრინველ-ცხოველი. როგორც ჩანდა დიდი ნადიმისთვის ემზადებოდა ირანის მბრძანებელი...

...გარეჯის ქედზე კი შემოსულიყო დიდი შაბათი. ამ დღეს მაცხოვარი იმყოფებოდა საფლავში, ხოლო სულით ჩაბრძანდა ჯოჯოხეთში. შემუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, გახსნა სამოთხის კარი და მართალთა სულები გადაიყვანა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში. წმიდა იაკობ სპარსის სახელობის ეკლესიიდან ისმოდა ბერთა გალობა:

„...რაჟამს ჰშთახედ საფლავად, ცხოვრება ეგე უკვდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე, ელვითა მით ღვთაებისა შენისათა, ხოლო რა ჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყუანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ჰღაღადებენ, ცხოვრების მომცემელო, ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა... მსუროდა მაცხოვარებაი შენი, უფალო, და სჯული შენი არს ზრახვა ჩემდა. ცხონდეს სული ჩემი და გაქებდეს შენ და სამართალნი შენნი შემეწიენ მე, შევსცეთი მე ვითარცა ცხოვარი წყმედული; მომიძიე მონა შენი, რამეთუ მცნებანი შენნი მე არა დავივიწყენ...“.

ტალამ პირჯვარი გადაიწერა და წმიდა დავითის ლავრისკენ გასწია.

როდესაც ტალა ლავრაში მივიდა წმიდა ბასილი დიდის ჟამის წირვა უკვე დაწყებული იყო. ყველა ეკლესია და მონასტრის ეზოები სავსე იყო ბერებით. მათი გალობა ზეცას სწვდებოდა:

- რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს ალილუია...

ტალა ბოლომდე დაესწრო ჟამის წირვას, რადგან მამა არსენი უნდა ენახა და მერე შესდგომოდა სიწმიდეების წასაღებად მომზადებას. დღეს განსაკუთრებული მადლი მოჰფენოდა წმიდა დავით გარეჯელის დაარსებულ მონასტერს. ტალას გარშემო თითქოს რაღაც განსაკუთრებული სივრცე შეიქმნა, რომლის იქითაც ვერაფერს ხედავდა და ვერც გრძნობდა. ბოლოს, არაამქვეყნიური გალობა ჩაესმა: „ნუ მტირ მე, დედაო, მხილველნი საფლავთა შინა ძისა, რომელი მუცლად მიღე თვინიერ თესლისა, რამეთუ აღვსდგე და ვადიდო მე ღვთაებრ და მაღალ ვჰყვნე დიდებით, სარწმუნოდ და სურვილით დაუცხრომელად შენნი მგალობელნი“. გალობის შემდეგ ტალას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს თვით იესო ქრისტე ჩამობრძანდა მონასტერში ანგელოზებთან ერთად.

ჟამის წირვის დასასრულს, შემდგომად ამბიონის ლოცვისა, მამა არსენმა პურისა და ღვინის კურთხევა აღასრულა და აგრეთვე კურთხევა მისცა ბერებს აღდგომის წირვა-ლოცვისთვის მომზადებულიყვნენ. ქადა-

გების დროს მამამ კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, გახედა სამწყსოს და წარმოთქვა:

- ძმანო, ღვთის ანგელოზი გამომეცხადა და მაუწყა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანეში მოგიწოდებთ ყველას. ამ ღამით თქვენ დიდი გამოცდა გელით - მახვილით მოისრებით. ვისაც სურს, დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიქცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმრთის ეს მოწოდება სავანეში შეკრებილ ყველა ბერს“. აჰა, გაუწყეთ ყოველივე, რაც მითხრა ანგელოზმა. გადაწყვეტილება თქვენ თვითონ მიიღეთ. სააღდგომო ლიტურღიას წესისამებრ შუაღამისას დავიწყებთ ქედზე მდებარე აღდგომის ტაძარში.

ბერებმა მამა არსენის კურთხევა მორჩილებით მიიღეს და დაიწყეს მოწამეობრივი ღვაწლისთვის მზადება.

მამა არსენმა ტალას გარეჯის მონასტრებიდან მოტანილი სიწმიდეები გადასცა, ასევე მადლის ქვაც, დალოცა, ჯვარი გადასახა და მშვიდობიანი და უსაფრთხო მგზავრობა უსურვა.

ტალა არ ჩქარობდა. მამა არსენის სიტყვები ისევ თავში უტრიალებდა. ბრძოლებში გამობრძმედილმა ვაჟკაცმა ვერ მოითმინა და უკვე საკურთხეველში შესასვლელად მომზადებული მოძღვარი შეაჩერა და უთხრა:

- მამაო, დავრჩები. თავ შევაკლავ მტერსა და ქრისტეი მსახურებიი გაჟლეტის უფლებაი არ მივცემ. ჩემნაირი კიდევ ორი მელოდება ჩიჩხიტურიი მონასტერშია.

- არა, შვილო, - მიუგო მამა არსენმა, - ეს ჩვენი ჯვარია და მორჩილებით უნდა შევხვდეთ ამ გამოცდას. მხოლოდ ერთი რამ მთრგუნავს, რომ მტერთან ჩვენი თანამემამულეებიც არიან და თანაც რჯულშეცვლილნი. ალბათ, ისინი გამოუძღვებიან მტარვალებს. აკი უთქვამს იმ ურჯულო შაჰ-აბასს: „რჯულშეცვლილი გურჯი ყველაზე დაუნდობელი მტერია საქართველოსი. თუ მოახერხებ მას ფესვი ამოჰგლიჯო, შენი ბრმა მონა იქნება მარადჟამს. მას ვაზის თვისება აქვს, თუ სხვაგან გადარგავ - უფერულდება, ველურდება და გადაგვარდება. შემდეგ უმადური შვილივით ეცდება თავისი სულმოკლეობა სამშობლოს გადააბრალოს“.

- ნუ იყოფინ, მამაო.

- ნუ იყოფინ, შვილო.

## V

ნადირობისა და გართობისაგან გადაღლილმა შაჰ-აბასმა ნაშუადღევს თავის მოსასვენებელში ამოიკნავლა, რითაც მსახურების მთელი არმია დააფრთხო. მას ქვეშევრდომები ხშირად სამყაროს მბრძანებელთან ერთად სპარსეთის ლომსაც უწოდებდნენ, თუმცა ლომამდე ვერ სწვდებოდა მისი უბოროტესი ქცევა და გონება. ახლაც ლომებრივი ღრიალის მაგიერ, თრიაქით და ღვინით გაბრუებულმა აბასმა კატისამებრ ძლივს ამოიკნავლა. კარვის მცველი და დასტაქარი ეახლნენ ხალიჩაზე გაგო-

რებულ მბრძანებელს. ნასმურევი როგორც იქნა გამოიყვანეს მდგომარეობიდან და მისი ჰარამხანის საყვარელ ხათუნებს ჩააბარეს.

მიმწუხრისას, შაჰმა დიდ კარავში ნადიმობა ბრძანა და გუშინდელი ნანადირევის დაგემოვნება ინება ვეზირებთან და სარდლებთან ერთად. დიდებული სუფრა გაიშალა მოფარდაგულზე. მოწვეული დიდებულები ფეხმორთხმით განლაგდნენ მორთმეული ჭამადის გარშემო და ლხინის დაწყებაზე ბალიშ-მუთაქებზე წამოწოლილი შაჰის ბრძანებას ელოდნენ. შაჰმა ხელის ერთი გაქნევით ანიშნა თანამეინახეებს სერის დაწყება და თვითონაც გემო გაუსინჯა მის წინ დადებულ ქურციკის მკერდის ხორცის ნაჭერს.

შაჰის მარჯვნივ ფეხმორთხმულმა, უკვე გამაჰმადიანებულმა ქართველმა დიდებულმა ასწია შარბათით სავსე ფიალა და ხმამაღლა შესძახა:

- დიდება ალაჰის წარმომადგენელს მიწაზე, მსოფლიოს მბრძანებელს, სპარსეთის ლომს - დიდ შაჰ-აბასს!

- დიდება!..

- გამარჯვება!..

- ალაჰი იყოს მისი მფარველი!..

მუთაქებზე წამოწოლილმა აბასმა ხელი ასწია, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ყველა უნდა გაჩუმებულიყო და მოესმინა შაჰის სიტყვა. მან მის მარჯვნივ მსხდომ ქართველებს გახედა და დამცინავი მზერით წარმოთქვა:

- როდის იყო, რომ ქართველები სადღეგრძელოს შარბათით წარმოთქვამდნენ!? ღვინო შემოგელიათ თუ

რას მივაწერო თქვენი საქციელი. მე შესანიშნავი ღვინო მაქვს და გიწილადებთ.

მერე ანიშნა მსახურთუხუცესს და ამ უკანასკნელმაც მსახურებს უბრძანა მიერთმიათ ქართველი დიდებულებისთვის ღვინო. თვითონ კი შაჰს ვერცხლის ჯამში შარბათი ჩამოუსხა. ქართველებმა ერთმანეთს გადახედეს, ყველას ერთი რამ უტრიალებდა თავში: „მოწამვლას ხომ არ გვიპირებს ამ სააღდგომოთო“. მაგრამ როდესაც შეხედეს შაჰს თუ როგორ გემრიელად გამოსცალა ფიალა, ულვაშებზეც ხელი კარგი მოქეიფე კაცივით გადაისვა და მოზრდილი ხორცის ნაჭერიც მადიანად გაძიძგნა, მიხვდნენ, რომ ის შარბათს არ მიირთმევდა, არამედ ღვინოს. ეს არც გაჰკვირვებიათ ქართველებს, რადგან იცოდნენ, რომ შაჰს ღვინო და მოლხენა უყვარდა და ამასთან ერთად კარგი მსმელიც იყო. არა ერთი ცნობილი თამადა ჰყავდა დამარცხებული ღვინის სმის დროს. თუმცა სიმთვრალის დროს ახირება უყვარდა. ახლაც, როგორც ჩანდა, დათრობას აპირებდა და ნადიმსაც დიდხანს გააგრძელებდა.

ლხინი მართლაც დიდხანს გაგრძელდა. მუსიკას და თათრულ სიმღერებს ჰარამხანის ქალთა თვალისმომჭრელი ცეკვები ანაცვლებდა. გუშინდელი დღის სიამოვნებით გადაღლილი შაჰი ვერ ისვენებდა. ბოლოს, მსახურთუხუცესი იხმო და უთხრა:

- მგონი დავიღალე, სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მსურს. მერე ვნახოთ რა მომესურვება და გეტყვი.

მსახურთუხუცესმა შაჰი წამოაყენა და კარვის გასასვლელისკენ გაუძღვა. შიდა და გარე დაცვამ ალყა



შემოარტყა აბასს და მისი ბრძანებისამებრ იწყო სვლა. შაჰი შეჩერდა, ზეცას ახედა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მერე გარეჯის მთებისკენ გაიხედა, დაღლილობისგან მოთენთილი უცებ გამოფხიზლდა, მარჯვენა ხელი წინ გასწია და ყულარაღასი იხმო.

- მე ალბათ თვალი მატყუებს, - ჰკითხა მის წინ თავდახრილ ქვეშევრდომს, - აბა, შენ შეხედე, იმ მთაზე მოძრავი ცეცხლის ზოლს თუ ამჩნევ!?

ყულარაღასმა, რომელსაც ძალიან კარგი მხედველობა ჰქონდა, გაიხედა მთებისკენ, მართლაც შენიშნა მოძრავი ცეცხლის რკალი და შაჰს უპასუხა:

- მბრძანებელო, როგორც ყოველთვის, თქვენ მართალი ბრძანეთ. ეს მოძრავი ცეცხლის რკალია. თუ მიბრძანებთ ახლავე გავარკვევ, რა ხდება მთაზე.

შაჰმა წვერებზე ჩამოისვა ხელის მტევანი და იყვირა:

- ყარაიას ხანი აბდულა მომგვარეთ აქ!

სულ მალე ყარაიას ხანი აბდულა ოთხად მოკაკვული იდგა შაჰის წინაშე.

- აბდულა-ხან, რა ხდება იმ მთაზე!?

- მონასტრის ბერები თავისი ღმერთის - ქრისტეს აღდგომას ზეიმობენ, მბრძანებელო, - მიუგო აკანკალებული ხმით აბდულამ და კიდევ უფრო მოიკაკვა შაჰის წინაშე, - ისინი ყოველ წელიწადს ატარებენ ამ რიტუალს...

- და შენც არ უკრძალავ ხომ? - იქედნური ღიმილით წარმოთქვა შაჰმა. მან კარგად იცოდა ქრისტეს აღდგომის ძალა. ამიტომაც ვერ ამარცხებდა ქართველებს და ამიტომაც უნდოდა მართლმადიდებლობის განადგურება. ცხვირწინ აუნთეს სანთლები გიაურებმა.[19]

- მბრძანებელო, - ფიქრი შეაწყვეტინა აბდულა-ხანის სიტყვებმა შაჰს, - ეგ ბერები ხიფათს არ გვიქმნიან, წყნარი ხალხია. თან თუ რაიმე გვითხოვია ყველაფერში გვეხმარებიან. სიკეთის მეტს არაფერს აკეთებენ ჩვენთვის.

- აბდულა! - იყვირა შაჰმა, - მეგონა ჭკვიანი იყავი და თურმე სულელი ჰყოფილხარ! „სიკეთის მეტს არაფერს აკეთებენ ჩვენთვისო.“, რომ ამბობ, ახლა თუ იცი, რას აკეთებენ!?

აბდულა-ხანს ხმა არ ამოუღია. ისევ აბასმა განაგრძო:

- ის ათასობით სანთელი რატომ აქვთ დანთებული იცი!? თავის ღმერთს სთხოვენ, რომ დაეხმაროს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც გელაქუცებიან, რომ ლოცვაში ხელი არ შეუშალო! შენი გათამამებულები ყოფილან, ასე ანთებული სანთლებით რომ გვიყურებენ და გვწყევლიან! - მერე მსახურთუხუცესს მიუბრუნდა და უბრძანა, - ამ მოღალატის სარდალი მომიყვანე აქ და ყველას უთხარი, ვინც სუფრასთან ზის აქ მოვიდნენ!

უცებ მოგროვდნენ სპარსელი, ქართველი და სხვა დიდებულები შაჰის ირგვლივ, ერთმანეთს უყურებდნენ და ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. მსახურთუხუცესმა აბდულა-ხანის სარდალი ისმაილი წარუდგინა შაჰს. ისმაილი შაჰის ფეხებთან დავარდა და თაყვანი სცა ქვეყნის მბრძანებელს. აბასმა თავისი მრისხანე თვალები შეავლო ირგვლივ შეკრებილ ქვეშევრდომებს და განუცხადა:

- შეხედეთ! იმ ცეცხლოვან რკალს მთაზე რომ მოსჩანს! ეს ქრიტეანეთა რისხვის გამოხატულებაა, რომელიც აი, ამ მოღალატე აბდულა-ხანმა სიკეთედ მონათ-

ლა! როგორ გაბედეს გიაურებმა ჩემი მყუდროების დარღვევა და მასხრად აგდება!..

...სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ, მხოლოდ მრავალ ადგილას დანთებული ცეცხლის ავისმომასწავებელი ბრიალის ხმა არღვევდა არემარეს... ისევ იღრიალა სპარსეთის ლომმა:

- ხმალი!

მოართვეს მაშინვე ორლესული.

- ისმაილს მიეცით და თავის ყოფილ ხანს აბდულას, როგორც სამშობლოს მოღალატეს, ჩვენს თვალწინ მოჰკვეთოს თავი და ამიერიდან ყარაიას მმართველად დამიდგენია და ხანის წოდებაც მიმინიჭებია!

ისმაილს როგორც ჩაესმა შაჰის ბრძანება და თან ისიც, რომ ის ხანად აღიარა მბრძანებელმა, აბასის ფეხებთან განრთხმული მსწრაფლ წამოხტა, ჩამოართვა აბასს ხმალი და ელვისუსწრაფესად გააგდებინა თავის უფროსყოფილს თავი.

შაჰ-აბასმა ჩაისუნთქა ახლად დაღვრილი სისხლის სუნით შეზავებული ყარაიას ველის ჰაერი და ნასიამოვნებმა ბრძანა:

- აი, ასე დააყრეინეთ თავები ქრისტიან ბერებს, რომლებმაც გაბედეს, ალაჰს შესცოდეს და ჩემი მყუდროება დაარღვიეს!

მერე მიუბრუნდა ქართველ დიდებულებს, გაუღიმა და კბილებში გამოსცრა:

- აბა, გურჯებო, დაგვიმტკიცეთ, რომ თქვენ ქრისტეს კი არა, ალაჰის მონები ხართ და თქვენი წინამძღო-

ლი წინასწარმეტყველი მუჰამედია! თავები დააყრევინეთ თქვენს თანამემამულეებს და საბოლოოდ ვირწმუნებ თქვენს ერთგულებას!..

მცირეხნით შეწყვიტა სისინი შაჰმა, ისევ გარეჯის მთებისკენ გაიხედა და განრისხებულმა იყვირა:

- თუ არა და აბდულას ბედს გაიზიარებთ!

მერე წასვლა დააპირა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ისევ შეჩერდა, შემოტრიალდა. ხეებივით ადგილზე გაქვავებულ და უკვე სრულიად გამოფხიზლებულ ქვეშევრდომებს კიდევ ერთხელ დაუბრიალა თვალები და ამოიკნავლა:

- ყველა მონასტერი ააოხრეთ და ცეცხლს მიეცით! ისმაილ-ხან, შენ უსარდლე ჯარს და შედეგიც შენ მომახსენე!

- ალაჰ აკბარ! - ამოიხრიალეს შაჰის ერთგულმა მონებმა და ხელები ზეცაში აღაპყრეს.

ყარაიას მმართველად ახლად დანიშნულმა და ხანად მონათლულმა ისმაილმა შაჰის ნაბოძები ორლესული, აბდულა-ხანის სისხლით შეღებილი ხმალი ზევით ასწია, ფეხი დააბიჯა ამ უკანასკნელის ჯერ კიდევ თბილ უთავო სხეულს და იყვირა:

- მომყევით, ერთიანად ავჩეხოთ ურჯულო გურჯები!

სპარსელები კალიებივით შეესივნენ გარეჯის მთებს...

...კაშკაშა მთვარე დაჰნათოდა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას...

...აღდგომის ღამეს, ბერების მიერ ანთებული ათასობით სანთელი, ვარსკვლავებით მოჭედილ ცასთან

ერთად ირგვლივ არაამქვეყნიურ იდილიას ქმნიდა. იქ მოხვედრილ ადამიანს გამუდმებული ლოცვის სურვილი გაუჩნდებოდა, თუმცა საკითხავი ის იყო აქ, დედამიწაზე თუ ზეცაში...

სპარსელები მალევე მიადგნენ ქედზე მდებარე აღდგომის ტაძარს, მიმდებარე ტერიტორიაზეც განლაგდნენ და სავანეც ალყაში მოაქციეს, რათა არავის შეძლებოდა გაქცევა. წირვა უკვე მთავრდებოდა და ბერები „მამაო ჩვენოს“ გალობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შენიშნეს მომხვდური, მსახურება არ შეუწყვეტიათ. ყველამ იცოდა თავისი აღსასრულის შესახებ და ამიტომაც მორჩილებით შეხვდნენ განსაცდელს. მამა არსენმა შეიტყო რა სპარსელების გამოჩენა, მაშინვე გავიდა და მომხვდურის მეთაურთან შეხვედრა ითხოვა. ორმა ყიზილბაშმა შეიპყრო იგი და მიიყვანა ისმაილ-ხანთან, რომელიც ამ დროს შაჰის ბოძებულ ხმალს, რომლითაც აბდულა-ხანს თავი მოკვეთა, სისხლს აცლიდა.

- რაო, გიაურო!? - იყვირა ახლად ხანად აღზევებულმა ისმაილმა, ისე, რომ თავი არც აუწევია და ხმალზე შემხმარი სისხლის აფხეკით იყო დაკავებული, - რაო, შეწყალების სათხოვნელად ხომ არ მოხვედი!?

მამა არსენი იცნობდა ისმაილს. ის აბდულა-ხანთან ერთად ხშირად მოდიოდა მონასტერში და მეომრებისთვის პური და სხვა სანოვაგე მიჰქონდა. ამიტომ მამაომ ჩვეულებრივად მიმართა:

- ისმაილ...

- ისმაილ-ხანი! - იყვირა სარდალყოფილმა და მხოლოდ ახლა შეხედა მამაოს თვალებში, თუმცა ვერ გაუძ-

ლო მის სათნო მზერას, ისევ განაგრძო ხმალზე მიმხმარი სისხლის ფხეკა და თან კითხვა დაუსვა მამაოს, - როგორ ფიქრობ, ხმალს სისხლს რატომ ვაცლი!?

მამა არსენმა არ უპასუხა ისმაილს და მხოლოდ თავი დახარა. ბერის ამ საქციელმა გააღიზიანა ისმაილი და შეუღრინა მამაოს:

- ამ ხმალზე აბდულა-ხანის სისხლია, რომელსაც მე შაჰის ბრძანებით თავი მოვკვეთე. მართალია ის მოღალატე იყო და სასჯელსაც სამართლიანად იმსახურებდა, მაგრამ მაინც არ იქნება სწორი, რომ მუსლიმანის სისხლი ქრისტიანების ბინძურ სისხლს შევურიო. ახლა ხომ ხვდები, რისთვის მოვედით აქ!?

- ვიცი, ისმაილ...

- ხანი!.. ისმაილ-ხანი!.. - ისევ შეუსწორა სპარსელმა.

- კარგი, ისმაილ-ხან, - დააკმაყოფილა მამა არსენმა მომხვდურის სურვილი. - ვიცი, რისთვისაც ხართ მოსულნი და ჩვენ უყოყმანოდ დაგემორჩილებით, რათა აღსრულდეს ღვთის განგება. მხოლოდ ერთი სათხოვარი გვაქვს, სიკვდილით დასჯამდე წირვის დასრულებისა და ზიარების უფლება მოგვეცით.

სპარსელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, მცირე დროის შემდეგ აღესრულებინათ შაჰის ბრძანება. მამები ეზიარნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ერთმანეთი გაამხნევეს და საზეიმოდ შემოსილნი წარსდგნენ ურჯულოთა წინაშე.

ისმაილმა, ყველას დასანახად, პირველად მამა არსენს მოჰკვეთა თავი. შემდეგ სპარსელები დაერივნენ ბერებს და უმოწყალოდ აჩეხეს ისინი...



...აღმოსავლეთით ცას სიწითლე შეეპარა. წითლად შეღებილი გარეჯის ქედიც დადუმებული ხვდებოდა ალიონს...

## VI

კახეთში წასასვლელად გამზადებული ტალა მაინც „ფეხს ითრევდა“. საგანძურთან და ორ მეომართან ერთად კოშკში გამოკეტილი ფიქრებს მისცემოდა: „რომ არა საგანძური, ხომ მეც ეხლა იქ ვიქნებოდი. რამდენიმე თათარს მაინც გავიყოლებდი იმ ქვეყნადა და სულიც დამშვიდებული მექნებოდა. რად მინდა ესეთი სიცოცხლე თუ ჩემი სისხლის და ხორცის და მით უმეტეს წმიდა მამების ხოცვა-ჟლეტას ასე გაყინული სისხლით ვხედავდე. ვაი, უბედურო ჩემო დედა სამშობლო! ღმერთო დიდებულო, ეს რას მამასწარი... ეს რა უბედურებაა... თითქოს საგანგებოდ შეიკრიბა ამდენი ბერი გარეჯში...“

მერე უცებ გონს მოეგო და ბიჭებს გასძახა:

- წამოდი, წასვლამდე ეკლესიაში შევიდეთ და იმ ცხონებულ ბერებს სანთელი მაინც დავუნთოთ, რადგან ჩვენ მათთვის სხვა არაფრის გაკეთება შეგვიძლიან!

ტალას და მის მეგობრებს წმიდა იაკობ სპარსის ეკლესიის კარი დახურული დახვდათ. ტალას გაუკვირდა, სულ მცირე ხნის წინ იყო აქ და ეკლესიის კარი ღია დატოვა. გრძნობდა, რომ ვიღაც იყო ტაძარში, ამიტომ ხმალი ამოიღო ქარქაშიდან და ნელა შეაღო კარი. სამლოცველო დარბაზში არავინ ჩანდა. კანკელის ერთი ფარდა ნა-

წილობრივ იყო დაფარული, როგორც ჩანდა, შიგ ვიღაც იყო შესული. ტალა ფრთხილად მიუახლოვდა საკურთხეველს და შეიხედა. კედელზე მიშენებული უფლის ტრაპეზის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ბერი ჩაცუცქულიყო, კანკალებდნენ და პირჯვარს იწერდნენ. ტალა მიხვდა, რომ ბერები შეშინებულნი იყვნენ და ამიტომ ფრთხილად და თითქმის ჩურჩულით მიმართა:

- მამებო, რა ხდება? ვინ ხართ?

ბერებმა ქართველი მეომარი რომ დაინახეს, შვებით ამოისუნთქეს, გამოვიდნენ საკურთხევლიდან და გვერდიდან აღარ სცილდებოდნენ ტალას.

- ვინ ხართ? აღარ იტყვიით? - გაუმეორა კითხვა ტალაურმა.

- ჩვენ ბერები არ ვართ და, რა თქმა უნდა, არც მამაოები, - ძლივს წარმოთქვა ერთ-ერთმა, - ჩვენ მორჩილები ვართ და როდესაც მამა არსენმა ქადაგებაში თქვა ანგელოზის სიტყვები: „ვისაც სურს, დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიქცეს ან დაიმალოსო, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობაო“, ჩვენ შეგვეშინდა და აქ გამოვიქეცით. არც ვიცით რა ხდება იქით და არც ის ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ?

ტალამ დაამშვიდა მორჩილები და უთხრა:

- ლავრაში ცუდი ამბებია. როგორცა ჩანს სპარსელები ანადგურებენ იქ ყველაფერს, ამიტომ ჩვენთან ერთად წამოდით და გაგიყვანთ სამშვიდობოსა. მალე გათენდე-

ბა და აქ გაჩერება საშიშია. ეხლა კი გამომყევით, კოშკში ავიდეთ და მალე გავუდგებით გზასა.

ეკლესიიდან გამოსულმა ტალამ და მორჩილებმა გაიხედეს უდაბნოს მონასტრისკენ. ქედის ირივე მხარეს, როგორც წმიდა დავითის ლავრიდან, ასევე უდაბნოს მონასტრიდან კვამლი ამოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპარსელებმა ეკლესია-მონასტრებს ცეცხლი წაუკიდეს და შაჰს დაანახეს თუ როგორ პირნათლად ასრულებდნენ მის ბრძანებას.

- შეხედეთ, ძმებო! - თითქმის იყვირა გაოცებისგან ერთ-ერთმა მორჩილმა და ხელი ცისკენ გაიშვირა.

ტალამ აიხედა ზევით და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ზეციდან გარდამოდიოდა ბრწყინვალე გვირგვინები, რომელთაც ჯერ კიდევ ამოუწვერელი მზის სხივები შორიდან ეფერებოდნენ და მათკენ ისწრაფვოდნენ. არაამქვეყნიური მოვლენების თვითმხილველ ტალაურს უცებ აღმოხდა:

- ეს ის უხრწნელი გვირგვინებია, რომელზეც მამა არსენს ანგელოზისგან ეუწყა და რომლის შესახებაც ქადაგებაში მოგვითხრობდა...

უცებ, ერთ-ერთი მორჩილის განწირულმა ხმამ შეაწყვეტინა ტალას სიტყვა:

- იგე! ჩვენი გვირგვინებიც იქ არის!

- აბა, სად? - იკითხა გაოცებისგან გონებაარეულმა ტალამ.

- იგე! გაბრწყინებული გვირგვინების გვერდით საწყალობლად რომ ტივტივებს!

- წავედით! - წამოიძახა მეორე მორჩილმა, რომელსაც აქამდე სიტყვა არ დასცდენია და მხოლოდ ზეცაში აღეპყრო თვალები.

ორივე მორჩილი სირბილით გაუყვნენ დავითის ლავრისკენ მიმავალ ქედს.

ტალა გაოცებული გაჰყურებდა მორჩილებს და განცვიფრებული იყო მათი გადაწყვეტილებით. როგორც ჩანდა, მათ უფალმა კიდევ უფრო მეტი რამ დაანახა და ამიტომ მიისწრაფვოდნენ სიკვდილთან შესახვედრად. ეს უნდა დაჩქარებულიყო, სანამ მათი გვირგვინები ჯერ კიდევ ზეცაში იყო გამოკიდებული...

...არ დააყოვნა უფალმა, რათა მიეტევებინა მათთვის შიშის ცოდვა და გადაერჩინა მათი სულები...

...ქედზე ყიზილბაშები გამოჩნდნენ. როგორც ჩანს ჩიჩხიტურის მონასტრის ასაოხრებლად მოდიოდნენ. ტალა მათკენ მიმავალ მორჩილებს უყურებდა, რომლებიც ვაჟკაცურად მიდიოდნენ სიკვდილთან შესახვედრად. ის უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, რადგან გაოცებული იყო სასულიერო პირების გმირობით. მეომრები სიკვდილს ბრძოლაში, იარაღით ხელში ხვდებოდნენ, ხოლო ესენი - უიარაღოდ ეგებებოდნენ, რადგან რწმენა აძლევდა მათ გამბედაობას. და აი, მიუახლოვდნენ ყიზილბაშები მორჩილებს და ნაკუწებად აჩეხეს მათი სხეულები... ტალამ აიხედა ზეცაში და დაინახა, როგორ შეუერთდა კიდევ ორი გვირგვინი მარადისობას...

- ტალავ! - დაუძახა ერთ-ერთმა მეომარმა, სამი კაცით აპირებ ურიცხვ მტერთან შებმაას!? ჩვენ კი ვიბრძოლებთ, მაგრამ საგანძურს რას უპირებ!?

ტალა გონს მოეგო და კოშკისკენ გაიქცა. მაშინ-ვე დოდორქის მონასტრის ქედისკენ გაიხედა. სპარსელ ცხენოსანთა რაზმი მიჰქროდა მონასტრისკენ. ასე, რომ აქედან გაღწევა გაუჭირდებოდათ. ერთადერთი გზა რჩე-ბოდა, საგანძურიანად წინასწარ მომზადებულ სამალავ-ში უნდა ჩასულიყვნენ, რომელიც ტალამ საგანგებოდ შე-არჩია და ისე შენიღბა, რომ მას მტერი ვერასდროს იპო-ვიდა თუ ვინმე არ მიასწავლიდა იქ მიმავალ შეუმჩნეველ, კლდეში გამოკვეთილ სენაკს, რომლის კედლის უკან იყო მოწყობილი სამალავი. ცხენები ქედის დაბლა ჰყავდათ დაბმული. ეს ისეთი ადგილი იყო, თუ საგანგებოდ არ და-იწყებდნენ მის ძებნას, თვალში არავის „მოხვდებოდა“.

სპარსელები შეესივნენ ჩიჩხიტურის მონასტერს. იქ რომ ვერავინ ნახეს, რაც ხელში მოხვდებოდათ ანადგუ-რებდნენ...

უცებ, ტალას ფეხის ხმა შემოესმა. ვიღაცები უახ-ლოვდებოდნენ მათ სამალავს და თან ქართულად საუბ-რობდნენ. „ვითომ ვინმემ მოასწავლა ეს სამალავი?“ - გა-იფიქრა ტალაურმა და იქვე ხელის გაწვდენაზე დადებუ-ლი ხმლის ვადა მოზიდა. თუმცა განგაში ცრუ აღმოჩნდა, როდესაც მოესმათ სამალავში მყოფთ დაუპატიჟებელი სტუმრების საუბარი:

- აქ არავინ არის და არც გაჩერდებოდნენ, გიჟები ხომ არ არიან. ყველანი თავს უშველიდნენ.

- კარგია, რომ არ მოგვიწია ჩვენების სისხლის დაღვ-რა - მიუგო მეორე ხმამ.

- მაინც მოგვიწევს, ძმაო, - თქვა პირველმა ხმამ, - კა-ხეთის მთლიანად აოხრებას აპირებს შაჰი.

- იქაც დავიძვრენთ თავს, როგორც ეხლა.

- არა მგონია. ამ ლაშქრობის მიზანი ეკლესიების მიწასთან გასწორებაა მღვდლებიანად და ვაზის მთლიანად გაჩეხვა.

- ვაზის!? ვაზმა რაღა დაუშავა?

- არ ვიცი. ასე ბრძანა: „ის, ვინც ვაზს არ გაჩეხს, ოჯახიანად ამოწყვიტეთო!“

-სარწმუნოება თუ უნდა მოსპოს და ვაზი აჩეხოს, მაშინ გლეხკაცმა რა უნდა აკეთოს?

- ნაწილს გაჟლეტს, ნაწილს კი გადაასახლებს მაშინდელივით და თათრებს ჩაასახლებს კახეთში. ეგ არი და ეგა.

- ესე იგი გველუპება სამშობლო?

- შენ რას ნერვიულობ. ქრისტიანი შენ აღარ ხარ და საქართველოში შენ არ ცხოვრობ. ადექი და შეირგე შაჰის წყალობა.

ტალას ამ გადაგვარებული ქართველების საუბრის გამო, ნელა-ნელა ბრაზი აწვებოდა. მთელი სხეულით დაიძაბა, ხმლის ვადას უფრო და უფრო მძლავრად უჭერდა ხელს და ცოტაღა აკლდა გავარდნილიყო გარეთ და აეკუწა სამშობლოს გამყიდველები. თანამებრძოლებმა შეამჩნიეს ტალას ეს მდგომარეობა და ერთმა მათგანმა მხარზე ხელი დაადო და საგანძურისკენ გაახედა, რათა გაეხსენებინა ის დავალება, რისთვისაც იყო გარეჯში გამოგზავნილი.

მონასტერში ხმაური შეწყდა. როგორც ჩანდა სპარსელები და მათი მომსახურე მოღალატე ქართველები წა-

ვიდნენ, თუმცა სამალავიდან გამოსვლა წინასწარი დაზვერვის გარეშე სახიფათო იყო. სამალავს ერთი მოძრავი ქვა ჰქონდა კედელში დატანებული, რომლის გამოღებით შესაძლებელი იყო ყარაიას ველზე გადახედვა. ტალამ ნათლისმცემლის მონასტრისკენ მიმავალი ცხენოსნები შენიშნა და რატომღაც ჩათვალა, რომ ჩიჩხიტურის მონასტრიდან მტერი უკვე გასული იქნებოდა. საბედნიეროდ, მისი ვარაუდი გამართლდა. მეომრები კოშკში ავიდნენ და გადახედეს ირგვლივ არემარეს. აღარც დოდორქის მონასტერში ჩანდა ვინმე. ცხენებიც ადგილზე დახვდათ. ასე, რომ შეიძლებოდა უკვე გზას გასდგომოდნენ. სპარსელთა ბანაკში უკვე ღამის განათებისთვის კოცონებს ანთებდნენ.

- ერთი კოცონი ჩვენც უნდა დავანთოთ! - თქვა ტალამ და კოშკისკენ გასწია.

- რას ამბობ, ტალავ! ძლივს გადარჩენილები, გინდა რომ დაგვხოცონ!? - აღმოხდათ მეომრებს.

- კოშკზე ფიჩხი და კუნძები ატანილი მააქ, - უპასუხა ტალამ, - უნდა გადავცეთ ნიშანი კახეთს, რომ შაჰ-აბასმა უკვე დაიწყო კახეთის აოხრება. სანამ ყიზილბაშები გონზე მოვლენ, ჩვენ უკვე მანავის ციხეში ვიქნებით. ასე, რომ მივხედოთ საქმეი!

ჩიჩხიტურის კოშკზე ისეთი ცეცხლი ააგიზგიზეს, რომ მისი ალი ლამის ზეცას სწვდებოდა. ამასობაში ტალა და მისი მხლებლები უკვე მანავისკენ მიჰქროდნენ.

შაჰ-აბასს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ჩიჩხიტურის კოშკზე ანთებული ცეცხლი. კარგად იცოდა, რომ

ეს ნიშანი იყო კახელებისთვის მტრის მოახლოებისა. მაგრამ მას ეს სულ არ ადარდებდა, ისიც კარგად იცოდა, რომ კახეთის აოხრებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ის იმან გაამწარა, რომ ამდენი ყიზილბაში შეუსია გარეჯის მთებს და მათ მაინც ვერ ამოჟლიტეს წყეული გურჯები. ამით ის დამარცხებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. ამიტომაც გასცა ბრძანება, მოეყვანათ მასთან ისმაილ-ხანი.

ისმაილი ამაყად მოდიოდა შაჰთან, რადგან იცოდა, რომ მბრძანებელი მას შეაქებდა და შეიძლება დაეჯილდოვებინა კიდეც. აბასის წინ დაჩოქილ ისმაილ-ხანს შაჰმა ჩიჩხიტურის კოშკზე დანთებული ცეცხლისკენ მიუთითა. სანამ ისმაილი დანთებულ ცეცხლს გაჰყურებდა, შაჰმა თავის მეხრმლეს ანიშნა, რომ მოღალატე ისმაილ-ხანისთვის თავი მოეკვეთა.

...მტკვრისკენ დაგორდა გუშინ ხანად აღზევებული ისმაილის თავი და მდინარის ნაპირთან გაჩერდა...

...მდინარემაც არ მიიღო ქართველთა ამაოხრებლის თავი და ნადირთა საჯიჯგნი გახადა სხეულთან ერთად...

...გარეჯელი ბერების მიმოფანტულ გვამებს კი ნადირი არ ეკარებოდა, რადგან საოცარი კეთილსურნელება მოდიოდა მათგან... და მათი რაოდენობა იყო ექვსი ათასი...

## VII

შაჰმა-იქედნემ უდაბნოს მონასტრებს ხელმეორედ შეუსია ყიზილბაშები, გამუსლიმანებულ ქართველებთან და სომხებთან ერთად და ყველა მონასტრის აოხრება უბრძანა. ქართველებს ორი ათეული მეთვალყურე მიუჩინა, რათა დარწმუნებულიყო მათ ერთგულებაში. ეშმაკის ჯიშისგან შობილი შაჰი არავის ენდობოდა, განსაკუთრებით კი ქართველებს, რადგან იცოდა, რომ მათ ძარღვებში ქრისტიანი წინაპრების სისხლი ჩქეფდა და ვის და როდის აუდუღდებოდა იგი კაცმა არ იცოდა, თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევდა, პირიქით ყველაზე დიდ პატივს, რა თქმა უნდა, მოჩვენებითს, ქართველებს მიაგებდა, განსაკუთრებით კი გიორგი სააკაძეს, რადგან იცოდა ბევრი რამ მისი ვაჟკაცობისა და ნიჭის შესახებ. ამასთან ისიც უწყოდა, რომ მოურავ-ყოფილს ქართლელი თავადების წყენა ჰქონდა გულში ჩადებული და შესაფერის მომენტს ელოდებოდა, რათა მიეზღო სამაგიერო თავისი ოჯახის ამწიოკებლებისთვის. აბასმა ბევრჯერ გამოსცადა სააკაძე და ჯერჯერობით მცირეოდენი ეჭვიც არ შეუტანია მის ერთგულებაში. „ეს გურჯი დიდი საქმეებისთვის დამჭირდება, - ფიქრობდა შაჰ-იქედნე, - ამიტომ მისი ყოველი ნაბიჯი ჩემთვის ცნობილი უნდა იყოს. გიაური მაინც გიაურია. ვნახოთ კახეთის ეტიკობაშიც როგორ გამოიჩენს თავს. მერე შეიძლება მის დაწინაურებაზე ფიქრი“.

შაჰ-აბასი ყველა საშუალებებით აგროვებდა ინფორმაციას ქართველების შესახებ. ამაში მას თვითონ ქართ-

ველები ეხმარებოდნენ, რომლებიც, მსტოვრების სახით, მრავლად ჰყავდა ჩანერგილი, როგორც სამეფო კარზე, ასევე საქართველოს რიგითი ადამიანების გვერდით. ამასთან მას ოთხი ქართველი ცოლი ჰყავდა: ანდუყაფარ ამილახორის და - თამარი, სიმონ მეფის და - ფახრიმჯან ბეგუმ, თეიმურაზ მეფის და - ელენე და ლუარსაბ მეფის და - ლელა. ცოლებისგანაც ბევრ რამეს იგებდა ქართველების შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ ხალხის დამორჩილება ადვილი არ იყო, რადგან ღმერთის და სამშობლოს ერთგულები იყვნენ, თუმცა, რადგან ყველა ქართველს პირველობისკენ დაუოკებელი სწრაფვა ამოძრავებდა და ამის გამო ხშირად ჰქონდათ ერთმანეთთან შუღლი, ცბიერმა აბასმა გადაწყვიტა ისინი ისევ თავისი ჯიშ-ჯილაგით დაემარცხებინა. შაჰი საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს ირანის მუდმივ ჯარში რიცხავდა და სასათბურე პირობებს უქმნიდა. ბევრიც თავისი სურვილით დგებოდა შაჰის სამსახურში და მალევე აწინაურებდნენ წამყვან თანამდებობებზე. მარტო ქართველებისაგან შემდგარი ცხენოსანთა ჯარი ოცდახუთიათას მეომარს ითვლიდა. აი, ეს მომზადებული ძალა უნდა ყოფილიყო შაჰის არმიის ავანგარდში ქართველების და არა მარტო ქართველების წინააღმდეგ. ხოლო მათი მთავარი გამოცდა დღეს ხდებოდა, თუ როგორ გაართმევდნენ ქართველები საკუთარი, საუკუნეებით გათავისებული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლას.

ყიზილბაშებმა, მოღალატე ქართველების დახმარებით, გარეჯის მონასტრები გაანადგურეს. რაც ხელში

მოხვდებოდათ ამტვრევდნენ, წვავდნენ... შებილწეს ეკლესიის საკურთხევლები, ბერთა სენაკები, ხატები გადმოყარეს გარეთ. ხოლო ჭურჭელი და სასულიერო პირთა შესამოსელი დაიტაცეს, რათა შემდეგ თავიანთი მბრძანებლისთვის მიერთმიათ იმის დასტურად, რომ ეკლესია-მონასტრები გაიძარცვა და იქ აღარავინ იყო ძე ხორციელი, რომ ტყვედ ჩაეგდოთ...

...ცეცხლის კვამლში გაეხვია ქართული ბერ-მონაზვნური ცხოვრების ერთ-ერთი აკვანი. ღალატს და შაჰ-აბასის სისასტიკეს წელში გადაეტეხა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და საზეპურო ერი...

...შაჰ-აბასი ნასიამოვნები გახლდათ თავისი მეომრების ერთგულებით და განსაკუთრებით უხაროდა, რომ ქრისტიანები დასაჯა და დარწმუნებული იყო, რომ საბოლოოდ გაამუსლიმანებდა ქართლ-კახეთს...

...ყარაიას ველზე და ტფილისის მახლობლად იკრიბებოდა შაჰის დროშის ქვეშ მეომარი ლაშქარი, რომელსაც ურჩობისათვის განაჩენი უნდა გამოეტანა ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის...

## VIII

მეფე თეიმურაზი, შაჰ-აბასის კახეთში შემოსევის დროს დანგრეულ და ახლად აღდგენილ გრემის სასახლის დარბაზონში დაბრძანებულიყო და კახელ დიდებულებთან ერთად კარზედ მომდგარი მტრის მოგერიების

გეგმაზე ბჭობდა. დარბაზონში მესტუმრეთუხუცესი შემოვიდა და მოახსენა მეფეს:

- ტალა ტალაური გეახლათ გარეჯიდან და მასთან ერთად დეკანოზი კირიონი სოფელ თვალნიდან.

მეფემ ხელით ანიშნა მესტუმრეთუხუცესს, რათა შემოეყვანა სტუმრები და დარბაზონში მსხდომთა გასაგონად წარმოთქვა:

- კარგ დროს მოვიდნენ. ყველა აქ ვართ და საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ რა მოვიმოქმედოთ მტრის დასახვედრად. ჩვენი კათოლიკოსი იოანე იმერეთშია კვლავ და იქიდან ლოცულობს სამშობლოს გადარჩენისთვის. სჯობდა ჩვენს გვერდით ყოფილიყო, რომ ასე არ არეულიყო ერი და ბერი.

დარბაზონში მამა კირიონი შემოვიდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა ტალა. ტალაურმა მუხლი მოიდრიკა მეფის წინაშე, ხოლო დეკანოზმა ჯვარი გადასახა დარბაზონში მსხდომ დიდებულებს და წარმოთქვა:

- ღმერთმა და მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგლოცოთ, მეფეო და დიდებულებო. შენდობას ვითხოვ კადნიერებისთვის, რომ მე ცოდვილმა გავბედე და წარვსდექი თქვენს წინაშე. ჩემი სამშობლოს გასაჭირმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. მტრის შემოსევები ბევრი უნახავს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ასეთი არასდროს...

- რას გულისხმობ, მამაო? - შეაწყვეტინა სიტყვა მეფემ დეკანოზს.

- მეფეო, - მიუგო მამა კირიონმა, რომელსაც გამუდმებული მღვიძარებისა და ლოცვისგან თვალები ჰქონდა

დაწითლებული, - ეს თავდასხმა სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ურჯულოთა ლაშქარს წინ უამრავი ქართველი მოუძღვება. ღვთისგან წყეულ შაჰს ეტიკიც კი ქართველი ჰყავს. არავის, წყეულ ჯალალედინის შემდეგ, ასე უმოწყალოდ არ ამოუხოცია სასულიერო პირები, როგორც ეს ამ მხეცმა გააკეთა და ესეც ჩვენივე სისხლის და ხორცის ხელით...

- ქართველების!? - კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა მეფემ დეკანოზს, - ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა, მამაო. ვინ იყო ამის თვითმხილველი!?

- სწორედ ამან წამომიყვანა თქვენთან, მეფეო, - მიუგო მამა კირიონმა მეფეს და ანაფორის სახელოდან ქაღალდი გამოიღო, - ეს წერილი ჩვენმა ერთ-ერთმა მწყემსმა მომიტანა, რომელიც შეესწრო დოდორქის მონასტრის აოხრებას და სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. შორიდანვე შეუნიშნავს ყიზილბაშები და მონასტრის დაბლა მდებარე ტინში ამოკვეთილ წყლის მოსაგროვებელ ჭაში დამალულა. მტრის წასვლის შემდეგ მონასტერში ასულა და საკურთხეველთან ეს ქაღალდი უპოვია, რომელიც, როგორც ჩანს, რომელიმე სასულიერო პირს დაუტოვია და ან გაქცეულა, ან შეკვდომია მომხდურს...

- აბა, წაგვიკითხე, მამაო! - ბრძანა მეფემ.

მამა კირიონმა ორადგაკეცილი ქაღალდი გახსნა და თვალებზე ცრემლმომდგარმა დაიწყო კითხვა:

- წყევისა და გლოვისამან, ვითარ ამ მონასტერსა, ეგრეთვე სრულიად მრავალმთის მონასტერთა, მოუღო სრულიად ბოლო და დაამხო და მოწყვიტა წყეულ რჯულ-

შეცვლილ ქართველთა მოწყალებისამებრ შაჰ-აბასის მიერ, უკანასკნელ დრომდინ იქმნებოდა მრავალმთის მყუდროობა თუ არ აეოხრებინათ იგი სრულიად.

დეკანოზმა კითხვა დაამთავრა, თავი ასწია და მეფის გამოწვდილი ხელი დაინახა. მამაო მიხვდა, რომ წერილს ითხოვდა თეიმურაზი. მსწრაფლ მიაწოდა, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა და მორჩილებით დაელოდა მეფის სიტყვას. თეიმურაზმა დახედა წერილს, სახეზე ნათელი მოეფინა, მერე თვალი მოავლო დიდებულებს და წარმოთქვა:

- ჭკვიანი კაცი ყოფილა ამის დამწერი. ხუცური ასოებით არის დაწერილი. ამით გვამცნო, რომ სასულიერო პირია. ამასთან გაითვალისწინა, რომ მომხვდურ ქართველებში შეიძლება ვინმე ყოფილიყო წერა-კითხვის მცოდნე და წაკითხვის შემდეგ გაენადგურებინა ქაღალდი. მნიშვნელოვანი ამბავი გვამცნო ამ ღვთისნიერმა ადამიანმა, - შემდეგ შეხედა დეკანოზს და უთხრა, - მადლობა, მამაო, ასეთი საჭირო ინფორმაციის მოწოდებისთვის. დაბრძანდით, თქვენთვის საინტერესო იქნება ტალას მოტანილი ამბავი.

ტალას ჩვევად ჰქონდა, მარცხენა მხარეს შერტყმული ხმლის ვადაზე ხელის გულით მოფერება. ახლა კი, როდესაც მეფესთან შესვლის გამო იარაღი დარბაზონის გარეთ დაატოვებინეს, ნერვიულად უთამაშებდა მარცხენა ხელის მტევანი და აღარ იცოდა, სად დაემალა. მეფის ხმამ კი გადაავიწყა ყველაფერი:

- რაო, ტალა, ხომ არ შეგაკრთო შაჰის მხედრობამ!?

- შაჰის არა, მეფეო, - მიუგო ტალაურმა და მარცხენა ხელი ისევ აუთამაშდა, - მაგრამა ქართველების ღალატმა კი ფრიად შემაფიქრიანა.

- რატომ!? შენს საქმეში ხომ არ გადაგკიდეს რაიმე ხიფათს!? - გაიკვირვა მეფემ.

- არა, მეფეო, ჩემი საქმე რომ ცუდად წასულიყო მე აქ ცოცხალ ვეღარა მნახავდით, - უპასუხა ტალამ და დაწვრილებით მოუთხრო, რაც სამალავიდან გაიგო.

მეფემ და დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს. მოულოდნელი ამბის გაგების შემდეგ, რომელიც ვაზის გაჩეხვას შეეხებოდა, ყველა გაკვირვებული ჩანდა და მეფისგან ელოდნენ სიტყვას. მეფემაც არ დააყოვნა:

- ამ წყეული აბასისგან არ გამიკვირდებოდა ქვეყნისა და სარწმუნოების მოსპობისთვის ასეთი დიდი ლაშქრის შეყრა, მაგრამ თუ ასეთი მზაკვრული ჩანაფიქრიც ჰქონდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. კარგად იცის, რომ ქართველი კაცი და მით უმეტეს კახელი ვაზს არ აჩეხს და ეს გახდება საბაბი მშრომელი მოსახლეობის დახოცვისა. ეს კი რას ნიშნავს ყველამ კარგად იცის. ასე, რომ კარგად უნდა დავფიქრდეთ სად და როგორ უნდა მივიღოთ ბრძოლა.

თეიმურაზმა მალევე შეცვალა საუბრის თემა და ტალაურს და მამა კირიონს მიუბრუნდა:

- ტალა! შენ მიხედე შენს საქმეს. მალე დააბინავე ყველაფერი და მერე ჩაერთე ჩვენს მეომრებთან ერთად მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში! მამაო, შენ კი დაგვდე პატივი და თუ ფრიად საშურო საქმე არა გაქვს, ხვალ გრე-

მის მთავარანგელოზში სამშობლოს მტრისგან გადარჩენისთვის ჩასატარებელ წირვაში მიიღე მონაწილეობა.

მამა კირიონმა და ტალა ტალაურმა მორჩილად დახარეს თავი მეფის წინაშე და დარბაზონის გასასვლელი კარისკენ გაჰყვნენ სასახლის მესტუმრეთუხუცესს.

მეფემ თვალი მოავლო დარბაზში მსხდომ დიდებულებს და წარმოთქვა:

- რას გვეტყვის თავადი ჯანდიერი!?

- მეფეო, - მიუგო დავით ჯანდიერმა, - შაჰი გამწარებულია ჩვენი შარშანდელი აჯანყების გამო და ამიტომ არაფერზე უკან არ დაიხევს. ერთადერთი, რაც მას ჩანაფიქრს შეაცვლევინებს ეს, ჩვენს დასახმარებლად, ოსმალოს ჯარის ჩამოსვლა იქნება...

- ოსმალო ჯერ კიდევ მე და ლუარსაბს დაგვპირდა, თუ სპარსეთი გამოილაშქრებდა ქართლ-კახეთზე, დაგვეხმარებოდა ჯარით. ეს მის ინტერესებშიც შედის, რადგან მეგობრობს ჩვენს მეზობელ დაღესტნელებთან.

- არა მგონია, ოსმალომ ჯარის გამოგზავნა გაბედოს, - ჩაერია საუბარში თამაზ ვაჩნაძე, - ოთხი წლის წინ ოსმალომ და სპარსეთმა ზავი დადეს და ქართლ-კახეთი სპარსეთის სამფლობელოდ გამოაცხადეს...

- მით უმეტეს! - სიტყვა შეაწყვეტინა მეფემ ვაჩნაძეს, - მსტოვრებისგან ცნობილი გახდა, რომ ოსმალო ვერ შეეგუა ზავის პირობებს, განუზრახავს ქართლ-კახეთის დაბრუნება და ამისთვის ელოდება სპარსეთის შეჭრას ქართლ-კახეთშიო, რათა საბაბი ნახოს და ზავი ჩაშალოსო.

- ღმერთმა ინებოს, მეფეო, - დაეთანხმა თეიმურაზს ვაჩნაძე, - ჩემზე კარგად მოგეხსენება, მაგათი ნდობა

არ შეიძლება, მართალია სარწმუნოებაში უთანხმოება აქვთ, მაგრამ მაინც ერთმანეთის და ორივე ერთად ეშმაკის კუდები არიან.

- მე არავის იმედი არა მაქვს, - თქვა წარბშეკრულმა ჯანდიერმა, - ამიტომ პირველ რიგში ივრის ხეობის შესასვლელი გავამაგრეთ. ჯარის ნაწილი კახეთის და ქიზიყის მისადგომებთან ჩავაყენეთ, ხოლო ალაზანზე გასასვლელი დავტოვეთ, რომ უკან დახევის შემთხვევაში ხალხმა გაღმა მხარეს შეაფაროს თავი.

- თუ ვაზის აჩეხვას აპირებს, ივრის ხეობას რატომ აუყვება? - იკითხა მეფემ.

- შაჰი ორი მიმართულებით იწყებს შეტევას, - განაგრძო ჯანდიერმა, - ჯარის ერთი ნაწილი თბილისს შეუტევს, მეორე კი - კახეთს. ყველა ირანელი დამპყრობელი, როდესაც კახეთში შემოიჭრებოდა, ჯარის ერთი ნაწილით ივრის ხეობას აუყვებოდა და იქიდან თელავს და ახმეტას ესხმოდა თავს, ხოლო მეორე ნაწილი ქიზიყს და ალაზნის ხეობას უტევდა. ეხლაც ეგრე შემოვლენ, მეფეო...

- ამას ყველაფერს ჩვენი მზვერავები გვამცნობენ, - თქვა თეიმურაზმა და ჯანდიერს შეხედა, - შენი ვარაუდი შეიძლება არ გამართლდეს თუ მაგათ ეტიკად ქართველი დანიშნეს. იმას კარგად ეცოდინება კახეთი და ამიტომაც შეიძლება სულ სხვა მიმართულებები აირჩიოს. ასე, რომ მოვემზადოთ.

თეიმურაზი ფეხზე წამოდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარბაზობა დამთავრებული იყო და ყველა თავადსა და მათ ქვეშევრდომებს თავისი საქმე უნდა გაეკეთებინათ...

...სამშობლო დიდი განსაცდელის წინაშე იდგა...

## IX

ტალა გარეჯიდან გამოყოლილ ორ მეომართან ერთად თავისი სოფლის გზას დაადგა. დიდი ხანია, რაც სახლში არ იყო ნამყოფი. ალბათ, მასზე იყო ნათქვამი ბიბლიური სიბრძნე ზირაქისა: „ასევეა კაცი, რომელსაც არა აქვს ბუდე და სადაც დაუღამდება იქ ეძებს სადგურსო“. სამშობლოს სამსახურში აღამებდა და ათენებდა. ყვარელში ჰქონდა მამა-პაპური ადგილ-მამული, რომელიც ფუძის ანგელოზის ამარა იყო დატოვებული, ცოლი მაგას არ ჰყავდა და შვილი. ეზოში ერთი დიდი კაკლის და რამდენიმე ვაშლის ხე ედგა, ხოლო დანარჩენი ადგილი ვაზს ეკავა - რქაწითელსა* და ქართლიდან ახლადშემოსულ საფერავს, ისიც მეზობლების ანაბარა იყო დატოვებული და რომ არ წამხდარიყო ვენახი, ტალას თანხმობით მოსავალსაც ისინი იღებდნენ.

სოფლის შესასვლელთან ტალაური ცხენიდან ჩამოხდა, დაიჩოქა და ემთხვია მშობლიურ მიწას, რომელიც კახელი დიდებულების უნიათობით შეიძლება მალე სისხლით მორწყულიყო. მთებიდან მონაბერი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, გაიხედა ნეკრესიის მონასტრისკენ, პირჯვარი გადაიწერა და ხმამაღლა წარმოთქვა:

- ღმერთო დიდებულო, შენ დაგვიფარე, მოხედენ შენს საზეპურო ერსა და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანასა და შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი...

ტალაურები ისტორიულად ნეკრესზე შეწირული გლეხები იყვნენ. გაქრისტიანებისგან თავის არიდების

მიზნით, მთიულეთიდან თუშეთში გადახვეწილი სოფელ ყვარას მკვიდრნი, ასურეთიდან საქართველოში ჩამოსულ ბერს - აბიბოს ნეკრესელს გადმოუყვანია კახეთში, გაუქრისტიანებია და იქვე დაუსახლებია. მას შემდეგ ტალაურები და სხვა მისი თანამოძმენი ნეკრესის საეკლესიო გლეხებად ითვლებოდნენ და არც არასდროს უღალატიათ ქრისტიანული მრწამსისთვის.

ტალა საიდუმლოს მტკიცედ ინახავდა ხოლმე. საგანძურის სამალავები მის გარდა კიდევ ერთმა ადამიანმა, მისმა ბიძაშვილმა - გაბრომ იცოდა, ისიც იმიტომ, რომ თუ ტალას რაიმე შეემთხვეოდა, გაბრო დააბრუნებდა საგანძურს ეკლესიებში. გაბრიელი, რომელსაც სოფელში გაბროდ იცნობდნენ, ბავშვობიდან ხეიბარი იყო და ამის გამო საომრად ვერ მიდიოდა და ტალამაც მხოლოდ მას გაანდო წინაპრებიდან გადმოცემული ეს საიდუმლო საქმიანობა. ხოლო თუ ტალა დაოჯახდებოდა და მემკვიდრესაც მისცემდა ღმერთი, მაშინ უკვე შვილი გააგრძელებდა ამ ქვეყნისთვის მეტად საჭირო საქმეს.

ახლაც ტალამ საგანძური მეომრებს თავის სახლის ეზოში შეატანინა, მადლობა გადაუხადა და გაისტუმრა. არავის უნდა სცოდნოდა მისი ადგილსამყოფელი, გარდა გაბრიელისა. გაბროც თითქოს ელოდებოდაო ტალას, კოჭლობით მიადგა მის ეზო-ყურეს და დიდი ხნის უნახავ ბიძაშვილს გადაეხვია:

- მშვიდობა შენს გამოჩენასა, გვიან ჩამოხველ, ბიძაშვილო, ხიფათი ხომ არ შეგექმნა რაიმე? დღე და ღამ გზაი გავყურებდი.

- ჰოო! ჩემო გაბრო, ხიფათი კიდევ მოგონილია იმასთან, რაც თავ გადამხდა... - მიუგო ტალამ გაბრიელს, შეუძღვა სახლში და დაწვრილებით მოუყვა, რაც გადახდა.

- გადარჩენილხარ, ტალავ! - აღმოხდა მონათხრობისგან გაოგნებულ გაბროს, - რას აპირებ ეხლა? რით შემიძლიან დაგეხმარო?

- სამი სახედარი დამჭირდება ტვირთვის გადასატანად, - უპასუხა ტალამ, ცხენი კი მყაავ აგერ, ჩემი საღარა.[20]

ტალა ცხენს საღარას ეძახდა, რადგან შუბლის შუაში თეთრი თმა ჰქონდა ამოზრდილი და პატრონიც ხშირად გადაუსვამდა ზედ ხელს და იტყოდა ხოლმე, როგორც ახლა - „ჩემი საღარა...“. ცხენიც ხვდებოდა, რომ ეს თავისი პატრონისგან მისდამი კეთილ დამოკიდებულებას ნიშნავდა, ამიტომ მარჯვენა წინა ფეხის მიწაზე ნაზად გასმით გამოხატავდა მადლობას და თან დაბალ ხმაზე ჩაიჭიხვინებდა ხოლმე. ახლაც იგივე გაიმეორა საღარამ, მერე შეტრიალდა და ეზოში ახლად ამობიბინებულ ბალახს მადიანად დაუწყო ჭამა.

სანამ ტალამ სახლი დაათვალიერა და კარ-მიდამო შემოიარა, გაბრიელმაც მოიყვანა სამი სახედარი და ბიძაშვილებმა საგანძურის დატვირთვა დაიწყეს.

- ისევ გრძელ გვირაბში მიგააქ? - იკითხა გაბრიელმა.

- ჰო! ყველაზე საიმედო და შეუმჩნეველი ეგ არი. მაგაი მთებში გამოცდილი კარგი მონადირეც კი ვერ მიაკვლევს თუ შემთხვევით არ გადააწყდა.

გვირაბი, სადაც ტალას სიწმიდეები უნდა დაემალა კავკასიონის ერთ-ერთ მთაში მდებარეობდა. ის მთის

წვერის ქვეშ იყო ბუნებრივად გათხრილი. იქ მისული ადამიანი გზას აღარ გააგრძელებდა, რადგან გადასახედიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს ნაბიჯს თუ გადადგამდი შეიძლება ხევში გადაჩეხილიყავი და ამიტომ ყველა უკან გამობრუნებას ამჯობინებდა ხოლმე. არადა შეიძლებოდა ცოტა მოშორებით მთის წვერისთვის გვერდი აგევლო და გვირაბის წინ აღმოჩენილიყავი. ამ უკანასკნელში კი სიბნელეს აწყდებოდი, შიგ შესასვლელად ლამპარი გჭირდებოდა, თუმცა მაინც ვერაფერს შეამჩნევდი დაყრილი ქვების გარდა. ერთ-ერთი ქვის ქვეშ ჩასასვლელი იყო კიდევ ერთ გვირაბში და იქ მდებარეობდა ის შენიღბული სამალავი, სადაც ტალა ინახავდა სიწმიდეებს და საგანძურს და რომლის ადგილ-სამყოფელიც მის გარდა მხოლოდ გაბრიელმა იცოდა. ორი წლის წინ მეფე თეიმურაზმა სამეფო განძი არ ანდო ტალას და თორღვას ციხეში გადამალა, რითაც მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მტერმა ხელთ იგდო დიდძალი ქონება. იმერეთში გადახვეწილმა მეფემ ფუსტებისგან[21] შეიტყო, რომ ტალა სანდო კაცი იყო და მის გარდა ვერავინ შეძლებდა განძის საიმედოდ გადამალვას. თვითონ ფუსტების საგანძურიც რამდენჯერმე ჰქონია ტალას გადამალული და ხელუხლებელი დაუბრუნებია უკან. ამიტომაც ანდო ეს საგანგებო საქმე ტალას იმერეთიდან მობრუნებულმა თეიმურაზმა.

მეორე დღეს დილაადრიან გაუდგა ტალა გზას მთებისკენ. სამალავისკენ ორი გზა მიდიოდა. ერთი მარჯვნივ, სულ ტყით, ხოლო მეორეს - ტყეს ალაგ-ალაგ მდე-

ლოები ანაცვლებდა. ტალამ გადაწყვიტა ორივე გზა გაეკონტროლებინა. ამიტომ ჯერ ტყით ავიდა სამალავთან, დააბინავა სიწმიდეები და საგანძური და მეორე გზით დაბრუნდა შინისკენ. დიდი ხანია ამ გზით არ ესარგებლა ტალაურს და ამიტომაც ყველაფერს აკვირდებოდა. ტყიდან ლამაზ მდელოზე გამოვიდა. ათასნაირი ყვავილებით იყო მორთული იქაურობა. ტალამ გადაწყვიტა დაესვენა. ცხენი და სახედრები საძოვარზე მიუშვა, თვითონ გულაღმა დაწვა მდელოზე და ცას მიაპყრო თვალები. უცებ ქინძის სურნელება შეიგრძნო. ჯერ გაუკვირდა, ხომ არ ვცდებიო. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა. ოთხზე დადგა და დაიწყო ქინძის ძებნა. ბალახებში აქა-იქ გაბნეულიყო ქინძის სურნელოვანი ფოთლები. ტალამ მდელო მთლიანად მოიარა, ყველგან ქინძი იყო ამოსული, ზოგან ჯგუფ-ჯგუფადაც კი, გემოც გაუსინჯა, რომ დარწმუნებულიყო თავის ნააზრევში.

შინისკენ მიმავალი ტალა ქინძმორეულ მდელოზე ფიქრობდა და ათასი აზრი უტრიალებდა თავში...

## X

გარეჯის მონასტრების აოხრების შემდეგ, შაჰ-აბასი თბილისში შევიდა და ქართლის მმართველად დაუთ-ხანის შვილი - ბაგრატ-ხანი დანიშნა და შემდეგ კახეთში გადავიდა. რატომღაც ქართლს გვერდი აუარა და მთელი თავისი ჯარით კახეთის მისადგომებთან დაბანაკდა. არ

გამართლდა დავით ჯანდიერის ვარაუდი სპარსელების მიერ ივრის ხეობის დალაშქვრისა. მოხდა უარესი. შაჰმა ივრის ხეობის შესასვლელი გადაკეტა და იქ ათასამდე ყიზილბაში დატოვა. ძირითადი ჯარით პირდაპირ კახეთის ცენტრისკენ წავიდა. ივრის ხეობაში ჯანდიერის ჩაყენებული რამდენიმე ასეული მეომარი, რომელსაც სპარსელების წინააღმდეგ მცირე თავდასხმებით უნდა ებრძოლა, უფუნქციოდ დარჩნენ და აღარ იცოდნენ, მთებით გადასულიყვნენ თელავში თუ ადგილზე დარჩენილიყვნენ. მალე შაჰმაც თავისი ჯარი რამდენიმე ჯგუფად გაყო და კახეთს სხვადასხვა მხარეს გაუსია. არც თეიმურაზის ვარაუდი გამართლდა. გაზაფხულზე ოსმალებს, რომელთა ლაშქარი ჯერ კიდევ შემოდგომიდან სპარსეთის საზღვრებთან იდგა, შეტევა უნდა დაეწყო და სპარსეთში შეჭრილიყო. ამ შემთხვევაში შაჰ-აბასი საქართველოსთვის ვერ მოიცლიდა. თეიმურაზი შეცდა, მან შაჰის უზარმაზარ არმიასთან შებმა ვერ გაბედა, კახეთს გაეცალა და თავისი ამალით კვლავ იმერეთში გადავიდა. ქვეყანა დარჩა უმეფოდ და აგრეთვე სარდლების გარეშე.

ხალხისთვის გახიზვნის საშუალება რომ მოესპო, შაჰ-აბასმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა, თან დაღესტნელ ბეგებს შეუთვალა მთებში შეხიზნული კახელები გაეჟლიტათ ან დაეტყვევებინათ.

კახელებმა ხელოვნური სიმაგრეები ააგეს, ცოლშვილი და საქონელი შიგ შეიყვანეს და თავდასაცავად მოემზადნენ...

...სამი თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა...

...უმეფოდ და უსარდლოდ დარჩენილი კახელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ...

...მაგრამ ყველაფერი ამაო იყო...

...შაჰის მრავალრიცხოვანი ჯარი ზედიზედ იღებდა გამაგრებულ ადგილებს და ვინც ცოცხალი რჩებოდა, დედაწულიანად ტყვედ მიჰყავდათ...

...კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ქალაქს, ციხე-სიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიას და ქოხსაც კი...

...ბრძოლა უაღრესად დაუნდობელი იყო...

...შაჰ-აბასის ჯარები ჩეხდნენ ხეხილის ბაღებს და ვენახს. ყველა გლეხს თავისი ვაზი თვითონ უნდა აეჩეხა. თუ არ აჩეხდა - კლავდნენ მასაც და ოჯახის წევრებსაც და ვენახის გაჩეხვას მეზობლებს ავალებდნენ...

...ანგრევდნენ და წვავდნენ სახლებს, ეკლესიებს, ყველაფერს, რაც წინ ხვდებოდათ...

...კახეთი... ეს მდიდარი და აყვავებული ქვეყანა... ნანგრევებად იქცა...

ისეთ მიუწვდომელ ადგილებსაც კი სწვდებოდნენ სპარსელები, რომელზეც აქამდე არც ერთ დამპყრობელს არ გაუმახვილებია ყურადღება. როგორც ხალხში ამბობდნენ: „შაჰ-აბასს ქართველი ჰყავს ეტიკი და ამიტომ ყველა კუთხე-კუნჭულსა სწვდებაო“. ეს იქიდანაც დადასტურდა, რომ სპარსელთა ჯარმა ივრის ხეობას გვერდი აუარა და კახეთის გულისკენ წავიდა. ამ მანევრმა ყველას გაკვირვება გამოიწვია. როგორც შემდეგ გაირკვა, შაჰის ჯარი თელავიდან მთების გავლით დაიძ-

რა ივრის ხეობისკენ. მოღალატე ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ მტრის შემოსევის დროს ივრის ხეობის მაცხოვრებლები მთებს აფარებდნენ თავს და მშვიდობიანობის დადგომისას უბრუნდებოდნენ თავის სახლკარს. ამიტომაც შაჰმა მათ ზურგიდან მოუარა, ვინც ვერ ამოჟლიტა დაატყვევა და სპარსეთის გზას გაუყენა...

...ალაზანი და იორი სისხლით შეიღება...

...შაჰი თავის ქვეშევრდომებს უნაწილებდა კახეთის ნაყოფიერ მიწებს და აქ თურქმანი ელების ჩამოსახლებას გეგმავდა...

## XI

ტალა მთიდან ჩამოსვლისთანავე შეუდგა ვაზების ფესვებიანად ამოღებას. თითქმის ნახევარი ვენახი ამოძირკვა, კონა-კონა სახედრებს აჰკიდა და ქინძმორეული მდელოსკენ გაემართა. ასვლისთანავე შეუდგა ახალი ვენახის აშენებას. ვაზები გასხლა და მწკრივებში ცალკე საფერავი დარგა, ხოლო ცალკე - რქაწითელი. გასხვლის შედეგად ამორჩეული ვაზის რქები გათხრილ არხში ერთმწკრივად დარგა და მიწა მიაყარა. მერე ცისკენ აიხედა, პირჯვარი გადაიწერა და ღმერთს შეევედრა:

- უფალო, გევედრები, გაიღე მოწყალება და გადაგვირჩინე ჩვენი მაცოცხლებელი და მაცხოვნებელი ვაზი, ის ხომ შენი სისხლია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა წუთისოფელში.

მერე მუხლებზე დაიჩოქა, აკოცა მშობლიურ მიწას და კვლავ შეჰღაღადა უფალს:

- უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი. გადმოხედე შენს საზეპურო ერსა, შენი დედის წილხვედრ ივერიასა და გადაგვირჩინე მამული.

ტალა როგორც კი დაადგა შინისკენ მიმავალ გზას, ცაზე ქუხილის ხმა გაისმა და სულ მალე მაცოცხლებელ-მა წვიმამ დანამა მინდორ-ველები...

...გაზაფხულის ცაზე ელვა იკლაკნებოდა, რასაც ძლიერი ქუხილის ხმა მოსდევდა, რომელიც აწყდებო-და კავკასიონს და იქიდან საშინელ ექოს გამოსცემდა. ამას ქარიც მოჰყვა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჯოჯოხეთი შემოჭრილიყო კახეთში...

ტალა ბუნების ამ განრისხებამ შეაფიქრიანა. ყვარ-ლის მიდამოებში გაზაფხულზე ამინდის ასეთ უცაბედ შეცვლას ვერ იხსენებდა ტალაური. გული ცუდს უგრძ-ნობდა, ამიტომ საღარას ხელი ფაფარზე გადაუსვა, რაც მისთვის ნიშანი იყო და ცხენმაც გაჰქუსლა სოფლისკენ. სახედრებიც, როგორც შეეძლოთ, გამოეკიდნენ საღარას.

ყვარელში შესულ ტალას საშინელი სურათი დახვდა. ხალხი სახლებიდან გამორბოდა და რისი წაღებაც შეეძ-ლოთ თან მიჰქონდათ. ზოგი ურმით, ზოგი ცხენით ან სა-ხედრით გარბოდა სოფლის ორღობეებიდან მთებისკენ. ბავშვების ტირილი და დედაკაცთა სასოწარკვეთილი გოდება ცას სწვდებოდა, მაგრამ ჭექა-ქუხილი ახშობ-და მათ ხმას. ტალა მიხვდა, რომ ხალხმა შეიტყო მტრის მოახლოება, ამასთან როგორც ჩანდა ისიც გაიგეს, რომ



მეფემ და სარდლებმა ისინი დაუცველად შეატოვეს განრისხებულ შაჰს და გაიქცნენ. არავის უნდოდა სიკვდილი და ამიტომ დედაწულიანად იხიზნებოდნენ, მაგრამ სად? არავინ იცოდა.

ტალა ხშირად იყო მოხვედრილი ასეთ სიტუაციაში, მან კარგად იცოდა, რომ სიჩქურით[22] მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, ამიტომ აზვირთებულ ბრბოს წინ გადაუდგა, ხელი მაღლა ასწია და დაიყვირა:

- შეჩერდით, ხალხო! ამ ღვარცოფსა და ტალახში სად გარბიხართ იციით!?

- აბა, ყიზილბაშებ დავახოცინოთ ჩვენი ცოლ-შვილიი!? - ვიღაც კაცმა დაიძახა შეკრებილი ხალხიდან, - ან ცარიელი ხელებით ვის ვებრძოლოთ!?

- რატომა!? - იწყინა ტალამ, - ხმალი არა გაქ სახლშია!?

- ხმალიცა მააქ და ხანჯალიცა! - იყვირა ისევ გლეხმა, წინ წამოდგა და წელზე შემორტყმული ხმალ-ხანჯალი დაანახა ტალას. როგორც იქნა ტალაურმა სიბნელეში გაარჩია თავისი თანასოფლელი გიგო. გაუღიმა და ჰკითხა:

- გიგო! შენნაირი ბევრია თქვენშიი!? დიდი ხანია არა ვყოფილვარ სოფელში და ბევრი არაფერი ვიცი თქვენ შესახება.

- ათამდე გლეხი ვაართ ეგრე შეიარაღებული და ორი მშვილდოსანიცა გვყაავ, - უპასუხა გიგომ, მაგრამა...

- რა მაგრამა, გიგო!? - შეაწყვეტინა სიტყვა ტალამ.

- ისა, რომა, - მიუგო გიგომ, - ჩვენ ბრძოლა და ხმლი ხმარებაცა კარგადა ვიცით, მაგრამა თუ არავინ გვითხ-

რა, სად და როდიი უნდა დავხვდეთ მტერსა... აბა, ეგ როგორ იქნება... ჰაა!?

- მე ხო მიცნობ, გიგო? - ჰკითხა ტალამ და ცხენიდან ჩამოხდა.

- მარაა... როგორ არ გიცნობ, ტალა არა ხაარ?

- ჰოოდა, მე ვიცი როგორ უნდა დავხვდეთ მტერსა, - მიუგო ტალამ და გიგოს მხარზე ხელი დაადო, - მტერსაც დავხვდებით და სახლეულსაც დავიცავთ! გაიგეე!?

- თუ ეგრეა, - ახმაურდა ხალხი, - გაგვიძეხ წინა და გამოგყვებით! ჩვენთან სოფელში ერთმა იარაღასხმულმა მხედარმა გაიქროლა ცხენითა და დაიყვირა: „ყიზილბაშები მოდიან და თავს უშველეთო!“ ჩვენც გამოვცვივდით სახლებიდან და გავრბივართ და აბა, რა ვქნათ!? ...

ტალას სისხლი მოაწვა თავში. მეფესთან შეხვედრა გაახსენდა. როგორი სასოება გაუჩნდა მაშინ მეფისა და თავადებისა, რომ მტერს დახვდებოდნენ ვაჟკაცურად. ახლა კი რას ხედავს, უპატრონოდ დაგდებული ქვეყანა და ხალხი. თვალი მოავლო მის წინ შეკრებილ დედაკაცებს და ბავშვებს, რომლებიც უპატრონობით განწირულნი იყვნენ. გინდაც გადარჩენილიყვნენ, სპარსეთში გადასახლება არ ასცდებოდათ, მეფე და დიდებულები ქვეყნიდან გაიქცნენ, მტერს წინ მოღალატე ქართველები მოუძღოდნენ... სისხლი აუდუღდა ტალას. ახლა რომ სადმე გადაჰყროდა ორი დღის წინ მეფის დარბაზში შეკრებილ დიდებულებს, სათითაოდ აჩეხდა მათ ხმლით სამშობლოს ღალატისთვის... ახლა კი ამის დრო ნამდვილად არ იყო, სამშობლო და ხალხი გახლდათ გადასარჩენი... ტალამ ისევ ხალხს მიმართა:

- ყოველგვარი შიში მოიშორეთ და არეულ-დარეულობის გარეშე გამომყევით. დრო მართლა არ ითმენს და უნდა გავეცალოთ აქაურობაი!

ტალამ ხალხი თუშეთში გადაიყვანა, დააბინავა, ორმოცდაათამდე თუში ვაჟკაცი აიყოლია და მტერთან საბრძოლველად გამობრუნდა უკან. ალაზნის ხეობის სოფლები აოხრებული დახვდათ, მამალი აღარ ყიოდა სოფლებში. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო ყველანი ტყვედ აიყვანეს და სპარსეთის გზას გაუყენეს. ტალამ როგორც გაარკვია შაჰს ძირითადი ძალები ალყაში მოქცეული ივრის ხეობისკენ ჰყავდა გადასროლილი და უთანასწორო ბრძოლაში იღვრებოდა ქართველთა სისხლი. ამიტომ ტალაური თავისი ასეულით მთა-მთა შენიღბული სიარულით ზურგიდან მიადგა მტერს. საჭირო იყო მტერზე თავდასხმის გააზრებული გეგმა, რათა მოულოდნელად არ წასწყდომოდნენ მტრის დიდ შენაერთებს და პატარ-პატარა თავდასხმებით მოეხერხებინათ მათში არეულობის შეტანა და დაქსაქსვა, რაც შემდეგ გაუადვილებდა ალყის გარღვევას და პირველ რიგში ქალების და ბავშვების სამშვიდობოზე გაყვანას. ამასთან, ალყაში მოქცეულ მეომრებთან გაერთიანება საშუალებას მისცემდა, რომ ხელჩართული ბრძოლა გაემართათ ყიზილბაშებისთვის.

## XII

მიუხედავად ივრის ხეობის მოსახლეობაზე მოულოდნელი თავდასხმისა, ქართველებმა მაინც მოახერხეს სხვადასხვა მთებსა და ხეობებში გამაგრება და მოულოდნელი თავდასხმებით მუსრს ავლებდნენ ყიზილბაშებს. ამან ნაწილობრივ შეაჩერა სპარსელების წინსვლა, მაგრამ მაინც თანდათან გართულდა წინააღმდეგობის გაწევა. ქართველები ვერც იარაღით და ვერც სურსათ-სანოვაგით ვერ მარაგდებოდნენ რიგიანად. ამასთან უთანასწორო შეტაკებებში ბევრი ვაჟკაცი ეცემოდა ბრძოლის ველზე და ამან შეამცირა ქართველთა სახელდახელოდ შექმნილი რაზმები. ყოველი მხრიდან ალყაში იყვნენ. ერთადერთი გზა გადარჩენისა ალყის გარღვევა იყო და დიდი კავკასიონის მთებში გახიზვნა.

კახელები, როგორც კი ოდნავ შვებას იგრძნობდნენ და ეს ხდებოდა ძირითადად შუაღამეს, მაშინვე ლოცვას იწყებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ, წყალობით გადმოეხედა მათთვის და ამ ჯოჯოხეთისგან ეხსნა...

...ასეც მოხდა...

სპარსეთიდან შათირი შათირზე მოდიოდა და ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდათ. ყველა და ყველაფერი კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ოსმალეთის არმია სპარსეთში შესაჭრელად ემზადებოდა. შაჰ-აბასი იძულებული გახდა კახეთიდან გასულიყო და თავისი ქვეყნის საზღვრების დაცვაზე ეფიქრა. კახეთში მან ყიზილბაშების ნაწილი დატოვა, მერე ქართლის საქმეებიც თავის სასარგებლოდ მოაგვარა და გოგჩის ტბისკენ გაეშურა.

კახეთიდან კი ამ დროს სპარსეთისკენ ას ოცდაათი ათასზე მეტი ტყვე მიჰყავდათ, ხოლო მოკლულთა რიცხვი სამოცდაათიათასამდე იყო.

ოსმალეთის არმია, რომელიც უკვე მაისში არზრუმს მიადგა და რომლის მიზანიც არზრუმის, ყარსის, ერევნისა და სხვა ქალაქების აღება იყო, კვლავ მეტისმეტად უნიათოდ, გაუბედავად მოქმედებდა და ვერც ერთი ქალაქი ვერ აიღო.

გავიდა თუ არა შაჰ-აბასი საქართველოდან, გახიზნული კახელები კვლავ მოგროვდნენ და თავიანთი განადგურებული მამულის აღდგენას შეუდგნენ. იმერეთიდან გადმოვიდნენ დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე და დელუ მელიქ შირვანელი. მათ თავის სამკვიდროზე დააბრუნეს კახეთის მოსახლეობა და ქვეყნის შენებას მოჰკიდეს ხელი. ახალი ენერგიით შეუდგნენ ციხე-სიმაგრეთა აღდგენა-შეკეთებას. მათ მიიმხრეს და ააჯანყეს განჯის სახანოს ერთი ნაწილიც. თეიმურაზ მეფე კი თავისი ქართველებით სპარსეთის წინააღმდეგ ოსმალთა მხარეს იბრძოდა, რათა ამით ხელი შეეწყო კახეთიდან ყიზილბაშების განდევნისათვის. მაგრამ ოსმალეთმა ვერაფერი გაახერხა სპარსეთის წინააღმდეგ და იმავე წლის ბოლოს შაჰ-აბასმა და ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დროებითი ზავი დადეს. ასე, რომ სპარსეთის ლომმა კვლავ კახეთისთვის მოიცალა, საიდანაც ყოველდღიურად მისთვის არასასიამოვნო ცნობები მოდიოდა. მან დიდი ლაშქარი შეჰყარა, თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით, კახეთში გამოისტუმრა და თან სასტიკი ბრძანება გასცა:

- ჯანმრთელი და ძლიერი ქართველები მამაკაციან--დედაკაციანად ტყვედ გამორეკეთ სპარსეთში, ხოლო დანარჩენები დახოცეთ! არავინ დატოვოთ კახეთში არც დიდებული და არც გლეხი. თეიმურზს თუ წააწყდებით სადმე, შეიპყარით და ცოცხალი მომგვარეთ, ხოლო თუ მკვდარი იპოვეთ, თავი მოაჭერით და ჩამოიტანეთ! მაგას არ ვაპატიებ ჩემს ღალატს, ეგონა ოსმალეთთან ერთად სპარსეთს დააჩოქებდა! ეს არამც და არამც არ მოხდება, ხოლო მაგ გურჯმა რეგვენმა ამაზე პასუხი უნდა აგოს!

ეს ამბავი კახეთში რომ ჩამოიტანეს, უფრო გახელ-დნენ კახელები. დაერივნენ შაჰის მიერ დატოვებულ ყი-ზილბაშებს და ერთიანად გაავლეს მუსრი. ივრისა და ალაზნის ხეობებმა ამოისუნთქეს, სოფლებში ისევ ქარ-თულმა სულმა დაივანა. ამან კი გააათმაგა კახელების ენერგია და დაიწყეს მზადება შაჰ-აბასის ახალი შემოსე-ვის დასახვედრად.

შემოდგომის სუსხი ჩამომდგარიყო კახეთში. ხალხ-თან ერთად ბუნებაც გამკაცრებულიყო. უპურ-ღვინოდ და უსახლკაროდ დარჩენილი კახელები ამაყად იდგნენ სამ-შობლოს სადარაჯოზე და ელოდებოდნენ მომხვდურს.

## XIII

ტალას მოფიქრებულმა გეგმამ გაამართლა. ივრის ხეობის სადამსჯელოდ დატოვებულმა, მაგრამ ძირითა-დი ჯარისგან მოწყვეტილმა ყიზილბაშებმა ვერ გაუძლეს

ქართველთა მოულოდნელ თავდასხმებს და მათ ალყის გარღვევის საშუალება მისცეს...

...ახლა ყიზილბაშების სისხლით შეიღება მრავლისმნახველი იორი...

ტალა თავისი რაზმით ყვარლისკენ მობრუნდა.

- არ წამოვიყვანოთ სახლეულები თუშეთიდაან? - დააწია სიტყვა წინ მიმავალ ტალას გიგომ.

- არა! - მოკლედ უპასუხა ტალაურმა.

- ვითომ რათაო? - იწყინა გიგომ ტალას მიერ გაცემული მოკლე პასუხი, - თუშეთში ხომ არ უპირებ გამოზამთრებასა, ჰაა!?

- ეგრეა! - გაისმა ისევ ტალას ხმა, მხოლოდ ახლა უფრო მკაცრი.

- შენა ცოლ-შვილი არა გყაამ და რაში გენაღვლება... - ალაპარაკდნენ სხვა ყვარლელებიც.

ტალამ ცხენი გააჩერა, თვალი მოავლო თანასოფლელებს და თქვა:

- თქვენ რა გგონიათ, ომი დამთავრდაა!?

უცებ ყველა გაჩერდა, ტალას შეხედეს და მერე გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს. ტალამ კი განაგრძო:

- შაჰ-აბასი ბრძოლას არ ტოვებს მანამ, სანამ გამარჯვებული არ გამოვა იქიდანა! ახლა უფრო დიდი ძალებით წამოვა კახეთისკენ, რათა აქ ცოცხალი არავინ დატოვოი!

- რათა, კაცო! - იყვირა გიგომ, - ამდენ უდანაშაულოთა სისხლი დაღვარა, ამდენი ტყვე წაასხა სპარსეთშია! მეტი რაღა უნდა მაგ ღვთის პირიდან გავარდნილსა!..

- რა უნდა და, - შეაწყვეტინა სიტყვა ტალამ გიგოს, - სანამ ჩვენს მიწაზედა ერთი ქართველიც დადის, მანამ-

დე ომს არ შეწყვეტს! იცის, რომ ქართველი მისი მონა არასდროი გახდება და აქ თურქმანებიი ჩასახლებაი აპირებს. ამიტომაც უნდა ვიბრძოლოთ სისხლიი უკანასკნელ წვეთამდე, რათა ჩვენმა შვილებმა თავის მიწაწყალზე იცხოვრონ!

- ვიომოთ და ვიომოთ, - ჩაიბურდღუნა გიგომ, - ჩვენა სამშობლოსთვინ სიცოცხლე არ გვენანება. მაგრამა...

- რა მაგრამა!? - არ დაამთავრებინა ტალამ, - თქვი ბოლომდე!

- ისა, რომა მარტოკანი ამ ძაღლთოდენი ყიზილბაშებიი წინააღმდეგ რაი გავხდებით?

- ჰოოდა, მაგისთვინ მივდივართ გრემშია, რომა შევუერთდეთ ჩვენებსა და ჩასაფრება მოვაწყოთ იქა, სადაც გვეტყვიან! - ხმამაღლა წამოიძახა ტალამ, საღარას კისერზე ხელი გადაუსვა და გაჰქუსლა.

ალაზანზე რომ გადადიოდნენ, ტალამ მდინარეს გახედა. მუდამ ზვირთებლამაზი და მოალერსე დედამდინარე გაშავებულიყო და ნაპირებს უსწორმასწოროდ ეხეთქებოდა, თითქოს ლამობდა კალაპოტიდან ამოვარდნას და სხვა გზით წასვლას. ტალას ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა, ცხენი ააჩქარა, ნაპირზე ამოსული შემობრუნდა და თელავის ციხეზე მოგიზგიზე ცეცხლი შენიშნა. ეს ნიშანი იყო, რომ მტერი საქართველოს საზღვრებს მოსდგომოდა. ბიჭებს ანიშნა გაჰყოლოდნენ და ყვარლისკენ გააქროლა საღარა.

სოფელში შესულებს ყველაფერი განადგურებული დახვდათ. მტერს ჯერ გაეძარცვა სახლები და მერე

ცეცხლი წაეკიდებინა. ვენახი მთლიანად აეჩეხათ, ქვევრები ჩამსხვრეული, ძაღლიც კი აღარ დარბოდა ორღობეებში. ტყიდან მგლის ყმუილი გაისმა. როგორც ჩანს ცხოველი მიხვდა, რომ ადამიანები შევიდნენ სოფელში, სადაც მათ დიდი ხანია ბინა ჰქონდათ დადებული და ატყობინებდა თავის ხროვას, არ გაჰკარებოდნენ სოფელს. მგელმაც კი იცოდა, რომ სხვის საცხოვრისს არ უნდა გაჰკარებოდა, თუ იქ პატრონი მობრუნდებოდა. სამწუხაროდ, ეს არ ესმოდა გადაგვარებული და გადაჯიშებული ადამიანების მოდგმას, რომელიც თავის მეზობლებს უკვე მესამედ უნადგურებდა მამულს, უკვე მრავალჯერ გაძარცვულს და იავარქმნილს.

ტალა თავის სახლის ეზოში შევიდა, ჩამოხდა ცხენიდან, მიიხედ-მოიხედა, დანგრეული სახლის ზღურბლზე ჩამოჯდა, მოუხმო თანამებრძოლებს, თვალი მოავლო ყველას, მერე გიგოს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

- ნახე შენი ეზო-ყურეე?

- ვნახე... - ძლივს წარმოთქვა ეს ერთი სიტყვა გიგომ და ნაღველი ყელში მიებჯინა, ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან, ზურგსუკან ქამარში ჩაწყობილი დანებიდან ერთი ცალი ამოიღო და იქვე გადაქცეულ ხეს მთელი ძალით ესროლა. დანა ბოლომდე ჩაერჭო ხეს და გიგომაც იღრიალა, - დროზე მოვიდნენ ეგ რჯულძაღლები, რომ პასუხი მივაგოთ ჩვენი გამწარებისთვინა!

- აქ აპირებდი შენი ცოლ-შვილიი წამოყვანააი!? - ისევ ჰკითხა ტალამ, - აბა, მითხარ, სად დააბინავებდი!? რას აჭმევდი!? ...

ეზოში ყველა გარინდულიყო, მხოლოდ აქა-იქ ცხენების ფრუტუნი ისმოდა. ვაჟკაცებს თითქოს კრიჭა შეკვროდათ და მათ გონებაში, გულში და მთელ სხეულში მხოლოდ შურისძიების წყურვილს დაესადგურებინა.

ბოლოს, მეომრებს ასაკით ყველაზე უფროსი თუში, ორი ხმლით ოსტატურად მებრძოლი, აფთარაულების გვარჯიშის ვაჟკაცი, სახელად გორგი გამოეყო და ტალას მიმართა:

- ტალავ, დრო არ ითმენს! სანამ მოსულა მტერი, უნდ გავერკვეთ რაი ვქნათ!? ქალაქ ჩავიდეთ, ამბავ შევიტყოთ! სად უნდ დავხვდეთ მტერსა!

ტალაური ფიქრებიდან გამოერკვა, არაფერი უთქვამს გორგისთვის. ან რა ჰქონდა სათქმელი, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. ელვისუსწრაფესად შეახტა საღარას, ხელით ანიშნა ბიჭებს გამომყევითო და გაჰქუსლა გრემისკენ.

## XIV

სპარსეთის შაჰად აბას პირველის ყოფნამ არნახული ზიანი მიაყენა საქართველოს და განსაკუთრებით კახეთს. მისი მმართველობა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრობით იყო აღსავსე. ჭორებისა და ჯაშუშობის ქსელის მოტრფიალე, თავის გარშემო ისეთ ჯოჯოხეთურ მუხანათობისა, ინტრიგებისა და ეჭვიანობის ბუდეს ჰქმნიდა, რომ მას ხშირად თვითონაც აღარ შეეძლო სიმართლე შეეტყო და თავისივე დაგებული მახიდან თავი დაეღწია. ში-

ნაური მტრების და მოღალატეების ენას აყოლილმა, კახეთის და რუსეთის ურთიერთობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა და ავადმყოფურად აიჩემა კახეთის და კახელების მიწისაგან პირისა აღგვა.

კახეთში გალაშქრებამდე შაჰმა, ლაშქრის სარდალი, თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში დაიბარა და მასთან განმარტოვდა.

- მე შენ გენდობი, ისა-ხან, და ამიტომაც დაგნიშნე ლაშქრის სარდლად! - წარმოთქვა ამაყად თავაწეულმა შაჰ-აბასმა და ულვაშზე გადაისვა ცერა და საჩვენებელი თითები.

ისა-ხანი დავარდა შაჰის ფეხებთან და შეჰღაღადა პატრონს:

- სამყაროს მბრძანებელო, დიდი მადლობა ასეთი პატივისა და დაფასებისთვის. მზად ვარ თქვენთვის ჩემი სიცოცხლე გავწირო...

- აქ სიცოცხლის გაწირვისთვის არ დამიბარებიხარ, ყორჩიბაშ, - გაეღიმა იქედნურად შაჰს და მის ფეხებთან დავარდნილ სარდალს ანიშნა ფეხზე წამომდგარიყო, - შენ უნდა იცოდე რისთვის მიდიხარ იმ გიაურთა ასალაგმავად, რომელთა დამორჩილებაც აქამდე სხვა სარდლებმა ვერ შეძლეს!

ისა-ხანი მორჩილად იდგა თავისი მბრძანებლის წინ და არ იცოდა რა უნდა ეპასუხა მრისხანე პატრონისთვის. აბასმა ხანი ხალიჩაზე დასაჯდომად მიიწვია და ფიალაში ჩამოსხმული შარბათით გაუმასპინძლდა. მერე მუთაქებზე გადაწვა და დაიწყო საუბარი:

- კახეთის მეფე ალექსანდრემ, ჩვენი ღალატისთვის, თავისი შვილისგან, ჩემი აღზრდილი კონსტანტინესაგან, მიიღო ალაჰის მიერ გამოგზავნილი სასჯელი. მან რუსეთთან გაბმული კავშირის გამო მთელ მეზობელ ქვეყნებს უღალატა და ამიტომაც ჩვენ, ჩვენი მტერი ოსმალო და კავკასიის მთიულნი გადაიმტერა. ყველაფერი კი აი, ამ წერილით დაიწყო, რომელიც ჩვენ მსტოვრებს სულთნის კარზე ჩაუვარდათ ხელში და რომელიც რამდენიმე წლის წინ არის დაწერილი, ჯერ კიდევ ალექსანდრეს მეფობის დროს. შაჰმა ზანდუკიდან ქაღალდი ამოიღო და ისა-ხანს გაუწოდა.

წერილი სულთნის სახელზე იყო დაწერილი და ხელს შამხალი აწერდა:

„...რუსთა ჯარის გამოლაშქრების მომლოდინე ვარ. თავის მხრივ ალექსანდრეც ომს მიპირებს. ხოლო ჩემს მიწა-წყალს ხელში ჩაიგდებენ თუ არა, მაშინ შენს ხელში მყოფი დარუბანდი, შამახია, შირვანი, განჯა და სხვა ქალაქები მოსკოვის ხელმწიფეს ჩაუვარდება ხელში და მაჰმადიანებს იქ ამოწყვეტენ. ამ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, რუსთა მეფის ჯარი ყიზილბაშთა ლაშქარს და ქართლ-კახეთის სამხედრო ძალას შეუერთდება და მაშინ ამ შეერთებულ მხედრობას შენ სტამბოლამდის ვერ შეაჩერებ. ამას, რომ შეიტყობენ, ახლა ფრანგები და ესპანეთის მეფე თავის მხრით მოგადგებიან“.

ისა-ხანმა წერილი შაჰს დაუბრუნა და მბრძანებლის სიტყვას მორჩილად დაელოდა.

- მიხვდი, რა მახეს გვიგებენ ქრისტიანები!? - წამოიძახა შაჰმა.

ისა-ხანმა მართალია ბევრი ვერაფერი გაიგო ამ წერილიდან, მაგრამ არ შეიმჩნია და შაჰს მოჩვენებითი სიმამაცით მიუგო:

- მბრძანებელო, გიაურები უნდა გავჟლიტოთ ერთხელ და სამუდამოდ!

შაჰ-აბასმა კარგად იცოდა, რომ ისა-ხანი ვერ ჩაწვდებოდა ამ წერილის შინაარს, ვერ გაითავისებდა იმ საფრთხეს, რომელიც რუსეთიდან მოდიოდა. ვერ შეაფასებდა, რუსეთ-კახეთის კავშირმა სტამბოლსა და ისპაჰანს რა საფიქრალი გაუჩინა. რომ ამ ორ ქვეყანას სწორედ ეს კავშირი აშინებდა, რადგან საქართველო ერთმორწმუნეობის გამო მზარდი და ძლიერი რუსეთის იმპერიის ბუნებრივი მოკავშირე ხდებოდა. ამიტომ კახეთი ან უნდა გაემაჰმადიანებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ამოეწყვიტათ და გადაესახლებინათ. მათ ადგილას კი ისევ მორჩილი მუსლიმები დაესახლებინათ და ამით საბოლოოდ გაეჩერებინათ რუსეთის წინსვლა სამხრეთისკენ. უფრო გასაგები რომ ყოფილიყო ისა-ხანისთვის შექმნილი მდგომარეობა, შაჰმა შორიდან დაიწყო:

- მოღალატე ალექსანდრემ რუსეთის მეფე გოდუნოვთან გააბა ურთიერთობა ისეთ დონეზე, რომ მხოლოდ სამხედრო პირები კი არა, მათი მღვდლებიც ჩამოდიოდნენ კახეთში და ერთობლივ ლოცვას აღავლენდნენ, რათა ღმერთს დაესაჯა ჩვენი ქვეყნები და ჩვენი ხალხი. მოხდა პირიქით, ალაჰმა სიკვდილით დასაჯა ალექსანდრე, ხოლო რუსეთში კი დაამხო საუკუნოვანი სამეფო დინასტია. ჩემმა დანიშნულმა თეიმურაზმაც გულში გაივ-

ლო ღალატი და ურთიერთობა გააბა რუსეთის ახალ მეფესთან, ვინმე რომანოვთან და ძველი ურთიერთობების აღდგენა დაიწყო. რუსებმა საიდან მოიყვანეს ეს მეფე, არავინ იცის. ხალხში ხმა დააგდეს რომიდან გამოგზავნეს, მსოფლიო ქრისტიანული მექადან და ამიტომ არის რომანოვიო. იმანაც იქ თავის ხალხს აურია გონება, აქეთ კიდევ - ქართველებს. ასე, რომ თუ კახეთში ისევ ქართველები იქნებიან, კიდევ ერთ მტერს შევიძენთ რუსეთის სახით. ჩვენ ოსმალოც გვეყოფა მტრად, რომელსაც მალე დავაჩოქებ და სპარსეთს დავუბრუნებ ძველ დიდებას! მიხვდი ახლა, რატომ ვლაპარაკობ ამდენს!?

- მბრძანებელო, თქვენი თითოეული სიტყვა ჩემთვის ბრძანებაა, - ასისინდა ისა-ხანი და მხრებში მოხრილმა და თვალებგაფართოებულმა განაგრძო, - კახეთს მიწასთან გავასწორებ!

- ალაჰი იყოს შენი მფარველი ისა-ხან! არავინ დაინდო! არც ორფეხი, არც ოთხფეხი! ერთი ძირი ვაზი არ დატოვოთ, ყველა აჩეხეთ! ეკლესიები მიწასთან გაასწორეთ! ისეთი რისხვა დაატეხეთ თავს, რომ მდინარეებსაც შეეშინდეთ და აღმა დაიწყონ დინება!..

- მბრძანებელო, - ძლივს წარმოთქვა სიტყვები ფეხზე წამომდგარმა და ოთხად მოკაკვულმა ისა-ხანმა, - კახეთიდან მობრუნებულმა თქვენმა სახელოვანმა მეომრებმა გვიამბეს, რომ რამდენი ქართველიც კი მოუკლავთ, ყველას ზურგზე ვაზის ლერწი ჰქონია მიკერებული...

- ეგ როგორ!? - განრისხდა ირანის ლომი, - ან რისთვის!?

- ასე ამბობენ, მბრძანებელო, რომ ქართველებს უთქვამთ: „სპარსელები ვერც ქართულ ჯიშს გაანადგურებენ და ვერც მის მაცოცხლებელ ვაზსო. ვაზის ლერწებს ზურგზე მივიკერებთ და თუ დავეცემით ბრძოლის ველზე ვაზი ჩვენს სხეულზე გაიხარებს და არ გადაჯიშდებაო...“

- არც ერთი ვაზი!.. ყველა აჩეხეთ!.. ყველა გურჯს ააგლიჯეთ ზურგიდან ლერწები და ორივე ნაკუწებად აქციეთ!.. - იღრიალა შაჰ-აბასმა და მის წინ მდგარ ვერცხლის დოქს, რომელიც საქართველოდან ახლად ჩამოტანილი რქაწითელის ღვინით იყო სავსე, ხელი დაავლო და შეანარცხა კედელს. მერე დოქიდან გადმოღვრილი ღვინით დასველებული ხელი აიქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისა-ხანს უნდა დაეტოვებინა შაჰის მოსასვენებელი.

როდესაც მსახური ისა-ხანს გასასვლელი კარისკენ მიაცილებდა, შაჰ-აბასს მისთვის თვალი არ მოუცილებია, ულვაში თითებით შეისწორა და ჩაილაპარაკა:

- შეძლებს კიი!? ისევ ქართველი უნდა დავუპირისპირო ქართველს. ქართლელი და კახელი თავადები ერთად ყოფნას დიდი ხანია გადაეჩვივნენ...

...უკვე მერამდენედ იდგა კახეთი მაოხრებელი იქედნეს პირისპირ...

...მისი დამხმარე ღმერთის გარდა არავინ იყო...

## XV

მეფის სასახლესთან უამრავი მეომარი და შეიარაღებული გლეხი შეკრებილიყო. ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისაც მტერმა სამშობლო და სახლეული დაუქცია, ვინც ვერ მოასწრო ცოლ-შვილის გახიზვნა ან ამოუწყვიტა ან კიდევ სპარსეთის გზას გაუყენა. კახელ კაცს სახლში აღარ დაედგომებოდა, თუმცა აღარც სახლი ჰქონდა და ეზო-ყურე კიდევ - მორღვეული, ვაზი აჩეხილი, ცხვარ-ძროხა წართმეული, ქვევრები ჩამსხვრეული... საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი და შეძლებული გლეხი თავისივე ქვეყანაში ლტოლვილად ქცულიყო და მისი სახლი და ქონება ტყე გამხდარიყო, რომელსაც გადამთიელი ცალკე ედავებოდა და ნადირი ცალკე...

- მეფე დაგველაპარაკოი! - გაისმოდა შეკრებილ ხალხში, - გვითხრაი, როგორ მოვიქცეთ! ესე არეულ-დარეული ხომ არ დავხვდებით მტერსა!?

სულ მალე სასახლიდან დავით ჯანდიერი გამოვიდა რამდენიმე მხლებელთან ერთად, წარსდგა ხალხის წინაშე, ხელის აწევით ანიშნა გაჩუმებულიყვნენ და მიმართა:

- ხალხო! მეფე თეიმურაზი რამდენიმე დიდებულთან ერთად იმერეთში გადავიდა, რათა ჩვენმა ძმებმა დახმარება გაგვიწიონ მტერთან ბრძოლის საქმეში. სანამ დამხმარე ძალა მოვა, მომხდურს ჩვენი ძალებით უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა...

- იმერლებ თავიი თავი გასჭირებიათ! - გაისმა ხალხში, - ოსმალო კარზე ჰყავთ მომდგარი, მეფემ ჩვენ მოგვხედოი!..

- რა აზრი აქ წინააღმდეგობიი გაწევაი, როცა ყველაფერი განადგურებულია! - დაიძახა ვიღაცამ, - მეფე თუ არა გვყავ დასაცავი, ჩვენ თავ ჩვენ მივხედავთ! ამხელა მთები და ტყეები გვაქ, ყიზილბაშებ იქ გავუსწორდებით! თან უფრო ნაკლები დავიხოცებით!..

- მართალია! მართალი!.. - ახმაურდა ხალხი.

ჯანდიერმა ხელი ასწია და იყვირა:

- იყუჩეთ, ხალხო! ბოლომდე მათქმევინეთ სათქმელი! ეს ჩვეულებრივი შემოსევა არ არის! ისა-ხანის ლაშქარს უკან უამრავი ელი მოჰყვება დედა-წულიანად, რომელთა დასახლებას აპირებენ ჩვენს ეზო-ყურეზე!..

ხალხში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა...

ჯანდიერმა კი განაგრძო:

- ახლა მიხვდით, რა მზაკვრობას გვიმზადებს ღვთის პირიდან გავარდნილი შაჰ-აბასი!? ეს ჩვენს გადაშენებას ნიშნავს ღმერთის ნაბოძები იმ მიწა-წყლიდან, რომელიც ჩვენი მამა-პაპათა სისხლით და ოფლით არის მორწყული!

ხალხში დავანებული სიჩუმე ნელ-ნელა იარაღის ჟღრიალმა შეცვალა...

ჯანდიერი კი განაგრძობდა:

- ვერც მურვან ყრუმ, ვერც სელჯუკებმა და ვერც ქართველთმოძულე თემურ-ლენგმა ვერ შეძლეს კახელი კაცი აეგლიჯათ თავისი მიწიდან და ვერც შაჰ-აბასი შეძლებს ამას, რადგან საქართველოს ღვთისმშობლის მეოხებით თვითონ უფალი იესო ქრისტე იცავს „...არ გავწირო ერი ესე საზეპურო უკანასკნელ ჟამამდისო!“ ასეთი პირობა მისცა უფალმა დედა ღვთისას მიძინებისას... შე-

ხედეთ გრემის მთავარანგელოზებს, ისინი ისევ ისე ამაყად დგანან და გვიცავენ ბოროტისაგან, რომელიც უკვე მერამდენედ არის მომდგარი კახეთის კარს!.. ყველამ ვიცოდეთ, რომ ჩვენ ქრისტეს მხედრები ვართ და ჩვენთან არს ღმერთი!..

- არს და იყოს! - შესძახეს კახელებმა, პირჯვარი გადაიწერეს და მუხლი მოიყარეს გრემის მთავარანგელოზის წინაშე.

- ქრისტესმიერო ძმებო! - განაგრძო ჯანდიერმა, - სამშობლოს დასაცავად შეიქმნება სახალხო ლაშქარი, რომელიც ჯერ კიდევ სიკვდილს გადარჩენილ სოფლების მოსახლეობასთან ერთად დაიცავს საკუთარ საცხოვრისს. ეხლა, ჩვენ თქვენგან გამოვარჩევთ რაზმების მეთაურებს, რომლებიც გაგაცნობენ საბრძოლო ვითარებას და განწესებას. ვისაც არა აქვს იარაღი, ჩვენ დავურიგებთ, როგორც სამეფო მარაგიდან, ასევე ნაალაფარიდან, - აქ მცირე ხნით შეჩერდა ჯანდიერი და მერე განაგრძო, - ყიზილბაშის ხმალიც კარგად ჭრის თუ რიგიანად მოიქნევ, სატევარებიც ბევრი გვაქვს. დანარჩენს თქვენი მეთაურები გეტყვიან!

შემდეგ, ვაჩნაძემ ხუთი ათეული მეომარი იხმო და სასახლეში წაიყვანა. მათ შორის ტალა ტალაურიც გახლდათ. სასახლის ეზოში მეომრებს კვლავ ჯანდიერმა მიმართა:

- დღეს აქ შეკრებილი ყველა ვაჟკაცი გმირია, მაგრამ თქვენ გამოგარჩიეთ იმიტომ, რომ გაქვთ მხედრული გამოცდილება და მეთაურის თვისებები. ბევრი რამ

არის თქვენზე დამოკიდებული. ჩვენ შესანარჩუნებელი გვაქვს ჩვენი მამული და აი, რატომ. ცბიერმა შაჰ-აბასმა ჯერ კიდევ ცამეტი წლის წინ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა და როდესაც ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს, თავისთან დაიბარა ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექსანდრე. ქართლისა და კახეთის ჯარებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხესთან გამართულ ბრძოლაში. შაჰმა ერთგულებისათვის და ომში მონაწილეობისათვის მეფეები დაასაჩუქრა, სპარსეთში სოფლები აჩუქა და დაუნიშნა ჯამაგირი. ეს ყველაფერი კარგად მოფიქრებული მზაკვრობა იყო. ამ, ვითომ საჩუქარს მალე მოჰყვა სანაცვლო თხოვნა. შაჰმა მეფე გიორგის მოსთხოვა მდინარე დებედას ხეობა და ლორეს მხარე, ხოლო ალექსანდრეს - კაკ-ენისელი. მეფეებს სხვა გზა არ ჰქონდათ და დათმობაზე წავიდნენ. ამ ტერიტორიებზე შაჰმა თურქმანული ტომების ჩამოსახლება დაიწყო, ხოლო დებედას ხეობაში ბორჩალუს ტომი ჩამოასახლა. ჩვენს მეზობელ კაკ-ენისელში შაჰმა ლეკებსაც დართო ნება დასახლებისა, რადგან ისინი მას ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებიან. მხარე გაივსო წახურელი და ავარიელი ლეკებით. ეხლა კი...

- ქიზიყიი, თავადო? - იკითხა ტალამ.

- ჰაი, ჰაი, რომ ქიზიყი, - მიუგო ჯანდიერმა, - და რატომ ქიზიყი? იმიტომ, რომ შაჰმა რადგან კახელები ვერ გაგვამუსლიმანა, ვერ გაგვხადა თავის მოკავშირე, მოიფიქრა ვერაგული გეგმა და ნაწილ-ნაწილ ცდილობს, სხვადასხვა საშუალებებით, მიწების წართმევას და იქ

ელების და ერთგული ლეკების დასახლებას. რადგან ეს კაკ-ენისელში გაუვიდა, ახლა მისი მეზობელი ქიზიყის აოხრებას შეეცდება და იქ თავისიანების დასახლებას. შემდეგ კი აქეთ წამოვა და ასე შემდეგ. ეს ამბავი ჩვენმა მსტოვრებმა მოიტანეს. ახლა გვამართებს ჩვენი ძირითადი ძალები ქიზიყში განვალაგოთ და იქ დავხვდეთ სპარსელებს...

- ლეკებიი, თავადო? - იკითხა ტალამ.

- მაგაზეც ვიფიქრეთ, - მიუგო ჯანდიერმა, - შამხალთან კაცი გავაგზავნე და დავაბარე, თუ ერთი ლეკიც კი ზურგიდან დაგვარტყამს, მთელ რაზმებს შენსკენ მოვაბრუნებ და აულებიანად ამოგჟუჟავ-მეთქი. არც დახმარებას ვითხოვ შენგან და მით უმეტეს არც მტრობას-მეთქი. დასტური მისცა შათირს. თუმცა მაგათი ნდობა არ შეიძლება, ამიტომ ზურგის გამაგრებაც მოგვიწევს.

- აქაურობას რა უნდა მოვუხერხოთ, თავადო? - საუბარში ჩაერთო ქიზიყელთა რაზმის მეთაური ქაიხოსრო, - აქაც ხომ უნდა დავიცვათ მამული?

- თუშეთიდან და ხევსურეთიდან დამხმარე ძალა გზაშია უკვე, - თქვა ჯანდიერმა, - ისინი ტალას რაზმს შეუერთდებიან. მერე შევხედავთ, როგორ გადავანაწილოთ ძალები. თუ მტერი აქეთ მხარეს რიცხობრივად ბევრი იქნება, ტალას მთებში მოუწევს ასვლა, სამალავები კი აქვს ბევრი. ამით ცოცხალ ძალას დავზოგავთ და მერე იქ გამოვიყენებთ, სადაც უფრო დაგვჭირდება. ასე, რომ ბრძოლა არ იქნება იოლი.

მიმწუხრისას, გრემის მთავარანგელოზის დეკანოზმა აბიბოსმა პარაკლისი აღავლინა სასახლესთან შეკ-

რებილი მეომრების თანდასწრებით, დილის წირვიდან საგანგებოდ გადანახული ბარძიმი გამოაბრძანა ტაძრიდან, აზიარა მეომრები, შემდეგ ზეთი აცხო, დალოცა და მტერთან გამარჯვება უსურვა...

კახეთის ისტორიაში ყველაზე შავი ენკენის თვე იდგა... ღვინის მაგივრად სისხლის დუღილი იწყებოდა კახეთში...

## XVI

გარეჯის მრავალმთის უდაბნოში ზაფხულის ხვატისგან გამოფიტულ მიწასა და ქვიშას შემოდგომის დადგომისას უეცრად წამოსულმა წვიმებმა ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. უდაბნოში ცხელი და გრილი ჰაერით შეზავებული ქარი აქეთ-იქით დაჰქროდა. თითქოს ნადირი და ფრინველიც გამქრალიყო თვალსაწიერისგან. შაჰ-აბასის დანთებულ ცეცხლს მიწაზე მოსიარულე და ჰაერში მონავარდე სულიერი არსებანი ერთიანად მოესპო. მხოლოდ აქა-იქ მიწაში მოსრიალე ქვეწარმავალს თუ წააწყდებოდა კაცი, რომელიც ასევე იშვიათი სტუმარი გახლდათ ჯოჯოხეთად ქცეული უდაბნოსი. მხოლოდ უფლის ანგელოზები არ ტოვებდნენ უფლის საბრძანებელს.

გარეჯის ქედზე, ჩიჩხიტურის მონასტრიდან სამი ბერი გამოვიდა და დავით გარეჯელის მონასტრისკენ წავიდნენ. თავდახრილნი, ნელი ნაბიჯით, მდუმარედ მიუყვებოდნენ ლავრისკენ მიმავალ ბილიკს.

- მამაო ათანასე, - დაარღვია სიჩუმე ერთ-ერთმა ბერმა, - ამდენი ხანი გავიდა ამ საზარელი ამბიდან და გვამებს ნადირი არ შემუსრავდა?

როგორც ჩანდა მამა ათანასე უპირატესი გახლდათ, რადგან ორივე ბერი მორჩილებას გამოხატავდნენ მის მიმართ.

- შვილო, - მიუგო მამამ, - ისინი წმიდანები არიან, მათ ანგელოზები იცავენ და ამიტომ ნადირი ვერ გაეკარებათ. ჩვენ აქამდეც უნდა მიგვექცია ყურადღება მათი წმიდა ნაწილებისთვის, ველოდებოდით კათოლიკოსის კურთხევას, მაგრამ ვინაიდან კათოლიკოსი იოანე იმერეთს იმყოფება, ვერავინ გაბედა მის გარეშე კურთხევის გაცემა. ახლა კი, ახლად ხელდასხმულ კათოლიკოსს ქრისტეფორეს გამოცხადება ჰქონია. დედა ღვთისა და დავით გარეჯელი უხილავს, რომელთაც საყვედური გამოუთქვამთ ჩვენი ეკლესიის მიმართ, რომ ქრისტეს მოწამე გარეჯელი ბერების წმიდა ნაწილები ჯერ კიდევ უპატრონოდ არის მიტოვებული უდაბნოში და მათი პატივის მიგებისთვის მოუწოდებიათ. დედა ღვთისა ტიროდაო ჩვენი ასეთი არაქრისტიანული საქციელის გამოო. კათოლიკოსმა კი მე დამავალა ამ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება. ასე, რომ კურთხევა, ღვთისმშობლის მეოხებით, თვით უფლისგან მოდის და ამიტომ გაათმაგებული ყურადღება გვმართებს ამ წმიდა საქმის მიმართ...

- მამაო, - უცებ წამოიძახა ბერმა, - შეხედე, დაბლა ვარდების ბუჩქია და როგორ ყვავის, თან როგორ ირხევა, თითქოს გიხმობსო.

მამა ათანასემ თვალი გააყოლა ქედიდან ყარაიას ველისკენ დაქანებულ კლდეს, გაუკვირდა, ამ ქვიან ადგილას ვარდების ბუჩქი საიდან უნდა გაჩენილიყო. ირგვლივ მიმოიხედა, მცენარე კი არა ბალახიც კი არსად ჩანდა. მიხვდა, რომ ისინი უკვე წმიდა ადგილს მიუახლოვდნენ, ამიტომ გადაწყვიტა ღმერთის მიერ გამოჩინებული „უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი“ ახლოს ენახა. ბერები ამ სასწაულის სანახავად კლდეზე ფრთხილად დაეშვნენ, თუმცა უმალ ბიბლიური „მაყვალი შეუწველი“ გაახსენდათ, ვარდის ბუჩქთან მიახლოება ვერ გაბედეს და შორიახლოს გაჩერდნენ...

...ვარდის ბუჩქიდან არაამქვეყნიური სურნელება იფრქვეოდა...

...მამებმა პირჯვარი გადაიწერეს, მუხლი მოიდრიკეს, ხელები ზეცისკენ აღაპყრეს და წარმოთქვეს:

- დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!

მყისვე მოესმათ ხმა:

- თუალნი ღუთისანი იყუნეს მართალთა მათ ზედა და მთხოველთა მიიღეს აღსრულებაი სათხოველისა, ვითარმედ არავინ წარწყმდა ერთიცა მათგანი და ყოველნი ერთ შეკრებულებით დაჰსდგეს წმიდა ცხოველთ შემოქმედისა სამებისა, შუამდგომელად და მეოხად ყოვლისა სოფლისა. იყუნეს უკუე წმიდათა მათგანი ძმანი ორნი, რომელთასა მომზრახობენ ძმოებასა ხორციელ ადრე და ჭაბუკ ყოფასა, ესენი დროსა მას წმიდისა ვნებისა მოწამეთასა, ოდეს უწყალოდ მოიკვლოდეს წმიდანი იგი ძმანი

თუალთაგან უღმრთოთასა განერნენ მცირედრე და წარ-
ვიდეს რეცა განრინებული სიკუდილისაგან. და ოდეს მო-
იცადეს კლვისაგან ვერძთა მათ წმიდათასა და აღოხრე-
ბად მონასტერთა ლაშქარი იგი განიყო განყოფილნი იგი
სხვათა მონასტერთა მიმართ წარვიდეს ოხრებად, ამათ-
განთა უკუე ბარბაროსთა იხილეს თქმულნი იგი ძმანი
წმიდანი, შორის ორთა მათ მონასტერთა, ესე იგი წიხი-
ტურისა და ნათლისმცემელისა, მიეტევნეს ძლიერად და
შეიპყრნეს წმიდანი იგი და უარის ქრისტეს ღუთისა აიძუ-
ლებდეს, გარნა იგინი ეგნეს გონებითა უმტკიცეს ორთა
მთათა ანდამატისათა. ვინაიცაუღმრთოთა მათგან მახ-
ვილითა მიიღეს სიკუდილი სანატრელი და შეერთებაი
გუნდთა მათ წმიდათა ძმათა თვისთა თანა და მიერითგან
ღელესა მას შინა, სადა იგი მოსწყვიდეს მოწამენი ქრის-
ტესნი აქამომდე ორძილობენ ვარდნი ნერგნი მრავალ-
ნი, ფარულად სუნნელნი ურწყულთა მათ ადგილთა და
ყუავილთა თვისთა მიერ მშუენიერთა და სუნნელთა და
ჰნიშვნენ წმიდასა მას სიმეწამულესა და ღუთისა მიმართ
სუნნელებასა წმიდათა და პატიოსანთა სისხლთა მათთა-
სა. მაშინ უღმრთოთა მათ აღაოხრნეს ყოველნი მონას-
ტერნი, რამეთუ მომზრახობენ მათგან მოოხრებულთა
მათ ათთორმეტ მონასტრად, რომელნიცა გარეჰსჯისა
უდაბნოსა შინა და კიდეთა მცირისა ალაზნისათა შენნი
იყუნეს. ოდეს აღაოხრეს წმიდანი იგი მონასტერნი, ბარ-
ბაროსთა მათ და თვისად წარვიდეს. თქვენ გამოგგზავ-
ნათ კათალიკოსმან ქრისტეფორემ, რამეთუ წმიდათა ნა-
წილები შეჰკრიბოთ და დაავანოთ ადგილსა მას, სადაცა

მიიღეს სიკუდილი წმიდასა მას ეკლესიასა ქრისტეს აღდგომისასა. წარვედით მშვიდობით. ამინ!

ბერები გაოგნებულები უსმენდნენ ვარდის ბუჩქიდან გამომავალ ხმას. რაღაც განსაკუთრებულ სიმსუბუქეს და ნეტარებას გრძნობდნენ. მათ გულებში არაამქვეყნიურ სითბოს დაესადგურებინა... ირგვლივ ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდა... ბოლოს, სიჩუმე მამა ათანასეს სიტყვებმა დაარღვია:

- როგორც ჩანს, ეს ორი ძმა ჯერ სიკვდილს გაჰქცევია და მერმე მიბრუნებულან უკან და მიუღიათ მოწამეობრივი აღსასრული.

ბერები იმდენად იყვნენ გაკვირვებულნი მომხდარით, რომ მოგვიანებით აღიქვეს მამა ათანასეს მიერ წარმოთქმული სიტყვები, პირჯვარი გადაიწერეს და მორჩილად გაჰყვნენ მოძღვარს. მამაო კი განაგრძობდა:

- შეხედეთ უდაბნოს ქვიშასაც კი მეწამული ფერი დაჰკრავს. ადრეც ვარ ნამყოფი აქ მრავალჯერ და ასეთი რამ არ შემინიშნავს. ასე, რომ ეს წმიდა ადგილი უფლის წმიდათა წმიდა გახდა. ღმერთო, შენ გადმოხედე ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს...

- მამაო, ნიავს კეთილსურნელება მოაქვს, - წარმოთქვა ერთ-ერთმა ბერმა, რომელიც ფეხდაფეხ მისდევდა მამა ათანასეს, - შეხედეთ, რაც ვუახლოვდებით აღდგომის ტაძარს, კეთილსურნელება უფრო და უფრო ძლიერად შეიგრძნობა.

ბერებს აღდგომის ტაძარი მორღვეული დახვდათ. მხოლოდ საკურთხეველი იდგა მყარად. ირგვლივ მიმოფან-

ტული იყო სპარსელების მიერ დახოცილი ბერების ძვლები, რომელსაც ზედ ხორცი აღარ შერჩენოდა, მხოლოდ მირონი სდიოდა და ეს აფრქვევდა კეთილსურნელებას.

მამებმა ირგვლივ მიმოყრილი ქვებით სახელდახელოდ აღადგინეს ტაძრის კედლები და წმიდა ნაწილების დაბრძანება დაიწყეს საკურთხეველში, რომელსაც სახურავი შემორჩენოდა და წვიმისაგან დაიცავდა სიწმიდეებს...

...ლოჭინთან კი ყიზილბაშები უკანასკნელ დავალებებს იღებდნენ თავისი სარდლებისგან თუ როგორ უნდა აეოხრებინათ უკვე მათგანვე ორჯერ მიწასთან გასწორებული კახეთი...

## XVII

ისა-ხან ყორჩიბაშმა სპარსელთა ლაშქარი ორად გაყო. ხუთი ათასი მეომარი ივრის ხეობაში გააგზავნა, ხოლო ძირითადი ძალებით ქიზიყისკენ დაიძრა. ივრის ხეობაში შესეულ ყიზილბაშებს ისევ უნდა გაევლოთ მთებში გახიზნული ქართველების საცხოვრისები, აეოხრებინათ იქაურობა, ჯანმრთელი ცოცხალი ძალა ტყვედ გაეგზავნათ სპარსეთში, ხოლო მოხუცები და სნეული ადამიანები ადგილზევე დაეხოცათ. ასე უნდა გასულიყვნენ ალაზნის ხეობამდე და მერე იქიდან ქიზიყში მებრძოლ ძირითად ლაშქარს შეერთებოდნენ. ტყუილად იხეტიალეს ყიზილბაშებმა ცივ-გომბორის მთების ტყეებში. ირგვლივ ყველაფერი დანგრეული და გადამწვარი იყო. რაც წინა

შემოსევის დროს სპარსელებს გადაურჩათ, დიდ კავკასიონში გახიზნულ ქართველებს გადაეწვათ და გადაებუგათ. იავარქმნილი ტყეებიდან ნადირიც გაქცეულიყო და ფრინველთა ჭიკჭიკსაც იშვიათად თუ გაიგონებდა კაცი. ასე, რომ ალაზნის ხეობამდე ნახევრად მშიერმა ყიზილბაშებმა ძლივს ჩააღწიეს. დაცარიელებულ სოფლებში გაშმაგებულნი ეძებდნენ ხალხსაც და საჭმელსაც, მაგრამ ამაოდ. თითქოს მიწას ჩაეყლაპა ყველაფერი.

უცებ, სოფელ შილდის თავზე, ტყეში სპარსელმა მზვერავებმა კვამლი შენიშნეს. არც დაფიქრებულან და ორი ასეული გაიჭრა მთებისკენ. კახელების მხრიდან ეს კარგად დაგეგმილი მანევრი იყო, რომელიც ტალა ტალაურმა თავის მებრძოლებთან ერთად მოიფიქრა. მშიერი ყიზილბაშები იმდენად იყვნენ გაცოფებულნი, რომ სიფრთხილეს აღარ დაგიდევდნენ და გაშმაგებულნი მიისწრაფოდნენ იმ ადგილისკენ, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. სამალავებში ჩასაფრებულ კახელებსაც ეს უნდოდათ. დათქმულ ნიშანზე რამდენიმე ათეული ისარი ერთდროულად გაფრინდა ტყეში მიმავალ ყიზილბაშებისკენ, წინა რიგებში დახოცილმა ცხენ-კაცმა ტყის სიღრმეში მიმავალი ბილიკები ჩახერგა, ქართველებმა, მომხდარისგან გაოგნებული სპარსელები ალყაში მოიქციეს, იშიშვლეს ხმლები და დაბნეული სპარსელების ჩეხვა დაიწყეს უმოწყალოდ...

...ახლა კი მთელი შემართებით აელვარდა და ამუშავდა თუში გორგი აფთარაულის ორივე ხმალი. როგორც წალდი ხის წვრილ ტოტებს, ეგრე სხეპდა აფთარაულის ხმლები სპარსელების თავებსა და ხელ-ფეხს...

კვლავ გაისმა სტვენის ხმა. ეს ნიშანი იყო, რომ ქართველები გასცლოდნენ აქაურობას და სხვაგან გადაენაცვლათ, რა თქმა უნდა, წინასწარ მომზადებულ სამალავებში, რათა მომზადებულიყვნენ ახალი თავდასხმებისთვის.

- ტალავ! - დაიძახა ტალაურის უკან ცხენით მიმავალმა მატნელმა მინდიამ, - ერთი კაცი მოგვიკლეს მაგ რჯულძაღლებმა! კარგი ბიჭი იყო ბედშავი!.. მერე მცირეხნით შეჩერდა, მკლავში ჩარჭობილი ისარი ამოიგლიჯა და იყვირა. - ბუნიკის გაკეთებაც არ სცოდნიათ მაგ ეშმაკის ნაჭლიკარებს! ისარს ბუნიკი აღარ უნდა მოსდევდეი!.. ფუი, თქვენი!..

- სპარსელებიი ისარზე და ბუნიკზე ფიქრსა და ლაპარაკსა დაანებე თავი და მალევე მოიწვი ჭრილობა ცეცხლითა! - გასძახა ტალამ მინდიას, - თორემ გაგისივდება და ეხლა შენ მიჰყვები იმ ბიჭსა! რომელია ეგ საცოდავი, საიდან არი!?

- თეთრ წყლებში, ფსიტის ციხიდან აგვყვა, - მიუგო მინდიამ და თან ჭრილობაში, სისხლის შესაჩერებლად ხელსახოცს ტენიდა, - იქ იმალებოდა. გაზაფხულზე მაგიი სახლეულობა ყიზილბაშებ ამოუწყვეტიათ. არ იცოდა რა ექნა, სად წასულიყო. ჩვენ შემოგვეკედლა. გამოუცდელი იყო საცოდავი და იგე, დავკარგეთ! ღმერთმა აცხონოი მაგიი სული.

- ცხედარი ხომ წამოიღეთ?

- თქვენებურ გიგოსა ჰყავ ცხენზე გადაკიდებული, - უპასუხა დაღონებულმა მინდიამ, - ადგილზე რომ

მივალთ, სადმე სუფთა ადგილაი დავკრძალოთ. აბა, მღვდელი არა გვყავ, წესი რო აუგოი.

ამასობაში ტალას მიერ გარემოს დასაზვერად გაგზავნილი ბიჭები დაბრუნდნენ. ცხენოსნები შეჩერდნენ. ტალა არც ჩამომხდარა ცხენიდან და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- აბა, რა ხდება!?

- გზა თავისუფალია, არავინ არი, - მიუგო ახალგაზრდა კაცმა, რომელიც, როგორც ჩანდა დანარჩენების მეთაური იყო, - მაგრამა ალაზნიი ვაკეზე უცნაური რამ ვიხილეთ.

- დღეი ჩვენთვინ ყველაფერი უცნაურია, - მწარედ გაეღიმა ტალას, - იქნება ჩვენც გაგვაკვირვო რა ნახეთ ეგეთი!?

- უამრავი კარავია ვაკეზე გაშლილი, - განაგრძო მზვერავთა მეთაურმა, - და ბევრი ხალხი ტრიალებს ბანაკში...

- მერე ამაში რა არის გასაკვირი? - შეაწყვეტინა სიტყვა ტალამ, - ჩვენ გაშლილ მინდორზე ვერ ვიომებთ, რადგან ცოტანი ვაართ და უთანასწორო ბრძოლა ჩვენი მარცხით დამთავრდება. ამიტომ გვერდი უნდა ავუაროთ მათ და მხოლოდ ჩასაფრებებით დავესხათ თავსა.

- მაგაი არ ვამბობ, ტალა, - თქვა მეთაურმა, - ბანაკი სავსეა ქალებით და ბავშვებით. თან რაღაც უცნაური თათრები არიან, დაბალი და ვიწროთვალება. ბანაკ კი გარშემო ყიზილბაშები დარაჯობენ.

გაგონილისგან სახტად დარჩენილი ტალა დინჯად ჩამოხდა ცხენიდან, ორივე ხელით უნაგირს ჩაეჭიდა, ზევით აიხედა და აღმოხდა:

- ღმერთო, შენ გვიშველე! დაიწყო შაჰ-აბასმა იმის გაკეთება, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა!

მერე პირჯვარი გადაიწერა და შუბლი უნაგირს დაადო. ასე იყო გარინდული, სანამ გიგომ მხარზე ხელი არ დაადო და ჰკითხა:

- რაო, ტალა? რა ხდება, არ გვეტყვიი?

ტალამ ასწია თავი, გადახედა თანამებრძოლებს და უთხრა:

- შაჰს უნდა, რომ ჩვენ მამულში თურქმანი ჯიშიი თათრები ჩაასახლოი. ეგენი ელები არიან. ეს ამბავი ჯანდიერმაც გვითხრა, მაგრამ ვერ ვიჯერებდი... და აი, ჩამოუთრევია ეს რჯულძაღლები!..

- და სად წაიყვანს ამ ვიწროთვალება თათრებსა? - იკითხა მინდიამ.

- ქიზიყიდან უნდა რომ დაიწყოს მაგათი ჩასახლება, - მიუგო ტალამ, - მერე ნელ-ნელა მთელ კახეთ მოსდებს და საბოლოოდ დაასამარებს ჩვენს სასოებას ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობისასა.

## XVIII

ტალა და მისი თანამებრძოლები ყიზილბაშებზე მოულოდნელ თავდასხმებს აგრძელებდნენ და არც თუ ცუდად გამოსდიოდათ ეს საქმე. მტრისთვის ისინი მოუხელთებლები იყვნენ. სპარსელების ხოცვით ხმლები გაუცვდათ ვაჟკაცებს. თუმცა დახოცილი თათრებისგან იმდენი

იარაღი რჩებოდათ, რომ ერთ ასეთივე რაზმს თავისუფლად შეაიარაღებდნენ. მაგრამ ბრძოლა თანდათან გაჭირდა, რადგან ადრე დაზამთრდა კახეთში. გაუსაძლის სიცივეში ტყეში ყოფნა შეუძლებელი გახდა, ზოგჯერ კოცონსაც ვერ დაანთებდი, რომ მტრისთვის შესამჩნევი არ გამხდარიყავი. გაუჭირდათ ქიზიყელებსაც. ისინი ვერ გატეხა მტრის შემოსევებმა, ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ გამუდმებულმა ომმა, მტრის სიმრავლემ და მკაცრი ზამთრის დადგომამ თავისი გაიტანა...

...ქიზიყელები დამარცხდნენ...

შემდეგ ყიზილბაშები დავით ჯანდიერისა და მისი თანამებრძოლების ადგილ-სამყოფელისაკენ გაემართნენ. ეს უკანასკნელნი მოსახლეობის დაღესტნის მთებისკენ გაყვანას ხელმძღვანელობდნენ. დიდი თოვლი და საშინელი ყინვები უაღრესად ართულებდა ქართველების მდგომარეობას. ყიზილბაშები დაედევნენ გახიზნულებს და ათი ათასამდე კარგი ვაჟკაცი, რჩეული ქართველი დაატყვევეს. ტყვედ წაიყვანეს აგრეთვე ენისელის და ზაგემის სანახებიდან სამი ათასამდე კომლი და სპარსეთის გზას გაუყენეს.

უპატრონოდ დარჩენილ კახეთს, როგორც სჩვეოდათ, ლეკები შემოესივნენ. კახეთი თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან. ზოგმა მთებს მიაშურა, ზოგი კი ქართლში გადავიდა. რამდენიმე რაზმი იყო შემორჩენილი კახეთის მთებში, რომელიც მოსვენებას უკარგავდა ისახან ყორჩიბაშს და მის ყიზილბაშობას. კახეთში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ შაჰ-აბასის ბრძანებით სადამ-

სჯელო ოპერაციები მომავალი წლის გაზაფხულისთვის გადაიდო, ხოლო ელების დასაცავად რამდენიმე ათასი ყიზილბაში დატოვეს.

ათას ექვსას ჩვიდმეტი წლის ადრე გაზაფხულზე შაჰ-აბასი კვლავ გამოემართა კახეთისკენ. მსხვერპლი ამჯერადაც დიდი იყო. თავიანთ ნასახლარებზე მობრუნებული კახელების გარკვეული ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. შაჰ-აბასმა კახეთი ორად გაყო. ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს ფეიქარ-ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი - ქართლის მმართველს ბაგრატ-ხანს. დაცარიელებულ კახეთში თურქმანების მასიური ჩასახლება დაიწყეს. შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა, თავისი ლაშქრისთვის მეომრები შეაგროვა და სპარსეთში გაბრუნდა.

ოთხი შემოსევის დროს კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თითქმის მთლიანად დანგრეული და გადამწვარი იყო მთელი კახეთი. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი არასოდეს აღარ აღმდგარა. ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლიურად ურიცხვ სარგებელსა და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული. კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. ასი ათასი მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი.

კახეთის მოთხრით შაჰ-აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო. კახეთში ჩასახლებული თურქმანები კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამ-

ხდარიყვნენ და სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად რუსეთის სამხრეთში შემოჭრის შემაკავებლები. სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს კი უნდა განევითარებინათ სოფლის მეურნეობა და ყოფილიყვნენ შაჰის ერთგული მეომრები.

კახეთში შაჰ-აბასის ჩამოსახლებულმა ელებმა კი ვერაფრით მოიკიდეს ფეხი ქართულ მიწაზე. მთებში გახიზნული კახელები მათ მოსვენებას არ აძლევდნენ. მუდამ ყიზილბაშების დაცვის შემყურე თურქმანებმა, მათთვის ჩვეულ მომთაბარე ცხოვრებას მიჰყვეს ხელი და ხან სად უთენდებოდათ და ხან სად. დაღამება მათთვის ჯოჯოხეთის ტოლფასი იყო. მათ ბანაკებს კახელები ძირითადად ღამე ესხმოდნენ თავს და ყიზილბაშებთან ერთად ისტუმრებდნენ მოუსავლეთში. კახელების „ჭკუის სასწავლებლად“ სპარსეთიდან სადამსჯელო რაზმებს აგზავნიდა შაჰი, მაგრამ ყველა ასეთი მცდელობა ამაო გახლდათ, რადგან საკუთარ მიწაზე მებრძოლ კახელებს ისინი ვერაფერს აკლებდნენ. ქვეყანაში კი ასაოხრებელი აღარაფერი იყო დარჩენილი, რადგან ყველაფერი შაჰის ოთხი შემოსევის შედეგად განადგურდა და დასამარდა.

## XIX

უცებ გაირბინა რამდენიმე წელმა. სასწაულად გადარჩენილი და ცოცხლად დარჩენილი კახელები, მიუხედავად დიდი შიშიანობისა, ნელა-ნელა უბრუნდებოდნენ თავიანთ ეზო-ყურეს. ტალამ და მისმა თანასოფლელებმა თუშეთიდან ყვარელში გადმოიყვანეს თავისი სახლეულობა და ნელა-ნელა დაიწყეს ეზო-ყურეს აღდგენა, რომელიც მტერს მთლიანად მიწასთან გაესწორებინა. სპარსელებმა, დიდი ბეგარის გადახდის ფასად, კახელები დატოვეს თავიანთ ნასახლარებზე, თუმცა მკაცრად გააფრთხილეს, რომ ვაზი არ გაეშენებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებოდნენ.

- მაი ვაზიი გარეშე როგო უნდა ვიცხოვროთ, ხალხოო!? - ეკითხებოდა წყაროსთან შეკრებილ თანასოფლელებს ტალას ბიძაშვილი ხეიბარი გაბრიელი, რომელიც თავისი აღმოჩენილი სამალავების წყალობით გადაურჩა სპარსელების რისხვას. შიმშილსა და აუტანელ სიცივეგამოვლილ გაბრიელს თავის თავზე მეტად ვაზის აჩეხვა და განადგურება აწუხებდა.

- გაბროო! - მოესმა გაბრიელს ორღობიდან მომავალი ტალას ომახიანი ხმა, - რა ყურები ჩამოგიყრია საჩეჩელაანთ ვირივითა, - მაგაზე დიდი უბედურებანი გადაუტანიათ ჩვენ წინაპრებსა და არ უწუწუნიათ დედაკაცებივითა!

ტალა წყაროს უკან მდგარ დიდი მუხის ქვეშ დადგა, ფეხები გააბოტა და დაიძახა:

- აბა, კაცები მოდექით აქეთა! კარგი ამბავი მაქ თქვენთვინა!

ყველანი წავიდნენ ტალასკენ და თან ერთმანეთს გაკვირვებულნი უყურებდნენ. მათ ყურებს კარგა ხანია არ სმენოდა ეს დავიწყებული სიტყვები: „კარგი ამბები“.

ტალამ გადახედა თანასოფლელებს, ნელ-ნელა გაღიმებული სახე მოეღუშა, ჩვეულებისამებრ მარცხენა წარბი ასწია და წარმოთქვა:

- ჩვენა ყველანი ერთად ვიბრძოდით და ერთმანეთი მრავალჯერ გაგვიტანია. ერთმანეთიი ჭირი გაგვიზიარებია. ეს ერთობა ეხლა შრომაშიც უნდა შევინარჩუნოთ. ამიტომაც დაგიძახეთ ცალკე დედაკაცებისა და ბავშვებიი გარეშე. ყველასა კარგი სახლეულობა გყაამთ, მაგრამა იმაშიც დამეთანხმებით, რომა დედაკაცებიი პირშია ხანდახან სიტყვა არა ჩერდება. წინაპრებისა ხო გახსომთ - „შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სუყველაი სმა უნდა, პირში მოსულსა სიტყვასა განა სუყველაი თქმა უნდაო?“

- ჰო! კარგი, ტალა! რა შორიდან უვლი ჭაპაანთ ყორესავითა? - დაიძახა ვანუამ, რომელიც ტყეში ახლად მოჭრილ და გამოთლილ კომბალს დაყრდნობოდა.

- სადღაა ჭაპაანთ ყორე!? - გაეცინა მიხას, - იგრე გაუსწორებიათ მიწასთან ყიზილბაშებსა, რომა ქვებიც კი აღარა ყრია ეზოზედა.

ჰოო! კარგით, კარგით! - შესძახა ტალამ და ხელი მაღლა ასწია, - გავიცინეთ, გვეყო. საქმეზე გადავიდეთ! სპარსელებიი შემოსევის პირველი დღეებიდანვე, მე ჩემი ეზოი ვაზი მოვთხარე და მაღლა მთაში გადავიტანე. იქა,

ტყეში ორი მდელოა. ერთგან რქაწითელი დავრგე და მეორეგან კიდენა - ქართლიდან ჩამოტანილი ახალი ვაზიი ჯიში - საფერავი. ვიცოდი, რომ ყიზილბაშები იმ ადგილებ ვერ იპოვნიდნენ და ღმერთის შეწევნით გამიმართლა კიდეცა. ეხლა მოვიარე იქაურობა და იგეთი კარგია, რომა ავ თვალ არ ენახება. იქვე გასხვლისაი რქებიც ჩავყარე, ვიფიქრე გაიხარებს-მეთქი და ეგეც გამიმართლა. ალაგები ბევრია იქა და ყველაი გეყოფათ, ვაზსაც გავამრავლებთ მტრიი ჯინაზე და ქრისტეი სისხლი გვექნება ბარაქიანადა. აბა, ეხლა წამოდით და ვნახოთ ჩვენი ახალშენი.

ყვარლელები გაჰყვნენ ტალას და ნაშუადღევს მივიდნენ ადგილზე.

- კაცოო, ტალავ! - უცებ წამოიძახა გიგომ და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, - რა ძაან ქინძის სუნი დგა ე! თუ მეჩვენება!?

- არ გეჩვენება, გიგოვ! - გაეცინა ტალას, - იგე, ზეით ტყის პირამდე ქინძმორეული ადგილია. საიდან ამოვიდა ამდენი ქინძი ამ ადგილაი არავისგან გამიგია და ეხლა ვერც ვეკითხები. თქვენ ხო არ იცით რამე ამ ადგილიი შესახება? აი, იქა მეორე მდელოზე, სადაც რქაწითელი გავაშენე - ჩვეულებრივი ბალახია.

- ამ ადგილიი შესახებ არაფერი გამიგია, - ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა გიგომ, რომელმაც ამ არემარის შესახებ ყველაზე მეტი იცოდა, - არც ჩემ წინაპრებ უთქომ რამე... - მერე მხრები აიჩეჩა და განაგრძო, - გემო როგორი აქ ყურძენსა?

- იგე, თვალშია შესული, - თქვა ტალამ და ვაზისკენ მიუთითა, რომელიც უკვე სიმუქეში გადასულ ბროწეულისფერ მტევნებით იყო დახუნძლული.

გიგომ ფრთხილად მოწყვიტა ყურძნის მტევანი, პირჯვარი გადაიწერა, რაღაც ჩაიჩურჩულა თავისთვის, მერე ერთი მარცვალი მოწყვიტა მტევანს, ჯერ აკოცა და მერე დააგემოვნა.

- აბა, როგორია? - ჰკითხა ტალამ და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

- ქინძიი გემო ააქ, გიგოვ? - ჰკითხა ვანუამ და გადაიხარხარა.

- ქინძი გემო რა ცხვრი ჩაქინძულიაა! - იწყინა გიგომ და ახლა მეორე მარცვალი დააგემოვნა.

- ცოტა ჩვენც გაგვასინჯე, შე შეჩვენებულო, იგრე რო მიადექ მაგ ყურძენსა! - წამოიძახა მიხამ და თანასოფლელებს გადახედა.

- კაცოო! ყურძნი მეტი რა არი ამ ქინძმორეულ ალაგასა! ადექი და გასინჯე! - იყვირა გიგომ და ტალას მიუბრუნდა, - ტალავ! შენა აქა ხო საფერავი გადმორგე?

- მაშა. - გაეღიმა ტალას.

- ესა საფერავი არ არი! - თქვა დაფიქრებულმა გიგომ.

- დასტური, - მიუგო ტალამ, - საფერავი გადმოვრგე ჩემი ეზოდანა და იგე ფერიც იცვალა და გემოცა. აბა, რას ამჩნევ, გიგო?

- ყურძენი სასიამოვნოდ ტკბილია, - თქვა გიგომ, - ამ ქინძმორეულ ალაგასა სხვადასხვა ხილის გემოები უფრო გასდევს, ვიდრე მიწისა და ყვავილოვანი ბალახისა.

აბა, რა გითხრა. მე მგონი საფერავთან შედარებით ტკბილი და მსუბუქი ღვინო უნდა დადგეი - ალილო და ხვალეო! ამასაც მალე ვნახავთ, ენკენის თვე კარზე გვადგა.

- გამოდიი, რომ ეს სხვა ყურძენია, - თქვა ტალამ და ზეცისკენ აიხედა, - დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი. კაცებოო! ვაზიი ახალი ჯიში გვაჩუქა ღმერთმა და სახელიც უნდა დავარქვათ!

-ტალავ, შამქმნელი შენა ხაარ და ნათლიაც შენ იყავ! - თქვა გიგომ, დაიჩოქა ვაზის წინაშე და ეამბორა მას.

- წავიდეთ მაშინ, იგე ტყეში ჩემი მარანი მააქ და იქ აღვნიშნოთ ახალი ვაზიი დაბადება, - თქვა ტალამ და თანასოფლელებს ტყისკენ გაუძღვა.

ტყის სიღრმეში მთის ციცაბო კალთაზე კლდე იყო აღმართული, რომელშიც ბუნებრივად გვირაბი შედიოდა. ტალას იქ ოთხი ქვევრი ჩაეფლო მიწაში და იქვე სახელდახელო მაგიდა გაემართა. როგორც ჩანს, ტალაურს თადარიგი დაეჭირა და სკამზე დადებული ხურჯინიდან ამოალაგა დედას პურები, ყველი, მწვანილი, მოხარშული ცხვრის ხორცი და ხილი.

- გუშინ თელავში ვიყავ საქმეზე, - თქვა ტალამ, - ჩემი ნათლიი შვილი მოვინახულე და აი, ეს საგზალი გამამატანეი ხურჯინითა და ტიკით ღვინო - ძველი შემორჩენილი ჰქონდათ. აბა, კაცებო, მოდით და აღვნიშნოთ დღევანდელი დღე.

ყვარლელებმა უფლის სადიდებელი მიირთვეს, მერე დასხდნენ გაშლილი სუფრის გარშემო და ყველამ ტალას შეხედა, რომელსაც უნდა ეთქვა ის სიტყვა, რომლისთვი-

საც შორი გზა გამოიარეს მრავალჭირვარამგადატანილ-
მა ყვარლელებმა. ტალამ თიხის ჯამებში ჩამოასხა საფე-
რავი, ასწია სასმისი და წარმოთქვა სადღეგრძელო:

- ჩემო თანასოფლელებო, თანამებრძოლებო, ჭირი-
სა და ლხინიი ერთად გამზიარებლებო, სისხლისმსმელ-
მა შაჰ-აბასმა ჩვენი განადგურება და ქართველი კაციი
ჯიშ-ჯილაგის ამოძირკვა სცადა კახეთის მიწიდანა,
მაგრამა მიუხედავათ ესეთი ტანჯვა-წამებისა საწადელ
ვერ მიაღწია. ეს ყველაფერი კიდენა მაღალი ღმერთიი
მფარველობით მოხდა და ვაზიი განადგურები მაგივრა-
და კიდევ ერთი ვაზიი ჯიში დაგვიმატა, ჩვენი საყვარე-
ლი საფერავიი შვილობილი, რომელსაც მე ქინძმორეულ
დავარქმევდი სახელადა. აბა, სხვა სახელსა ვეღარა ფიქ-
რობს ჩემი თავი და თქვენ თუ უკეთესს მეტყვით, მეც
იმას დავარქმევ.

- ქინძმორეულაი გაუმარჯოი! ქინძმორეულსა!..

ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ამ სიტყვებს იმეო-
რებდნენ ყვარლელები და თან უფალს ადიდებდნენ...

## XX

მეფე თეიმურაზი აქტიურად განაგრძობდა ოსმა-
ლეთთან და რუსეთთან მოლაპარაკებებს, რათა მათგან
სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად შესაბამისი
დახმარება მიეღო, მაგრამ ყველა მისი მცდელობა არა-
სასურველი შედეგებით მთავრდებოდა.

თეიმურაზის გაუტეხლობითა და აგრეთვე მისი ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა ჯავრი მისი ოჯახის წევრებზე იყარა. თეიმურაზის ვაჟები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, ხოლო უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა. უფრო გვიან, ენით აუწერელი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი...

...ირანის მბრძანებელი მაინც ვერ ძღებოდა ქართველთა სისხლით და ახალ-ახალ მიზეზებს ეძებდა ქვეყნის დასასჯელად...

...და იპოვა კიდეც...

იმ დროს კახეთს მართავდა შაჰ-აბასის მიერ დანიშნული ფეიქარ-ხანი, რომელიც ხორნაბუჯის ციხიდან განაგებდა ქვეყანას. მან კახეთში მრავლად ჩამოასახლა მუსლიმი მომთაბარე ტომები - ელები. მიუხედავად ამისა ქვეყნის დიდი ნაწილი მაინც დაუსახლებელი იყო. თანდათან მთებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული კახელებიც მოგროვდნენ და თავიანთ კერებს მიაშურეს. ქართველების მომრავლებამ ფეიქარ-ხანი შეაშფოთა და შაჰ-აბასს აცნობა, რომ კახელები აჯანყებისთვის ემზადებიანო. გამძვინვარებულ სპარსეთის მბრძანებელს, რომელსაც თავი სამყაროს მმართველად წარმოედგინა, კახეთი ყელში ძვალივით „გასჩხეროდა“ და მოთმინებას აკარგვინებდა, უფრო მეტიც, ამ პატარა ქვეყნის დაპყრობას შეაკლა მთელი თავისი არმიის დიდი ნაწილი და მაინც საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. სასწრაფოდ იხმო თავისთან ყორჩიხა-ხანი და უბრძანა:

- წახვალ საქართველოში და კახეთს ძირიანად მოთხრი! ერთი გურჯი არ უნდა დარჩეს მაგ მიწაზე! ხოლო ქართლელებს, რომლებმაც გაბედეს და კახელები შეიფარეს, ტყვედ წამოასხამ! ვინც არ დაგემორჩილება იქვე მოჰკვეთე თავი და ყველას დაანახე თუ როგორ უსწორდება მზეზე მაღალი შაჰი მოღალატეებს!

- შესრულებული იქნება შენი ნება-სურვილი, სამყაროს მბრძანებელო. - ამოიკნავლა ხორჩიხა-ხანმა და მყისვე დაეცა შაჰ-აბასის ფეხებთან.

აბასმა დახედა ყორჩიხა-ხანს, მერე თავი ასწია, მოჭუტა ცბიერი თვალები და დაამატა:

- გიორგი სააკაძეს წაიყვან ეტიკად, ზურაბ ერისთავთან ერთად. მსურს, რომ კიდევ ერთხელ დამიმტკიცონ ერთგულება! ასი ყური და ასი თვალი გამოიბი და მაგათი ყველა ნაბიჯი მაცნობე!

ყორჩიხა-ხანი ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ არც მას ეწერა აქ დიდი დღე. მარტყოფის ველზე აჯანყებულებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ისეთი დღე აყარეს მომხვდურებს, რომ ოცდაათიათასიანი ლაშქრიდან სამი ათასმა ძლივს გაასწრო სამშვიდობოს. აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში გაწმინდეს ქართლ-კახეთი ყიზილბაშებისაგან. ფეიქარ-ხანმა მოახერხა გაქცევა, თუმცა მან და მისმა ხელქვეითებმა ნაძარცვი ქონება ვერ წაიღეს. თეიმურაზი, რომელიც იმ დროს ოსმალეთის საზღვრებში, გონიოს ციხეში იმყოფებოდა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში აპირებდა წასვლას, ქართლ-კახეთში მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს

ტახტზე დასვეს. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. საქართველოს გაერთიანების მოღვაწეთა ოცნება თანდათან ხორციელდებოდა.

ყორჩიხა-ხანის არმიის ერთიანმა გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ-აბასს. მან წამებით მოაკვლევინა სააკაძის ვაჟი პაატა და მოკვეთილი თავი გიორგის გაუგზავნა საქართველოში. ქართველების დასასჯელად კი შეყარა უზარმაზარი არმია და თავისი სიძის - ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოაგზავნა.

...მარაბდის ბრძოლაში დამარცხდნენ ქართველები...

...თუმცა ქსნის ხეობაში ამოხოცეს ყიზილბაშთა თორმეტი ათასიანი ლაშქარი თავის მეთაურ შაჰბენდე-ხანიანად...

...სპარსეთის უძლეველობის მითი ისტორიას ჩაბარდა...

...შაჰ-აბასს საქართველოში გამოლაშქრების სურვილი გაუქრა...

იმის მაგივრად, რომ ქართველებს, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, ეზრუნათ ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, ზოგიერთ თავადთა ღალატის შედეგად, კვლავ ლუციფერი ჩადგა მათ შორის და თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე დააპირისპირა ერთმანეთთან, რასაც ბაზალეთის ტრაგედია მოჰყვა. ბოროტმა არ იკმარა ორივე ქართველისგან წმიდა დედოფლის და შვილების შეწირული სისხლი და ძმათა სისხლისღვრა მოაწყო, რომელსაც ორივე მხრიდან უამრავი ქართველი შეეწირა...

...წუთისოფელი ერთ დიდ საუკუნედ გაგრძელდა...

...ტიროდა დედა ქართვლისა...

## XXI

...წლები მიჰქროდნენ, როგორც დოღის დროს ჰელოსკენ[23] მარბენალი ბედაურები...

უკვე მესამე წელი იწურებოდა, რაც სისხლისმსმელი და ქართველთმოძულე შაჰ-აბასი აღარ იყო ამქვეყნად. კახელებმა ამოისუნთქეს თავის მამულში. ტალა ტალაურს უნდოდა, რომ გადამალული საგანძური დაებრუნებინა ეკლესიისთვის, მაგრამ ვერ გაეგო ვისთან მიეტანა. მეფე თეიმურაზი სასახლეში თითქმის არ მოდიოდა. ის კახეთის მეფე კი იყო, მაგრამ მისი მმართველობა არ იგრძნობოდა, რადგან ხან ოსმალეთში იყო გადახვეწილი, ხან იმერეთს სტუმრობდა და ხან სალაშქროდ დადიოდა. ახლაც, დაუფიქრებლად დაარბია შაჰის სამფლობელო - განჯა-ყარაბაღი, რითაც დაუპირისპირდა სპარსეთის შაჰს - სეფი პირველს და ქვეყანაც საფრთხის წინაშე დააყენა. ამის გამო დაკარგა ქართლის მეფობა და მისი ადგილი ქართლის ტახტზე სპარსეთის შაჰმა გამაჰმადიანებულ ქართველს - ხოსრო მირზას ანუ როსტომ-ხანს უბოძა. მუსლიმან მეფეს ხომ არ მიუტანდა სიწმიდეებს. ამიტომ ტალამ გადაწყვიტა ახლახანს აღსაყდრებულ კათოლიკოს ევდემოზთან მისულიყო. ევდემოზი უცხო არ იყო თეიმურაზისთვის. მისი ძმის, ლევანის ასული ელენე, დავითის, თეიმურაზ პირველის ძის მეუღლე გახლდათ. თუმცა, ტალამ მაინც ვერ გადადგა ეს ნაბიჯი მეფის თანხმობის გარეშე - „ვაი თუ გამიწყრეს მეფეო“ და მოცდა ამჯობინა. ერთხელ, ლაშქრობიდან დაბრუნებული მეფე

მოინახულა ტალაურმა, მისგან დასტური მიიღო და გაემგზავრა ტფილისში კათოლიკოსთან შესახვედრად.

მთებსა და ტყეებში მოხეტიალე ტალამ დიდი ქალაქი რომ დაინახა, ეუცნაურა და უხერხულობაც იგრძნო. თითქოს შეიბოჭა, ვერ მოძრაობდა ისე ლაღად, როგორც ეს ტყე-ღრეში გამოსდიოდა. რამდენი წელია არ ყოფილა ტფილისში. ქალაქი გაზრდილიყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი მასაც შეამჩნევდა მტრისგან დარბევის კვალს. ადამიანებიც მომრავლებულიყვნენ. უცნაური ჩაცმულობის კაცებიც შენიშნა, რომლებიც შაჰების ჰარამხანებში მოცეკვავე ქალებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე კაცებს, განიერი მოფრიალე შარვლებით და უცნაური ქუდებით. ქალებივით მიაქანებდნენ უკანალებს და თან თავზე ხილით სავსე ხონჩები[24] ედგათ. ტალამ ვერ მოითმინა და მისკენ მომავალი კაცი გააჩერა და ჰკითხა:

- ძმობილო, შენდობას ვითხოვ, მე მთიდან ახლადჩამოსული კაცი ვაარ და იქნება გამაგებინო, ეს სხვანაირად ჩაცმული ხალხი ვინ არიან? - და ხელით თავზე ხონჩადადგმული კაცისკენ მიანიშნა.

უცნობს გაეღიმა და უპასუხა:

- ეტყობა ქალაქში დიდი ხანია არა ჰყოფილხარ, ძმობილო?

ტალამ თანხმობის ნიშნად თავი დახარა და მორჩილებით დაელოდა პასუხს.

- ეგენი ჩვენმა ეხლანდელმა მეფემ - როსტომმა ჩამოიყვანა სპარსეთიდან. ზოგი კინტოს ეძახის და ზოგი თუქსუსს.[25]

- ვერ გავიგე, ძმობილო, - დაიმორცხვა ტალამ და ლოყები შეუწითლდა, - ბევრი სიტყვა გამიგია ამ წუთისოფლის ორომტრიალშია და ეგეთი სახელები არ ვიცი.

- წუწკსა, მატყუარას და ფლიდსა ნიშნავს, - მიუგო უცნობმა, - მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დახეტიალობს და ვაჭრობს. ოღონდ ფული მიეცი და არაფერზე გეტყვის უარს. მიხვრა-მოხვრაზე ვერ ატყობ?

უცნობმა დატოვა სახტად დარჩენილი ტალა და განაგრძო გზა. ტალა კი გაჰყურებდა უკანალის ქნევით მიმავალ კინტოებს, რომლებსაც ერთი ხელი წელზე მიებჯინათ, ხოლო მეორეთი ხონჩას იმაგრებდნენ თავზე და თავისდაუნებურად წამოსცდა:

- ერიჰააა! ამითვინ ვიომეეეთ!?

ტალამ კითხვა-კითხვით მიაკვლია ევდემოზ კათოლიკოსს. იგი ლოცვას აღავლენდა მარიამწმიდის ეკლესიაში. ტალაურს დიდი ხანია საეკლესიო გალობა არ ჰქონდა მოსმენილი. სტოაში გაჩერდა, პირჯვარი გადაიწერა და სმენად იქცა.

ლოცვა დამთავრდა. საკურთხევლიდან ჯვრით ხელში გამობრძანდა კათოლიკოსი და დალოცა მრევლი. როგორც კი შეხედავდა ადამიანი ევდემოზ კათოლიკოსს, მყისიერად მის მიმართ მოკრძალება უჩნდებოდა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს მოგაგონებდათ ხშირად. რთულ დროს მოუწია ეკლესიის მწყემსმთავრობა ევდემოზ კათოლიკოსს. ხშირად იტყოდა ხოლმე: „როსტომის მეფობის დროს იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა

იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა. შემოვიდა ზოგად-ზოგად ტყვის სყიდვა თავადებისაგან, აღზევდნენ მეძავნი და ბილწების მოქმედნი. მეფის ფუფუნებისა და ცოდვის მოყვარეობა თანდათანობით გადაედო ერს. თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა. მოუძლურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე. სიმართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, უპატიოქმნილნი ცუდებად და შეუძლებლებად წოდებულნი, სასოებით იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს“...

ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იყო კათოლიკოსობა. ამიტომ ღმერთმა გამოარჩია ადამიანი მართალი სულითა და გულითა, მონაი ღვთისა ევდემოზი, რომელიც მოქმედებდა მწყევსმთავრისთვის შესაფერისი უშიშრობითა და თავდადებით. არც მეფის პირდაპირ მხილებას ერიდებოდა. სადაც შეხვდებოდა როსტომ-ხანს, ყველგან ეუბნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო“.

როგორც კი კათოლიკოსი ევდემოზი ტაძრის სტოას მოუახლოვდა, ტალა მორიდებით წარსდგა მის წინაშე, მუხლი მოიყარა, მარჯვენაზე ემთხვია და სთხოვა:

- დამლოცე, უწმიდესო, მე ცოდვილი.

- ღმერთმა დაგლოცოს, შვილო, - წარმოთქვა კათოლიკოსმა და მარჯვენა ხელი თავზე დაადო ტალას, - შორიდან ჩამოსულს ჰგავხარ, რა გაგჭირვებია?

- მეფე თეიმურაზს გამოვთხოვე ნებართვა შენთან მოსვლისა, უწმიდესო. - უპასუხა ტალამ, - ტალა გახლავარ ტალაური. საქმე საშუროა...

- გამომყევი, შვილო. - წამოაყენა კათოლიკოსმა ტალა და ტაძრის ეზოში მდებარე სენაკისკენ გაუძღვა.

ტალამ ყველაფერი მოუყვა კათოლიკოსს. ევდემოზმა ყურადღებით მოუსმინა ტალას და შემდეგ უთხრა:

- მადლის ქვა აუცილებლად გარეჯში უნდა დავაბრუნოთ, ხოლო დანარჩენ სიწმიდეებს ჩვენ აქ მივხედავთ, რა თქმა უნდა, დროებით, სანამ მშვიდობა დამყარდება ქვეყანაში.

- უწმიდესო,მაპატიეთ კადნიერებისათვის, - მორიდებით წარმოთქვა ტალამ, - გარეჯის მონასტრებში არავინ არ არის ამჟამად, თან ლეკებიც დათარეშობენ და მადლის ქვა...

- ვიცი, შვილო, მაგრამ თუ მადლის ქვა არ დაბრძანდება თავის ადგილას, იქ არც მოსაგრეობა დაიწყება და არც მადლი გარდამოვა. ამიტომ ასეთი რამ გააკეთე. დავითის ლავრაში არის ფერიცვალების ეკლესია, სადაც საკურთხევლამდე, მარჯვნივ წმიდა დავითის საფლავია. მის ზევით გამოანგრიეთ კედლის ნაწილი, ამოაშენეთ ნიში, იქ დააბრძანეთ წმიდა ქვა და მერე ისევ კედლით დაფარეთ, რომ ავი თვალისთვის შეუმჩნეველი შეიქმნას. მოვა დრო და უფალი თვითონ უჩვენებს მორწმუნეთ წმიდა ქვის ადგილსამყოფელს. სიწმიდე არსად დაიკარგება.

ტალამ მადლობა გადაუხადა კათოლიკოსს და კურთხევის აღსრულებისათვის წავიდა კახეთში.

## XXII

გარეჯში დავითის ლავრას სამი ცხენოსანი მიადგა. ტალა და გორგი აფთარაული, რომელსაც თავის ვაჟიც ახლდა, ცხენებიდან ჩამოხდნენ. მხედრებმა ცხენები კარიბჭესთან დატოვეს, თვითონ კი მონასტრის ქვედა ეზოსკენ გასწიეს, სადაც კლდეში გამოკვეთილი ფერიცვალების ეკლესია მდებარეობდა. ირგვლივ ყველაფერი იავარქმნილი და განადგურებული იყო. როგორც ჩანდა სპარსელების შემდეგ აქ კიდევ რამდენიმე მომხვდურს ეთარეშა. ეკლესიის კანკელი ნახევრად დანგრეული, ხოლო საკურთხევლის ტრაპეზი ძირიანად მოთხრილი დახვდათ. ერთადერთი, რაც ხელუხლებელი იყო, ღირსი მამა დავით გარეჯელის საფლავის ქვა გახლდათ. ვაჟკაცებმა მუხლი მოიყარეს წმიდა მამის საფლავთან, ემთხვივნენ და სამშობლოს გადარჩენა სთხოვეს. მერე ისევ ეზოში გამოვიდნენ და დავით გარეჯელის და ლუკიანეს სენაკების წინ დაყრილ ქვებზე ჩამოსხდნენ.

- ვაჟავ! - უთხრა გორგიმ თავის ვაჟს, - წყალი არ ამოიღე ხურჯინიდან?

- მოვიტან ეხლავე! - წამოიძახა ვაჟამ და მკვირცხლად წამოხტა.

ტალამ ხელის აწევით გააჩერა აფთარაულის ვაჟი და თქვა:

- აი, აქ ზევით დავითის ცრემლების წყაროა და ის დავლიოთ, მარგებელიც არის და სამკურნალოც.



- მეც გამიგია მაგ სასწაულმოქმედი წყლის შესახებ. აბა, გაგვიძეხ, ტალავ! - წარმოთქვა გორგიმ და ფეხზე წამოდგა.

წყაროზე ამოშენებული კედლები დანგრეული დახვდათ, ხოლო კარი დალეწილი. წყარო კი დამშრალიყო.

- პაპაჩემი, დიდი ტალა გვიყვებოდა ხოლმე, ნათელში იყოს მისი სული, - თქვა ტალაურმა და პირჯვარი გადაიწერა, - წმიდა წყაროს თუ ურჯულო და უწმიდური შეეხო, ის უსათუოდ დაიმალება და დაშრებაო. ეს წყარო, როგორც მე მსმენია დავით გარეჯელმა ლოცვის შედეგად აღმოაცენა კლდიდან, ამიტომაც ეძახიან დავითის ცრემლებს. ჩვენ, აბა, რომელი მლოცველები ვართ, რომ ისევ მოვაბრუნოთ უკან...

- რატომაც არა! - შეაწყვეტინა სიტყვა გორგიმ თანამებრძოლსა და მეგობარს, - სამაგიეროდ მადლის ქვა გვაქვს, რომელსაც უამრავი სასწაული აქვს აღსრულებული.

- ღირსი მამა დავით გარეჯელის ტროპარი და კონდაკი მე ვიცი! - ამაყად წარმოთქვა ვაჟამ და პირჯვარი გადაიწერა.

ტალამ ჩოხის გულის ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო აბრეშუმის ნაჭერში საგულდაგულოდ გახვეული მადლის ქვა, გახსნა, პირჯვარი გადაიწერა, ეამბორა სიწმიდეს, ფრთხილად მიიტანა კლდის იმ ხვრელთან, საიდანაც ოდესღაც დავითის ცრემლები მოდიოდა და ახლა დამშრალიყო, მერე ვაჟას გახედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა დაეწყო ტროპარის კითხვა. აფთარაულმაც

აღარ დააყოვნა და რამდენიმე წლის შემდეგ წყაროსთან კვლავ გაისმა სულის მაცხოვნებელი სიტყვები:

- ოფლითა მით მოღვაწებისათა, განზავებულნი ცრემლთა წყარონი ძღუნად მიუპყრენ აწ სავედრებელად მეუფესა, და ითხოვე აღორძინებაი მისი, რამეთუ ცრემლით სთესე, და სიხარულით მოიმკენ ნაყოფნი უდაბნოსანი, ჰოი, დავით, ბრწყინვალებაო სოფლისაო, და მეოხო სულთა ჩვენთაო.

ვაჟამ კიდევ ორჯერ წარმოთქვა ტროპარი და მერე კონდაკის კითხვა დაიწყო:

- შუამდინარით აღმოხედ ვარსკულავი ყოვლად-ბრწყინვალე, და მოიწიედ უდაბნოდ გარესჯად და და მიერითგან მოსვლითა შენითა, ვითარცა სამოთხე ნერგთაგან წმიდათა სცენდებიან, ნერგნი სიტყვიერნი, რომელთათვის ოხასა ნუ დააცადებ, დავით სანატრელო.

ტროპარ-კონდაკის წაკითხვის შემდეგ, ვაჟამ დაიჩოქა წყაროსთან და შეჰღაღადა წმიდა მამას:

- ჰოი, ღირსო მამაო დავით, შეგვიწყალენ და მეოხ გვეყავ უფალთან, რამეთუ გადმოგვხედოს მოწყალითა თვალითა და შენი წყაროს გარდამოდინებით გვამცნოს სავანე ესე კვლავ აღორძინდება თუ იავარქმნილ იქმნება აგარიანთაგან, რამეთუ დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი.

თითქოს კლდის შიგნით რაღაც დაიძრა. ტალამ მადლის ქვა ისევ გაახვია ნაჭერში და ჩაიდო გულის ჯიბეში. თან ერთი წამითაც არ აშორებდა თვალს კლდის იმ ადგილს, საიდანაც საუკუნეების განმავლობაში გადმო-

დიოდა დავითის ცრემლებად წოდებული წყარო და ჰოი, საოცრებავ, ნელა-ნელა დასველდა კლდე და მალე პირველი წვეთი ჩავარდა ქვაში ამოკვეთილ ჭურჭელში, რომელიც მისვლისთანავე საგულდაგულოდ ამოასუფთავეს ტალამ და ვაჟამ...

...ეს ნიშანი იყო უფლისგან, რომ გარეჯის სავანეში მალე განახლდებოდა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება...

გახარებულმა ვაჟკაცებმა დიდი სიხარულით და შემართებით აღასრულეს კათოლიკოს ევდემოზის კურთხევა და მადლის ქვა მინიშნებულ, ადამიანთა თვალთაგან დაფარულ ადგილას დააბრძანეს.

თანამებრძოლებმა რამდენიმე ჟამი დაჰყვეს მონასტერში, შემდეგ მოახტნენ ცხენებს და გაჰქუსლეს კახეთისკენ. გზად მოინადირეს ფრინველიც და ცხოველიც. საღამო ხანს ალაზანსაც მიადგნენ. ტალამ თავისი საღარა გააჩერა და მამა-შვილ აფთარაულებს უთხრა:

- ეხლა ჩემთან უნდა წავიდეთ და კარგად ვიქეიფოთ! თუშეთში ხვალ გაგაცილებთ!

გორგის გაეცინა:

- სად გვეპატიჟები, ტალავ! ამ აღმა-დაღმა სიარულში სახლი შენ ჯერ არ აგიშენებია და...

- სამაგიეროდ მარანი მააქ გვირაბში და კარგი ქინძმორეული!

- ეგ, რაღაა?

- აი, წამოდი და იხილე!

## XXIII

განადგურებული კახეთი, უკვე მერამდენედ, ფეხზე წამოდგომას იწყებდა. მტერი აურაცხელი ჰყავდა შინ და გარეთ. ჩვეულებრივ ამბად ქცეულიყო სპარსეთში წასვლა, იქ მაჰმადის რჯულზე გადასვლა, ისევ სამშობლოში მობრუნება და სპარსეთის მოხელედ მსახურება. მეფე და დიდებულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ერთგული იქნებოდა სპარსეთის მბრძანებლისა. ერთადერთი ნათელი წერტილი ქართველობისა დედა ეკლესიის და უბრალო ხალხის წიაღში ბრწყინავდა, რომელთაც უდიდესი სასოება ჰქონდათ ღმერთისა...

...გარეჯის სავანეში წვეთ-წვეთად მოედინებოდა ცრემლები ღირსისა მამისა ჩვენისა დავითისა...

## განმარტებები

1. ყიზილბაშები (სპარს) - წითელთავიანები. შიიტ მეომართა დაჯგუფებები.
2. შათირი (არაბ) - შიკრიკი.
3. შირაზი - ქალაქი სამხრეთ ირანში.
4. სეფევიდები - სპარსული დინასტია (1500 – 1722 წ.წ.)
5. ალავერდი-ხან უნდილაძე-ირანის სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე. გამაჰმადიანებული ქართველი.
6. ხვითო - მარგალიტი, რომელსაც გველი ინახავს და ზოგჯერ ათამაშებს.
7. ამირა (არაბ) - მეთაური, მმართველი, მბრძანებელი.
8. ტურაღა (მონღ) - მოურავი.
9. ბეგლარბეგი (თურქ. სპარს) - ფეოდალური ტიტული. თანამდებობა.
10. ყულარაღასი (თურქ. სპარს) - შაჰის პირადი დაცვის უფროსი. ყული - შაჰის მონები.
11. თოფხანე (თურქ. სპარს) - ირანში საარტილერიო პარკი. თოფ(თურქ) - ზარბაზანი, ხანე(სპარს) - სახლი.
12. ღულამები (არაბ) - მონებისაგან შემდგარი ცხენოსანთა გვარდია.
13. ჰარამხანა (არაბ. სპარს) - აკრძალული სახლი, რომელშიც ოჯახის უფროსი თავის ქალებთან, მონებთან და შვილებთან ერთად ბინადრობს.
14. ყარა (თურქ) - შავი.
15. სახმილავი - სადარაჯო. ადგილი მხილავთა.
16. სუდარა - დაკრძალვისთვის განკუთვნილი ზეწარი.
17. ეტიკი - გზის მცოდნე.
18. ხერკი - ახლანდელი საგურამოს და თეზმის ხევი.

19. გიაური (თურქ) - უღვთო, ურჯულო, გარეწარი. არამუსლიმანი, სხვა რელიგიის ადამიანი.

* რქაწითელი - ადგილობრივი კახური ჯიშის ვაზია. შორეულ წარსულში მას კუკურას უწოდებდნენ. ,,კუკურა" ნაწარმოები უნდა იყოს ,,კაკი" ,,კაკურასგან". ეს ახლანდელი საინგილოს ძველი სახელწოდებაა. რაც შეეხება წარმოშობის დროს, ამის შესახებ მონაცემები არ მოიპოვება, რადგან XIII საუკუნეზე უფრო ადრინდელი სამეურნეო ისტორიის ძეგლები დაცული არაა.

20. საღარა - შუბლთეთრი ცხენი.
21. ფუსტები - ქართული სამხედრო-საეკლესიო რაინდთა ორდენი.
22. სიჩქურე - გაუაზრებლად, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება.
23. ჰელო - სვეტი თამაშის ადგილას (საბა). ფინიში.
24. ხონჩა - ხის ლანგარი.
25. თუქსუსი - წუწკი, ცბიერი ადამიანი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მიხეილ საბინინი - „საქართველოს სამოთხე“ - პეტერბურგი 1882 წ.
2. ივანე ჯავახიშვილი - „ქართველი ერის ისტორია“, ტ.V თბ. 2012 წ.
3. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ - ტ.IV. თბ. 2012 წ.
4. „ძველი ქართული აგიოგრაფიის ლიტერატურული ძეგლები“.
5. „წმიდათა ცხოვრება“ - თბ. 2001 წ.
6. „საქართველოს ისტორია“ - ტ. III თბ. 2012 წ.
7. Геевский В. Н. и Шарер Г.И. „Краткий отчетсадоводства Закавказья“. Труды Кавказского об-ва сельского хозяйства, №8, 9, и 12. Тифлис, 1885.

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge

მე კახელი ვარ, მეომართა შთამომავალი. ჩემი წინაპრები გარეჯის მრავალმთის უდაბნოს ბერთუბნის და დოდორქის მონასტრების საეკლესიო ყმები იყვნენ. სამშობლოს დასაცავად, ჩემს და ჩემნაირების წინაპრებს ბევრი სისხლი აქვთ დაღვრილი, ხოლო ქვეყნის აღდგენისთვის ერთი ამდენი - ოფლი. საუკუნეების განმავლობაში მტერთან ბრძოლაში მოწყვეტილი და ტყვედ წაყვანილი კახელების ადგილი ბევრმა ქართველმა და უცხოტომელმა შეავსო და თაობების შემდეგ კახელად იქცა.

მე, მინდა ვთხოვო თითოეულ მათგანს, მუდამ ახსოვდეთ ის ჯიშიანი მოდგმა ერისა და ბერისა, რომელმაც მათ ეს ნამდვილი ქართული მიწა-წყალი ჩააბარა. ჩვენ საზეპურო ერი ვართ, არ გადავჯიშდეთ ხალხო! არ გავხდეთ „ბოროტი მევენახეები!" ღმერთი არ გვაპატიებს!

ბოლოს, კი შაჰ-აბასის მიერ ტყვედ წაყვანილი და ფერეიდანში დასახლებული კახელების სიტყვებს შეგახსენებთ: „ღმერთს ებარებოდეთ!"

ISBN 978-9941-488-196
9 789941 488196